ტურინის პროცესი 2018-2020
საქართველო

ეროვნული ანგარიში

საქართველო - ტურინის პროცესის ეროვნული ანგარიში (NRF)
ეს ანგარიში მოამზადეს ადგილობრივმა ავტორებმა ტურინის პროცესის 2018-20წწ ჩარჩოს საფუძველზე (არ არის რედაქტირებული ანდა დაფორმატებული ETF -ის მიერ). ამ ანგარიშის შინაარსი ავტორების პასუხისმგებლობაა და არ ასახავს ETF ან ევროკავშირის ინსტიტუტების მოსაზრებებს.

25 აგვისტო, 2019 წელი

კოორდინატორები:
ირინა წეროძე, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელი
მარიკა ზაქარეიშვილი, პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის ხელმძღვანელის მოადგილე
ანასტასია ქიტიაშვილი, ETF –ის ექსპერტი და კოორდინატორი

სარჩევი

1. ეროვნული ანგარიშის ჩარჩო 8
ბლოკი A: საქართველოს პროფესიული განათლების მიმოხილვა 8
A.1: ქვეყნის შესახებ ინფორმაცია 8
A.2: პროფესიული განათლების სისტემის მიმოხილვა 10
A.3: პროფესიული განათების სისტემის გარემო 16
ბლოკი B: ეკონიმიკური და შრომის ბაზრის გარემო 24
B.1: პროფესიული განათლება, ეკონომიკა და შრომის ბაზარი 24
B.2: მეწარმეობის სწავლება და მეწარმეობა 37
ბლოკი C: სოციალური გარემო და პროფესიულ განათლებაზე ინდივიდუალური მოთხოვნა 42
C.1: პროფესიულ განათლებაში ჩართულობა და მთელი ცხოვრების მანძლზე განათლება 42
C2. თანასწორობა და თანაბარი შესაძლებლობა პროფესიულi განათლების სფეროში 46
C.3: დასაქმების აქტიური მხარდაჭერა 49
ბლოკი D: პროფესიული განათლების სისიტემის შიდა ეფექტურობა და ფუნქციონირება 54
D.1: სწავლა-სწავლების გარემო 54
D.2: მასწავლებლები და ინსტრუქტირები 57
D.3: ხარიახი და ხარისხის უზრუნველყოფა 61
ბლოკი E: პროფესიული განათლების მართვა და დაფინანსება 68
E.1: ინსტიტუციური მოწყობა 68
E.2: პროფესიული განათლების სფეროში არასახელმწიფო აქტორების ჩართვა და E.2.1 პასუხისმგებლობის განაწილება სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებს შორის 69
E.3: პროფესიული განათლების დაფინანსება 70
E.4: პროფესიული განათლებისთვის რესურსების მობილიზება 72
დანართები 77

რეზიუმე

საქართველო ახორციელებს პროფესიული განათლების რეფორმას, რომლის მიზანია ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის დაძლევის მხარდაჭერა, ადამიანური რესურსების განვითარება შრომის ბაზრის მოკლევადიანი, საშუალოვადიანი და გრძელვადიანი მოთხოვნების შესაბამისად.

პროფესიული განათლების რეფორმა მიმდინარეობს საქართველოს პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიის 2013-2020 წწ საფუძველზე, რომელიც შემუშავდა დაინტერესებულ მხარეებთან ინტენსიური კონსულტაციების საფუძველზე.

პროფესიული განათლების რეფორმის მთავარი მიზანია ხელი შეუწყოს პროფესიული განათლების მოქნილობას, მისი ხარისხის, იმიჯისა და ეფექტურობის გაუმჯობესებას. პროფესიული განათლების სფეროში არსებული გამოწვევების დაძლევის მიზნით აღმოიფხვრა სისტემაში არსებული „ჩიხები“, ინერგება სამუშაოზე დაფუძნებული სწავლის კონცეფცია, აქცენტი კეთდება საჯარო-კერძო პარტნიორობის გაუმჯობესებასა და შესაბამისი მოდელების დანერგვაზე. პოლიტიკის გაუმჯობესების გარდა, მთავრობა ზრდის სისტემის დაფინანსებასა და აფართოვებს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელს.

ცხტილი 1. ტორინოს 2016 წლის პრიორიტეტების მიღწევები

პროფესიული განათლების სფეროში კერძო სექტორის მონაწილეობის ხელშეწყობა; სოციალური პარტნიორობის გაუმჯობესება ყველა დონეზე	
ა. ეროვნული პროფესიული საბჭოს ფუნქციონირების გაუმჯობესება (თემატური სამუშაო ჯგუფებისა და სამდივნოს ჩათვლით)	საქართველო ცდილობს მოსინჯოს სოციალური პარტნიორობის სხვადასხვა მოდელები. ეროვნული პროფესიული საბჭოს (NVETC) ეფექტურობა არ არის დამაკმაყოფილებელი. ამრიგად, სისტემა აქცენტს აკეთებს შედეგზე ორიენტირებულ თანამშრომლობასა და პროფესიულ განათლებაზე.
ბ. დარგობრივი საბჭოების რეფორმირება გრძელვადიან პერსპექტივაში - ფუნქციების გაფართოება, შესაძლებლობების განვითარება;	დარგობრივ საბჭოებს უნდა ჰქონდეთ უფრო ფართო მანდატი, ვიდრე პროფესიული და საგანმანთლებლო სტანდარტების ვალიდაციაა. ამრიგად, ახალი კონცეფცია ითვალისწინებს სექტორული ასოციაციების როლის გაძლიერებას ამ პროცესში. ამჟამად პილოტაჟი მიმდინარეობს სოფლის მეურნეობის სფეროში, რომელსაც ფერმერთა ასოციაცია ახორციელებს
გ. კერძო სექტორის ჩართულობისა და პარტნიორობის მხარდაჭერა მიკრო დონეზე (სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ჩათვლით);	მნიშვნელოვანი ცვლილებაა კერძო სექტორის წარმომადგენლეის ცნობიერების ამაღლების თვალსაზრისით, რომლებიც დუალურ განათლებაში მონაწილეობენ. პარტნიორი კომპანიების რაოდენობა 11-დან 51-მდე გაიზარდა.
დ. საჯარო და კერძო პარტნიორობის განვითარება	საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით გამოიყო და შემუშავდა საქართველოსთვის შესაბამისი საჯარო-კერძო პარტნიორობის 3 მოდელი. მოდელი 1: სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება მოდელი2: საჯარო-კერძო პარტნიორობა, რომელიც ითვალისწინებს ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ჩამოყალიბებას, მშენებლობას, ოპერირებასა და მოვლას მოდელი 3: პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ოპერირება და მოვლა

პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესება	
ა) ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს (QAF) განახლება და განხორციელება; პროფესიული განათლების კვალიფიკაციის გაუმჯობესება NQF- ის შესაბამისად;	ახალი NQF 2019 წელს დამტკიცდა. პროფესიული განათლების სფეროში მომზადდა ხარისხის უზრუნველყოფის ახალი ჩარჩო, შესაბამისი მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები, გაუმჯობესდა შესაძლებლობები. განახლდა ავტორიზაციის სტანდარტები, რომელიც 2019 წელს დაინერგება; 2019 წლის განმავლობაში განხორციელდება შიდა და გარე შემოწმებისა (ვერიფიკაციის) და თვითშეფასების პილოტირება
ბ) მოდულური საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების მხარდაჭერა - პროფესიული განათლების მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარება როგორც პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში, ისე საწარმოებში კერძო კოლეჯების მასწავლებლების ჩათვლით; შესაბამისი მასალების მომზადება	საქართველო 2019 წელს საგნობრივი პროგრამებიდან სრულად გადავიდა მოდულურ პროგრამებზე. იგეგმება პროფესიული განათლების მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მოდელის შემუშავება, რისთვისაც მსოფლიო ბანკმა სპეციალური პროექტი დაიწყო. მიმდინარეობს პედაგოგიური უნარების ტრენინგები; მასწავლებლებისთვის UNDP-ისა და ETF-ის მხარდაჭერით ასევე სამეწარმეო განათლების ახალი მოდული მომზადდა.
გ)სტუდენტებისათვის ინფორმირებული გადაწყვეტილების მიღების ხელშეწყობა და სტუდენტთა დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესება მათი ინფორმირების, კარიერული კონსულტაციისა და კარიერის განვითარების გზით.	საქართველომ დაიწყო სპეციალური პროგრამა "სამუშაო უნარების განვითარება", რომლის მიზანია სკოლის მოსწავლეებისთვის პროფესიების გაცნობა. პროფესიული ორიენტაცია მიმდინარეობს სკოლასა და კოლეჯთან პარტნიორობით. ეს სერვისი უკვე 10 000 მოსწავლემ მიიღო. პროფესიულ სტუდენტთა დასაქმების გაუმჯობესების მიზნით შემუშავდა კარიერული კონსულტაციის მექანიზმები, მიმდინარეობს კურსდამთავრებულთა კვლევა, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება, სამეწარმეო უნარების განვითარება.
პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობა და მიმზიდველობის გაუმჯობესება	
ა) ბარიერების („ჩიხების“) აღმოფხვრა - მობილობის გაუმჯობესება როგორც პროფესიული განათლების ზედა დონეებზე, ასევე	ახალმა კანონმა აღმოფხვრა ბარიერები კანონმდებლობის დონეზე. მიმდინარეობს მოსამზადებელი სამუშაოები ზოგადი განათლების პროფესიულ პროგრამაში ინტეგრაციის მიმართულებით; სწავლება დაიწყება 2019 წლის შემოდგომაზე. მოკლევადიანი პროგრამები მომზადების პროცესშია. კარგი მმართველობის ფონდი მეთოდოლოგიურ დახმარებას უწევს

უმაღლესი განათლების მიმართულებით;	უნივერსიტეტებსა და კოლეჯებს შესაძლებლობების გაძლიერებაში.
გ) პროფესიული განათლების ერთიანი ქსელის გაფართოება, რომელიც მოიცავს საჯარო და კერძო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებს. არსებული დაფინანსების მოდელის გადახედვა, მასწავლებლების ტრენინგების უზრუნველყოფა და ა.შ.	სამინისტრო განაგრძობს პროფესული საგანმანათლებლო დაწესებულებების ქსელის გაფართოებას, ხსნის ახალ ფილიალებს ან მოიცავს ახალ მუნიციპალიტეტებს; ამჟამად 27 მუნიციპალიტეტია დაფარულია. 2019 წელს 6 ახალი ლოკაციის დამატება იგეგმება. პროფესიული განათლების დაფინანსების მოდელი გადახედვას მოითხოვს; 2019 წელს GGF–მა ახალი პროექტი დაიწყო, რომელიც მიზნია პროფესიული განათლების დაფინანსების ახალი მოდელის შექმნა. მოდელის დანერგვა 2020 წლიდან იქნება შესაძლებელი.
დ) არაფორმალური განათლების აღიარების სისტემის შექმნა;	ამ პერიოდის პროგრესი შეიძლება ამგვარად შევაჯამოთ: შემუშავდა VNFIL– ის კონცეფციის დოკუმენტი და მეთოდოლოგია, პილოტირება ჩატარდა 2 სექტორში: STEM და სოფლის მეურნეობა; შემუშავებულია კონსულტანტების სამუშაო აღწერილობა; ტრენინგები ჩატარდა პროფესიული კოლეჯების ადმინისტრაციასა და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერებთან, დამსაქმებლებისა და კონსულტანტების წარმომადგენლებთან. პროფესიული განათლების შესახებ კანონით გათვალისწინებულია არაფორმალური განათლების აღიარება. გამოვლენილია პროფესიული განათლების კოლეჯები, რომლებიც საწყის ეტაპზე მიიღებენ მონაწილეობას. ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს ამ პროცესის მხარდაჭერისთვის დამატებითი დაფინანსება ეძლევა.
ე) პროფესიული განათლების სტატუსისა და იმიჯის გაუმჯობესება: სტუდენტებისა და დაინტერესებული მხარეებისათვის პროფესიული განათლების მიმართ პოზიტიური დამოკიდებულების ჩამოყალიბება; სტუდენტებისა და დაინტერესებული მხარის ცნობიერების ამაღლება პროფესიული განათლების შესაძლებლობებისა და რეფორმების შესახებ.	შემუშავდა საკომუნიკაციო გეგმა, რომლის მიზანია პროფესიული განათლების პოპულარობის გაზრდა სხვადასხვა აქტივობებით: პროფესიული განათლების შესახებ ცნობიერების ამაღლება, იმიჯისა და მიმზიდველობის გაუმჯობსება. კომუნიკაციების გეგმა წარმოადგენს მხოლოდ პირველ ნაბიჯს, რომელიც სავარაუდოდ რამდენიმე წლის განმავლობაში დაინერგება იმისათვის, რომ საზოგადოების დამოკიდებულებების შეცვლა გახდეს შესაძლებელი. 2016 წლიდან ყოველწლიურად ტარდება მინიმუმ დაჯილდოების 7 ღონისძიება, რომელიც ორგანიზებულია საერთაშორისო დონორების მიერ სამინისტროს და სხვა სამთავრობო ინსტიტუტებთან თანამშრომლობით: ჰაკათონი და მაკატონი, მასწავლებელთა დაჯილდოება ECOFactors, პროფესიული განათლების ეროვნული ჯილდოები და ა.შ. განათლების სამინისტრომ MCC-ISWD პროექტის მხარდაჭერით პროფესიული განათების სფეროში დააწესა ყოველწლიური კონფერენცია. ღია კარის დღეები ჩაატარეს MCC ISWD-ის მიერ დაფინანსებულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა. 2017 წელს პროფესიული განათლების სექტორში დაარსდა ეროვნული ჯილდო, რომელიც მოიცავს ოთხ კატეგორიას,

	• წლის პროფესიული სტუდენტი • წლის პროფესიონალი • წლის პროფესიული პროვაიდერი •პროფესიული განათლების წლის ბიზნეს პარტნიორი (იხ. Www.iswd.ge) GIZ– მა უმასპინძლა გერმანია– საქართველოს პროფესიული განათლების დღეებს, რომელის მიზნის საქართველოში პროფესიული განათლების პოპულარიზაცია, დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლება.

ტურინის პროცესი 2016 წლის შემდეგ დაინტერესებულ მხარეებთან დისკუსიის, ფოკუს ჯგუფის, სამუშაო ჯგუფის შეხვედრებისა და ინტერვიუების საფუძველზე გამოიყო ძირითადი წარმატებები და გამოწვევები

ცხრილი 2. ძირითადი მიღწევებისა და გამოწვევების შეჯამება

	მიღწევები ბოლო 3 წლის განმავლობაში	გამოწვევები
1.	პროფესიული განათლების ახალი კანონი და გაუმჯობესებული კანონმდებლობა, კარგად ჩამოყალიბებული პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია, რომელიც განსაზღვრავს პროფესიული განათლების სფეროს განვითარებას;	სოციალური პარტნიორობა, კერძო სექტორის ნაკლები მონაწილეობა განსაკუთრებით დარგობრივ და ეროვნულ დონეზე
2.	პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმა და დივერსიფიკაცია ახალგაზრდებისა და ზრდასრულებისათვის; პროფესიული განათლების კვალიფიკაციების მოდერნიზაცია, სამუშაოზე დაფუძნებული და დუალური განათლების ხელშეწყობა;	რეფორმის პროცესის მონიტორინგი და შეფასება; მტკიცებულებაზე დამყარებულ პოლიტიკა
3.	მთელი ცხოვრების განმავლობაში განათლების მხარდაჭერა პოლიტიკის დონეზე - ზრდასრულთა განათლების დანერგვა, ზოგადსაგანმანათლებლო განათლების ინტეგრაცია პროფესიულ განათლებასთან, არაფირმალური განათლების აღიერება	ხელმისაწვდომობის ისეთი ბარიერები, როგორიცაა მაგალითად, ეროვნული ტესტირება ან პროფესიული კოლეჯების რესურსები, გეოგრაფიული დაფარვა
4.	გაუმჯობესდა სოციალური პარტნიორობა ადგილობრივ დონეზე, სამუშაოზე დაფუძნებული განათლებისა და საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმით.	სერვისების ნაკლებობა ახალგაზრდებისათვის, როგორიცაა პროფესიონალური ორიენტაცია, პროფესიულ განათლებაში ჩართულობის ხელშეწყობა
5.	პოზიტიური ტენდენცია მოწყვლადი ჯგუფებისთვის პროფესიულ განათლებაში ჩართულობის თვალსაზრისით, მაგალითად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის	უნარების შეუსაბამობა - ETF- ის კვლევამ აჩვენა, რომ უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა დაახლოებით 1% დასაქმებულია იმ თანამდებობაზე, რომელიც მოითხოვს უფრო ნაკლებ კვალიფიკაციას,

		მაგალითად, პროფესიული განათლების კვალიფიკაციას დამსაქმებლები პროფესიული განათლების შესაბამისობას შრომის ბაზართან 10-ბალიან სკალაზე თბილისში აფასებენ 6.4 ქულით (მინიმალური 5 და მაქსიმალური 7.5) და რეგიონებში 5.9 (მინიმალური 3 და მაქსიმალური 7
6.	კარგი კოორდინაციაა საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სამინისტროს შორის	კურსდამთავრებულთა უნარების ნაკლებობა პროფესიული განათლების კურსდამთავრებულები ხშირად ვერ აკმაყოფილებენ დამსაქმებლების მოთხოვნას: ამიტომ დამსაქმებლები ქმნიან თავიანთ ცენტრებს ან ატარებენ შიდა ტრენინგებს. პროფესიული განათლების კურსდამთავრებულებს არ აქვთ გააზრებული კარიერული წინსვლის მნიშვნელობა, სამუშაო ეთიკა
7.		რესურსების ნაკლებობა: ადამიანური და სასწავლო
8.		პროფესიული მასწავლებლის ხარისხი და მათი უწყვეტი პროფესიული განვითარება

1. ეროვნული ანგარიშის ჩარჩო

ბლოკი A: საქართველოს პროფესიული განათლების მიმოხილვა

A.1: ქვეყნის შესახებ ინფორმაცია

A.1.1 შესავალი

საქართველო საშუალოზე დაბალი შემოსავლის მქონე ქვეყანაა, სადაც მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდა წელიწადში დაახლოებით 5% -ია. ამ განვითარებაზე გავლენა იქონია გარე გარემოებამ, მაკრო ფისკალური პოლიტიკის თანმიმდევრულმა პოლიტიკამ. მომსახურების სფერო არის ყველაზე სწრაფად მზარდი სექტორი, რომელშიც ლიდერობს სტუმართმოყვარეობა და ფინანსური მომსახურება. 2017 წელს განათლებამ შეადგინა მთლიანი შიდა პროდუქტის დაახლოებით 3%, 2018 წლის პირველი ორი კვარტლისთვის კი ეს მაჩვენებელი 3.6% -ს შეადგენს. საქართველოს ეკონომიკაში დომინირებს მცირე და საშუალო საწარმოები (მცირე და საშუალო ბიზნესი), რომლებიც საწარმოთა 94% -ს შეადგენენ. მცირე და საშუალო ბიზნესი ძირითადად კონცენტრირებულია დაბალ-პროდუქტიულ სფეროებში. მცირე და საშუალო ბიზნესის მხოლოდ 10% არის აქტიურ წარმოებაში. 2016 წელს მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსის თანახმად, საქართველო არის რეფორმატორი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის და მან მნიშვნელოვნად გაუმჯობესა მცირე და საშუალო ბიზნესის ინსტიტუციური ჩარჩო.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველომ გაუმჯობესა ბიზნეს გარემოს ადმინისტრაციული რეგულაციები; აქ შედის ადმინისტრაციული რეგულაციების გამარტივება, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა, თავისუფალი ვაჭრობის ხელშეწყობა, პრივატიზაციის ხელშეწყობა და პოლიტიკის პარტნიორობის პლატფორმის შექმნა სამეწარმეო-სწავლების ეროვნული კონცეფციის შესაქმნელად. ეს ძალისხმევა აღიარებულია მსოფლიო ბანკის ბიზნესის

დაწყების შეფასებაში, რომლის მიხედვითაც 2018 წელს საქართველო 190 ქვეყნიდან მე -6 ადგილზეა[1].

საქართველოს მოსახლეობა ასაკობრივი სტრუქტურის შეცვლისა და მაღალი მიგრაციის გამო მცირდება[2]. ბოლო 12 წლის განმავლობაში მოსახლეობის რაოდენობა შემცირდა 600000-ით (საქსტატი, 2016). გაიზარდა ურბანული მოსახლეობა, ხოლო ახალგაზრდების წილი პროპორციულად შემცირდა, 2009 წელს 16.3% -დან 2016 წელს 12.6% -მდე (საქსტატი, 2016). მოსახლეობის ასეთი ცვლილებები მიგრაციის ტენდენციებთან ერთად, გავლენას ახდენს სამუშაო ძალის დეფიციტზე. მიგრაცია მნიშვნელოვანი მოვლენაა საქართველოში. საქსტატის მონაცემებით, ბოლო წლებში იზრდება საქართველოდან იმიგრანტების ნაკადი. ყველაზე ხშირად ახალგაზრდები ტოვებენ საქართველოს, ყველაზე მაღალი მაჩვენებელი კი 25–29 წლის ასაკობრივ და შემდეგ 30-34 -ჯგუფებშია.

ტურინის პროცესის 2016-2017 წლების შემდეგ პოლიტიკის მნიშვნელოვანი დოკუმენტები მომზადდა, მაგალითად, შრომის ბაზრისა და დასაქმების სტრატეგია 2019-23 წლებში და დასაქმების სამსახურის შესახებ კანონი. კანონი „პროფესიული ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების შესახებ“ ამოქმედდა 2018 წლის აგვისტოში, რომელიც საშუალებას მისცემს OHS კანონმდებლობის შემუშავებას ევროკავშირის დირექტივებისა და ევროკავშირ-საქართველოს ასოცირების შესახებ შეთანხმების შესაბამისად. 2017 წელს დამტკიცდა განათლების ახალი სტრატეგია, რომელიც მოიცავს განათლების ყველა ეტაპს, დაწყებული სკოლამდელი განათლებით და დამთავრებული მეცნიერებით. 2018 წლის სექტემბერში პარლამენტმა მიიღო ახალი კანონი „პროფესიული განათლების შესახებ“ .

2017 წლის ბოლოს და 2018 წლის შუა პერიოდში საქართველომ დაიწყო მთავრობის რესტრუქტურიზაციის ორი რაუნდი. პირველი რაუნდის შედეგად სამინისტროების რაოდენობა შემცირდა და ყოფილი სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტრო, ახალგაზრდული პოლიტიკის პასუხისმგებლობა შეუთავსეს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს. 2018 წლის შუა პერიოდში კულტურისა და სპორტის სამინისტრო გაერთიანდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან. იძულებით გადაადგილებულ პირთა მიმართ პოლიტიკის პასუხისმგებლობა გადავიდა ოკუპირებული ტერიტორიების, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ახალ სამინისტროში (MoIDPLHSA). მინისტრების მოადგილეების რაოდენობა ახალი განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროში (MESCS) შემცირდა შვიდიდან ხუთამდე და ცვლილებები შევიდა სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების ხელმძღვანელობაშიც.

ფინანსთა მინისტრის ინფორმაციით, საქართველოში 2018 წელს სახელმწიფო ხარჯები განათლების ყველა საფეხურზე 1.2 მილიარდ ლარს შეადგენდა, რაც მთლიანი სახელმწიფო ხარჯების 11.8% -ს შეადგენს. საშუალოდ, 2015-18 წლებში განათლების ბიუჯეტის ხარჯები გაიზარდა 76% -ით, ხოლო 2018 წლის განათლების ბიუჯეტმა მშპ-ს 3.1% -ს მიაღწია. სახელმწიფოს მიზანია, რომ 2022 წლისთვის განათლების ხარჯებმა მთლიანი შიდა პროდუქტის 6% -ს მიაღწიოს, რაც სახელმწიფო ბიუჯეტის 25% -ს შეადგენს.

2019–22 წლების პროგრამა ხელს შეუწყობს რეფორმების გააქტიურებას უნარების განვითარებისა და სამეწარმეო სწავლების მიმართულებით, განსაკუთრებით ახალგაზრდებსა და დაუცველ ჯგუფებთან.

2018 წელს დასრულდა ევროკავშირის პროექტის ტექნიკური დახმარება პროფესიული განათლებისა და დასაქმების რეფორმებში (EUVEGE). ევროკავშირის ახალი პროგრამის Skills4Jobs შეთანხმების ხელშეკრულება გაფორმდა 2018 წელს; პროგრამის მიზნობრივი ჯგუფი განსაკუთრებით დაუცველი ახალგაზრდებისა ჯგუფი არის.

საქართველომ შეიმუშავა SDGs ეროვნული დოკუმენტი - მატრიცა, რომელიც მოიცავს გლობალურ მიზნებს, საქართველოს რეგულირებულ მიზნებსა და ინდიკატორს 2020/2025/2030 წლებისთვის; მთლიანობაში, საქართველოს აქვს 16 მიზანი და დაახლოებით 50 მაჩვენებელი.

[1] Doing business, World Bank, 2019

[2] Georgia has 746 000 emigrants abroad, representing 16% of its population (World Bank, 2016, data for 2013)

A.2: პროფესიული განათლების სისტემის მიმოხილვა

A.2.1 პროფესიული განათლების სისტემის მიმოხილვა: მარეგულირებელი ჩარჩო

2013–20 წლებში პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგია ასახავს ეროვნულ დონეზე პროფესიული განათლების განვითარების პრიორიტეტს; ის ხაზს უსვამს პროფესიული განათლების სფეროში მაღალი ხარისხისა და მოქნილობის მნიშვნელობას. პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიული მიმართულებები გაერთიანებულია განათლების ახალ ერთიან სტრატეგიაში.

2018 წლის სექტემბერში, საქართველოს პარლამენტმა მიიღო პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონი, რომელიც მნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო პროფესიული განათლების სფეროში. პროფესიული განათლების შესახებ კანონი არის ჩარჩო კანონი, რომელიც მთავრობას საშუალებას აძლევს განავითაროს პროფესიული განათლების სისტემა მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის პერსპექტივით; სამართლებრივი რეგულაციები მოარგოს შრომის ბაზარს, ეკონომიკურ განვითარებასა და მოსწავლეთა საჭიროებებს. საჭიროა კანონქვემდებარე აქტების შემუშავება, რათა კანონის სწორად განხორციელება მოხდეს; მომდევნო წლების განმავლობაში ამ პროცესს ხელს შეუწყობენ საერთაშორისო პარტნიორები. პროფესიული განათლების კანონი (2018 წელი) მიზნად ისახავს ჩიხების აღმოფხვრასა და ახალი საგანმანათლებლო შესაძლებლობების შექმნას, კერძო სექტორის ჩართვას სამუშაოზე დაფუძნებული სწავლისა და საჯარო-კერძო პარტნიორობის საშუალებით.

პროფესიული განათლების შესახებ კანონის თანახმად, პროფესიული განათლება განისაზღვრება როგორც განათლება, რომელიც უზრუნველყოფს პიროვნების კომპეტენციების განვითარებას კონკრეტული პროფესიის ან / და შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისად და მიმართულია პირის უწყვეტი პროფესიული, სოციალური და პიროვნული განვითარებისკენ; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი არის იურიდიული პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის წესების შესაბამისად, უფლებამოსილია განახორციელოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები, პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამები, აგრეთვე სახელმწიფო ენის პროგრამები; უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებსა და სკოლებს ასევე შეუძლიათ განახორციელონ პროფესიული საგანმანათლებო პროგრამა, თუ ისინი აკმაყოფილებენ ავტორიზაციის მოთხოვნებს.

მოთხოვნები.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მოცემულია ცხრილში 3.

ცხრილი 3. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, კვალიფიკაცია და შესვლის მოთხოვნები

პროგრამა	საკვალიფიკაციო დონე NQF-ის მიხედვით	შესვლის მოთხოვნები
დაწყებითი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა	მე -3 დონე	დოკუმენტი, რომელიც ასახავს მინიმუმ დაწყებით ზოგად განათლებას
საშუალო პროფესიული საგანმანათლებლო დამადასტურებელი პროგრამა	მე –4 done	სულ მცირე ზოგადი განათლების ან მისი ექვივალენტის დამადასტურებელი დოკუმენტი
უმაღლესი პროფესიული განათლების პროგრამა	მე –5 დონე	სრული ზოგადი განათლების ან მისი ეკვივალენტის დამადასტურებელი დოკუმენტი
მოკლევადიანი ციკლის საგანმანათლებლო პროგრამები	მე -5 დონე	სრული ზოგადი განათლების ან მისი ეკვივალენტის

		დამადასტურებელი დოკუმენტი
პროფესიული მომზადების/ გადამზადების პროგრამები	2, 3, 4 და 5 დონე	პროგრამის მოთხოვნების მიხედვით

პროფესიული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი არის დიპლომი და სერთიფიკატი. სერთიფიკატი უფლებამოსილი დაწესებულების მიერ გაცემული დოკუმენტია, რომელიც ამტკიცებს პირის პროფესიულ მომზადებას ან გადამზადებას ან სასწავლო შედეგების მიღწევას, რომელიც გათვალისწინებულია პროფესიული განვითარების ცალკეული მოდულით; ერთობლივი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულების შემდეგ, ერთობლივი დიპლომი გაიცემა.

2018 წელს პარლამენტმა მიიღო NQF- სთან დაკავშირებული ცვლილება "განათლების ხარისხის განვითარების შესახებ" კანონში. განახლებული NQF დამტკიცდა 2019 წელს (MSCS, ბრძანება 69 / ნ); ის შედგება 8 დონისა და დონის 3 აღმწერისგან: ცოდნა და გაცნობიერება, უნარი და პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა. იგი აღწერს კვალიფიკაციას, რომელიც უკვე არსებობს საქართველოს განათლების სისტემაში და აჩვენებს მათ ურთიერთკავშირს ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე. NQF მოიცავს კვალიფიკაციას, რომლის საფუძველზეც გაიცემა დიპლომი (დიპლომი მიუთითებს შესაბამის კვალიფიკაციაზე). იგი ემყარება ევროპული კვალიფიკაციის ჩარჩოს პრინციპებს.

ცხრილი 4. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტები

	განათლების ქვესისტემებში არსებული კვალიფიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები	**პროფესიული მომზადების/გადამზადების პროგრამების დასრულების შედეგად გასაცემი კვალიფიკაციების დამადასტურებელი დოკუმენტები**
დონე 1	ქართულ ენაში მომზადების სერტიფიკატი/სახელმწიფო ენაში მომზადების სერტიფიკატი	
დონე 2	ქართულ ენაში მომზადების სერტიფიკატი/სახელმწიფო ენაში მომზადების სერტიფიკატი	პროფესიული მომზადების მეორე დონის სერტიფიკატი პროფესიული გადამზადების მეორე დონის სერტიფიკატი
დონე 3	საბაზო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი ქართულ ენაში მომზადების სერტიფიკატი/სახელმწიფო ენაში მომზადების	პროფესიული მომზადების მესამე დონის სერტიფიკატი პროფესიული გადამზადების მესამე დონის სერტიფიკატი სერტიფიკატი
დონე 4	სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი სახელმწიფო დოკუმენტი, საშუალო პროფესიული განათლების დამადასტურებელი დიპლომი ქართულ ენაში მომზადების სერტიფიკატი/სახელმწიფო ენაში მომზადების სერტიფიკატი	პროფესიული მომზადების მეოთხე დონის სერტიფიკატი,პროფესიული გადამზადების მეოთხე დონის სერტიფიკატი
დონე 5	ასოცირებული ხარისხის დამადასტურებელი დიპლომი უმაღლესი პროფესიული, განათლების დამადასტურებელი დიპლომი	პროფესიული მომზადების მეხუთე დონის სერტიფიკატი, პროფესიული გადამზადების მეხუთე დონის სერტიფიკატი
დონე 6	ბაკალავრის დამადასტურებელი დიპლომი მასწავლებლის მომზადების სერტიფიკატი	

დონე 7	მაგისტრის დამადასტურებელი დიპლომი,დიპლომირებული მედიკოსის დამადასტურებელი დიპლომი, დიპლომირებული სტომატოლოგის დამადასტურებელი დიპლომი, განათლების მაგისტრის დამადასტურებელი დიპლომი,ვეტერინარიის მაგისტრის დამადასტურებელი დიპლომი, ვეტერინარის მომზადების სერტიფიკატი	
დონე 8	დოქტორის დამადასტურებელი დიპლომი	

A.2.2 ინსტიტუციური მოწყობა და მართავა

პოლიტიკის შემუშავების მთავარი ორგანო განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროა (MESCS). მთავრობა შეიმუშავებს ეროვნული განვითარების პოლიტიკასა და სტრატეგიებს და პასუხისმგებელია პროფესიული განათლების სფეროში მიზნების დადგენაზე, კონსულტაციებს მართავს მის სააგენტოებთან, სოციალურ პარტნიორებთან, ორი ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასა (აჭარა, აფხაზეთი) და საერთაშორისო პარტნიორებთან.

- განათლების მართვის საინფორმაციო სისტემა (EMIS), რომელიც სამინისტროს იურიდიული პირია, პასუხისმგებელია მთელ განათლების სისტემაში მონაცემებისა და მტკიცებულებების შეგროვებაზე.
- ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი პასუხისმგებელია განათლების ყველა დონეზე არსებული ხარისხის უზრუნველყოფაზე. ის ახორციელებს საგანმანთლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის პროცესსა და საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციას. მან ჩამოაყალიბა 11 დარგობრივი საბჭო, რომლებიც ახორციელებენ პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტების ვალიდაციას.
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი არის განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის მიზანია სკოლასა და პროფესიულ კოლეჯებში სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა მასწავლებლის პროფესიული ცოდნისა და საქმიანობის მაღალი სტანდარტის დამკვიდრების გზით.
- შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი (NAEC), რომელიც ექვემდებარება სამინისტროს, მიზნად ისახავს განათლების ხარისხის გაუმჯობესებას ვალიდური და სანდო შეფასებისა და კვლევის საშუალებით. ის საქართველოში ასევე ატარებს PISA- ს კვლევას.
- საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო, რომლის მისიაა საქართველოს განათლების სისტემაში საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითრება.

პროფესიული განათლების მართვა ცენტრალიზებულია, თუმცა პროცესში სოციალური პარტნიორები მონაწილეობენ. ამრიგად, მართვა იხრება ჰიბრიდიზაციის მოდელისკენ, რომელსაც ახასიათებს პოლიტიკის განხორციელების პროცესში სოციალური პარტნიორებისა და პროფესიული განათლების მიმწოდებლების ჩართულობა; პროფესიული განათლების სფეროში პროფესიული განათლების ეროვნული საბჭო არის მთავარი სამმხრივი საკონსულტაციო ორგანო. ის დაკომპლექტებულია მთავრობისა და სოციალური პარტნიორების თანაბარი წარმომადგენლებით. ETF- მა 2016 წლის ტურინის პროცესის ფარგლებში შეისწავლა საბჭოს ეფექტურობა და ეფექტიანობა.

ამჟამად საქართველო სისტემის დონეზე ცდილობს მიმოიხილოს სოციალური პარტნიორობის სხვადასხვა მოდელები, რომლებიც ხელს შეუწყობენ სოციალურ პატნიორებთან შედეგზე ორიენტირებულ და ეფექტურ თანამშრომლობას.

სოციალური პარტნიორები მონაწილეობენ პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტების ვალიდაციის პროცესში დარგობრივი საბჭოების დონეზე. პროფესიული განათლების სისტემა სექტორულ დონეზე უნდა გახდეს უფრო მოთხოვნასა და შრომის ბაზრის საჭიროებებზე ორიენტირებული. ჯერჯერობით არსებული ინიციატივები ძირითადად ფოკუსირებულია მოთხოვნა-მიწოდებას შორის შესაბამისობის გაუმჯობესებაზე, დამსაქმებლების

ჩართვაზე პროფესიული სტანდარტებისა და პროგრამების მომზადების პროცესში. ნათელია, რომ საქართველოში საჭიროა დარგობრივი საბჭოების გაძლიერება, რომლებმაც მნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ ადამიანური კაპიტალისა და უნარების განვითარებაში, განსაკუთრებით პრიორიტეტულ ეკონომიკურ სექტორებში.

სოციალური პარტნიორები მონაწილეობენ პროფესიული კოლეჯების მენეჯმენტში სამეთვალყურეო საბჭოების მეშვეობით; მნიშვნელოვანია, რომ ადგილობრივ დონეზე კერძო სექტორი უფრო მეტად იყოს ჩართული სამუშაოზე დაფუძნებული სწავლისა და დუალური ტიპის სწავლებაში; საქართველოში, ბოლო წლებში სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებასა (WBL) და დუალურ განათლებას დიდი ყურადღება ექცევა.

A.2.3 სტატისტიკური მონაცემები პროფესიული განათლების შესახებ

საქართველოში არის 119 პროფესიული განათლების პროვაიდერი, რომელთა შორის 87 არის პროფესიული კოლეჯი (20 საჯარო და 68 კერძო), 23 - უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება (14 საჯარო და 9 კერძო) და 9 ზოგადი საგანმანათლებლო სკოლა (ყველა კერძო) (EMIS, 2019). საჯარო ქსელი მოიცავს საქართველოს ყველა რეგიონს, ხოლო ყველაზე მეტი კოლეჯი კონცენტრირებულია თბილისში, შემდეგ მოდის აჭარისა და იმერეთის რეგიონები.

ცხრილი 5. პროფესიული განათლების პროვაიდერების შესახებ სტატისტიკური მონაცემები (2019)

	პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების რ-ა	**სტუდენტების რ-ა**
საჯარო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება	11	1480
საჯარო სათემო კოლეჯი	12	4509
საჯარო უმაღლესი საგანმანთლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პროფესიულ პროგრამებს	14	2160
საჯარო სკოლები	1	0
კერძო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება	24	438
კერძო სათემო კოლეჯი	39	3851
კერძო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც ახორციელებს პროფესიულ პროგრამებს	9	557
კერძო სკოლები	9	231

წყარო: EMIS, 2019

ცხრილი 6. **სტუდენტი-მასწავლებელი შეფარდება 2012/13-2017/18**

	2012/13	2013/14	2014/15	2015/16	2016/17	2017/18
მასწავლებლების რ-ა	460	470	450	915	1070	731
სტუდენტების რ-ა	12426	17917	15690	16014	16698	14769
სტუდენტი-მასწავლებელი შეფარდება	27.0	38.1	34.9	17.5	15.6	20.2

2018 წელს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასრულების მაჩვენებელი 68% იყო (75% კერძო და საჯარო დაწესებულებებში - 66 %), ხოლო მიტოვების მაჩვენებელი 27% (კერძო დაწესებულებებში 21% და საჯაროში 30%) (EMIS, 2018).

2018 წელს პროფესიული განათლებისა და დაფინანსების თანაფარდობა MoESCS– ის მთლიანი სახელმწიფო ბიუჯეტის ასიგნებებთან (1.2 მილიარდი ლარი) შეადგენდა მხოლოდ 2.8% (41.4 მილიონი ლარი). ეს მოიცავდა პროფესიული განათლების განვითარების მხარდაჭერის

ღონისძიებებს (94%), პატიმრებისათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას (0.5%), ეთნიკური უმცირესობების მომზადება-გადამზადების ღონისძიებებს (5.6%). საშუალოდ, 2015-2018 წლების განმავლობაში, პროფესიული განათლება და დაფინანსება გაიზარდა 23 მილიონი ლარიდან (2015 წელს) 41 მილიონ ლარამდე (2018 წელს). ზოგადად, პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობის ღონისძიებებზე სახელმწიფო დაფინანსების ყველაზე დიდი ნაწილი მოდის.

2017 წელს ვაუჩერის დაფინანსების თანაფარდობა შეადგენდა მთლიანი პროფესიული განათლების სექტორის საოპერაციო ხარჯების 51% -ს, ხოლო სუბსიდირების დაფინანსება შეადგენდა ოპერაციული ხარჯების 49%-ს.

პროფესიული განათლების კურსდამთავრებულებისთვის შრომითი ბაზრის შედეგების შესწავლა მოხდა ორი ადმინისტრაციული მონაცემთა ბაზის საფუძველზე, საქართველოს სტატისტიკის სამსახურის (GEOSTAT) შრომითი ძალების კვლევისა და განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს კურსდამთავრებულთა კვლევის საფუძველზე. კვლევის ძირითადი დასკვნებია:

- პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი ოდნავ გაიზარდა; 2016 წელს 56% იყო, ხოლო 2018 წელს 60.0% გახდა;
- პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა უმრავლესობა ქალია; ქალთა და მამაკაცთა მონაწილეობა 2017 წლიდან 2018 წლამდე მცირდება, უფრო მეტად, მამაკაცებში.
- პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დაახლოებით ორი მესამედი 31-დან 65 წლამდე ასაკისაა. 30 წელზე უფროსი ასაკის ადამიანები განათლებაში საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ერთვებიან.
- პროფესიული განათლების კურსდამთავრებულებისთვის უმუშევრობის დონე დაბალია უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულებთან შედარებით. ქალთა და მამაკაცთა შორის უმუშევრობა შემცირდა 2017 წლიდან 2018 წლამდე; კონკრეტულად 1,7% -ით კაცებთან და 0.6% -ით ქალებთან. ეკონომიკურად უფრო აქტიურები არიან უმაღლესი განათლების ხარისხის მქონე ადამიანები, მეორე ადგილზე არიან პროფესიული განათლების მქონე პირები. საერთო ეკონომიკური აქტივობა 2017 და 2018 წლებს შორის შემცირდა.
- პროფესიული განათლების კურსდამთავრებულები დაახლოებით მსგავსი ფორმით არიან დასაქმებულები და კვირაში თითქმის იმ დროის განმავლობაში მუშაობენ, როგორც უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულები; მათ შორის მეტია თვითდასაქმებული, მაშინ როდესაც უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულებს შორის ბევრად მეტი დაქირავებული თანამშრომლია.
- უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულები დომინირებენ ყველა ტიპის შემოსავალში; მათ თვეში შემოსავალი 600 ლარი ან მეტი აქვთ.
- მამაკაცები ქალებზე მეტად არიან აქტიურები. განათლება დადებითად არის დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასა და ზოგადად, დასაქმებასთან გარდა თვითდასაქმებისა.
- გამოსაყოფია ორი მიგნება: 1) 2016 წელს და 2017 წელს თვეში ეროვნული საშუალო შემოსავალი იყო დაახლოებით 1000 ლარი, მაგრამ ორივე წელს ყველა გამოკითხულმა განაცხადა, რომ ამ თანხის დაახლოებით ნახევარს იღებდა; და 2) VET კურსდამთავრებულების მცირე რაოდენობა მუშაობს იმ სფეროში, რომელიც შეესაბამება მათ სპეციალობას.
- პროფესიული განათლების კურსდამთავრებულები ძირითადად მუშაობენ კერძო სექტორში. ზოგადად, კერძო სექტორის დასაქმების მაჩვენებლები მნიშვნელოვნად მაღალია.
- დუალური პროფესიული განათლების პროგრამები 2016 -2017 წლებში 3 – დან 23 – მდე გაიზარდა.
- ასევე გაიზარდა სტუდენტთა წილი, რომლებიც განათლების ზედა საფეხურზე აგრძელებენ სწავლას. 2016 წელს ეს მაჩვენებელი 6% იყო, ხოლო 2017 წელს 8%.
- ასევე გაიზარდა ზრდასრულთა განათლების პროგრამაში მონაწილეობა; 2016 წლის მონაცემებით ეს მაჩვენებელი 0.42% იყო, ხოლო 2017 წელს 1.6%.

ასევე, პროფესიული განათლებისადმი საზოგადოების დამოკიდებულების შეფასებამ აჩვენა, რომ 20% -ს აქვს პოზიტიური დამოკიდებულება, 48% ნეიტრალური, 27% უარყოფითი და

5% არ აქვს პასუხი[3]. ამრიგად, საჭიროა მეტი ზომების გატარება პროფესიული განათლების შესახებ მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების მიზნით.

A.2.4 პროფესიული განათლების ხედვა და ძირითადი რეფორმები

ათ წელზე მეტია რაც მიმდინარეობს საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის რეფორმა. პროფესიული განათლების რეფორმების მიზანი ამბიციურია და ფართო სპექტრს მოიცავს, როგორიცაა ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და სიღარიბის შემცირების ხელშეწყობა, ადამიანური რესურსების განვითარება ეროვნულ დონეზე, ინდივიდუალური პოტენციალის მაქსიმალურად განვითარება მიმდინარე და სამომავლო, ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის სჭირდების მიხედვით, ინკლუზიური, ყველასთვის ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო სისტემის ფორმირება LLL კონტექსტში. პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია შეესაბამება სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიას - "საქართველო 2020", რომელიც ხაზს უსვამს განათლების სექტორის მნიშვნელობას ადამიანური კაპიტალის განვითარებისა და ამრიგად, ქვეყნის ძლიერი ეკონომიკური განვითარების უზრუნველსაყოფად.

სტრატეგია ხორციელდება სამოქმედო გეგმის საფუძველზე, რომელიც ყოველწლიურად განახლდება; მის განხორციელებას თან ახლავს სისტემატური მონიტორინგისა და შეფასების პროცესი ინდიკატორების საფუძველზე.

2017 წელს მომზადდა განათლებისა და მეცნიერების სამინიტროს ერთიანი სტრატეგია (2017-2021წწ), რომელიც ეფუძნება განათლებისა და მეცნიერების სფეროში მიმდინარე რეფორმების მიღწევებისა და გამოწვევების ანალიზს. სტრატეგია მოიცავს სისტემის ყველა მიმართულებას: ბავშვთა ადრეული/სკოლამდელი აღზრდა და განათლება, ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლება, ზრდასრულთა განათლება, მეცნიერება და კვლევები. სტრატეგია დამტკიცებულია საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ (ბრძანება #533 07.12.2017) და ხორციელდება შესაბამისი სამოქმედო გეგმის საფუძველზე, რომლის შესრულების ანგარიშიც მზადდება ყოველწლიურად.

სტრატეგიის ერთ-ერთ სპეციფიკურ მიზნად განსაზღვრულია ქვეყნის სოციო-ეკონომიკური განვითარების მხარდასაჭერად პროფესიული სტუდენტების რაოდენობის გაზრდა, მათი კონკურენტუნარიანობის უზრუნველყოფა, პროფესიული და ზოგადი უნარების განვითარება. ამ მიზნის მისაღწევად დასახულია სამი სტრატეგიული ამოცანა:

1. პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა და სისტემის ინტერნაციონალიზაცია;
2. მთელი ცხოვრების მანძილზე პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა;
3. პროფესიული განათლების პოპულარიზაცია და მიმზიდველობის გაზრდა.

როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, 2018 წლის სექტემბერში საქართველოს პარლამენტმა მიიღო პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონი. კანონი მიზნად ისახავს პროფესიული განათლების სისტემის ხარისხისა და მოქნილობის გაუმჯობესებას - ზოგად, პროფესიულ და უმაღლეს განათლებას შორის მოქნილი კავშირის დამყარებას, პროფესიულ განათლებაში ზოგადი განათლების კომპონენტის დანერგვას, ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარებასა და სხვა მნიშვნელოვანი ცვლილებების განხორციელებას. კანონის ძალაში შესვლით პროფესიული განათლების სისტემაში გზა გაეხსნა რეფორმის ახალ ეტაპს.

ახალი კანონის საფუძველზე მნიშვნელოვანი ნაბიჯები გადაიდგა ზრდასრულთა განათლების სისტემის მიმართულებით. ზრდასრული მოსახლეობის უნარების განახლებისა და შრომის ბაზრის მოთხოვნების დაკმაყოფილების მიზნით მოხდა ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარება ფორმალური განათლების ჭრილში. აღნიშნული გულისხმობს მოკლევადიანი პროფესიული მომზადება-გადამზადების პროგრამების დასრულების შემდეგ სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატის გაცემას. მომზადებისა და გადამზადების სერვისების მიწოდებაში, გარდა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისა, ასევე ჩაერთვებიან კერძო კომპანიების ტრენინგ-ცენტრები.

3

პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონის ამოქმედებამ შექმნა სამართლებრივი საფუძველი არაფორმალური განათლების აღიარების მექანიზმების დანერგვის მიმართულებითაც. მომზადებულია შესაბამისი კანონქვემდებარე აქტის საბოლოო რედაქცია. არაფორმალური განათლების აღიარების წესის დამტკიცება დაგეგმილია 2019 წლის მეორე კვარტალში. საწყის ეტაპზე აღიარება მოხდება ორ სფეროში - მშენებლობა და სოფლის მეურნეობა.

ახალი კანონის მიღებისთანავე დაიწყო მოსამზადებელი სამუშაოები ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებში ინტეგრაციისათვის. პროცესებში გათვალისწინებული იქნა 2017-2019 წლებში განხორციელებული ორი ინტეგრირებული პროგრამის პილოტირების შედეგები. აღნიშნულ პროგრამებზე სტუდენტთა მიღება დაიწყება 2019 წლის საშემოდგომო მიღების ფარგლებში.

პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის მონაწილეობის გაზრდის მიზნით გრძელდება მუშაობა დუალური განათლების მიდგომისა და კერძო და საჯარო პარტნიორობის მოდელის დანერგვის ხელშეწყობის მიმართულებით. გაიზარდა დუალური ანუ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით დანერგილი პროგრამების რაოდენობა. მიმდინარე ეტაპზე დუალური მიდგომით ხორციელდება 29 საგანმანათლებლო პროგრამა 13 საგანმანათლებლო დაწესებულებაში. ასევე, 2019 წლიდან პროფესიული განათლების სისტემა სრულად გადავიდა მოდულურ სწავლებაზე, რაც გულისხმობს, რომ სისტემაში დანერგილი ყველა პროგრამა არის დამსაქმებელთა მონაწილეობით შემუშავებული.

ბრიტანეთის კარგი მმართველობის ფონდის დაფინანსებით ასევე დაიწყო პროექტი, რომელიც მიზნად ისახავს „მოკლე ციკლის“ პროგრამების დანერგვაში ტექნიკურ დახმარებას. პროექტის ფარგლებში მომზადდა შესაბამისი კონცეფცია. სწორედ აღნიშული პროგრამების დანერგვის შედეგად მოხდება პროფესიული განათლების სისტემის დაკავშირება უმაღლეს განათლებასთან.

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება კვლავ რჩება პროფესიული განათლების ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრიორიტეტად. მუნიციპალური დაფარვის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს პროფესიული სასწავლებლების/მათი ფილიალების დაფუძნება/განვითარება. პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ერთ-ერთ მექანიზმს ასევე წარმოადგენს სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარების პროგრამა, რომლის მასშტაბებიც წლიდან წლამდე მზარდია. პროფესიული ორიენტაციის კომპონენტის ფარგლებში პროგრამა ხორციელდება 2017 წლიდან და მიზნად ისახავს სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებას.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების რეფორმის კვალდაკვალ ყოველწლიურად მზარდია პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი. 2018 წლის კვლევის შედეგების მიხედვით კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელმა შეადგინა 60%, რაც წინა წელთან შედარებით 4% ზრდას აჩვენებს.

A.3: პროფესიული განათების სისტემის გარემო

A.3.1 სოციო-ეკონომიკური მდგომარეობა

ცხრილი 7. საქართველო ერთი შეხედვით

პარამეტრი		წელი
მოსახლეობის ზომა (მილიონი)	3,729,600	2018
ზრდის მაჩვენებელი	-0.07	2019
ახალგაზრდები	17.6	2019
მშპ ერთ სულ მოსახლეზე	4 505.76	2018
GDP ზრდის მაჩვენებელი	4.5	2018
ინფლაცია (%)	3.6	2018
სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა	21.9	2017
დასაქმების მაჩვენებელი	56.7	2017
უმუშევრობის მაჩვენებელი	12.7	2018
ახალაგზარდების უმუშევრობის მაჩვენებელი (15-24)	26.6	2018
თვითდასაქმება	51.7	2017

პარამეტრი		წელი
NEET	24.8	2017
წიგნიერება (% მოსახლეობის)	99.6	2018
ინოვაციის მაჩვენებელი	35.0	2018

წყარო: საქსტატი

A.3.2 მიგრაცია და ლტოლვილთა ნაკადები

შრომითი მიგრაცია საქართველოს მოსახლეობისა და ხელისუფლებისათვის ერთ-ერთ აქტუალურ გამოწვევას წარმოადგენს. განსაკუთრებით დიდია საქართველოდან ემიგრაციის მასშტაბები: ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით, 1989-2014 წლებში საქართველოს მოსახლეობის რაოდენობა ემიგრაციის ხარჯზე თითქმის ორი მილიონი კაცით შემცირდა. რა თქმა უნდა, ემიგრანტებიდან ყველა არ არის შრომითი ემიგრანტი და მათ შორის არიან ისეთებიც, რომლებიც სხვა ქვეყნებში (მათ შორის ისტორიულ სამშობლოში) მუდმივად საცხოვრებლად ან სასწავლებლად წავიდნენ, მაგრამ ექსპერტული შეფასებით საქართველოდან წასული ემიგრანტების სულ ცოტა 60% (1 მლნ 200 ათასი კაცი) შრომითი ემიგრანტია. აღნიშნული რიცხვი ხშირად სპეციალისტთა კამათის საგანია (სახელდება სხვადასხვა რიცხვი - 120 ათასიდან 2 მლნ კაცამდე), მაგრამ ფაქტია, რომ ფაქტობრივად არ დარჩენილა საქართველოს არცერთი კუთხე, მუნიციპალიტეტი, მოსახლეობის არცერთი ჯგუფი, რომელსაც შრომითი ემიგრაცია ამა თუ იმ სახით არ შეეხო. არალეგალური შრომითი ემიგრაცია პრობლემებს უქმნის მიმღებ ქვეყნებსაც, რის გამოც ხდება ჩვენი თანამემამულეების იძულებითი დაბრუნება (დეპორტიაცია, რეადმისია). იძულებითი დაბრუნება კი არსებითად ამძიმებს ემიგრანტების ისედაც მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობას. კვლევების მიხედვით საქართველოდან შრომითი ემიგრანტების ნახევარზე მეტი საზღვარგარეთ წასასვლელად ვალს იღებს, ან ყიდის ქონებას. ეს უკანასკნელი განსაკუთრებით დიდი რისკის შემცველია, ვინაიდან წარუმატებელი ემიგრაციის შემთხვევაში სამშობლოში დაბრუნებისას მიგრანტს 5/1/2019 file:///tmp/tomcat8-tomcat8-tmp/4b9bd72a-a53f-49c4-a530-8abda69786b3.html 3/4 და მის ოჯახს გამორჩეულად რთულ პირობებში აყენებს. ასეთი ადამიანების სტატისტიკა სამწუხაროდ, არ არსებობს, თუმცა პრაქტიკა მოწმობს, რომ მათი რიცხვი არცთუ მცირეა და ისინი ემატებიან „უსახლკაროთა“ კატეგორიას, რომელიც საქართველოში მზარდი ტენდენციით ხასიათდება. საქართველოსთვის სულ უფრო აქტუალური ხდება შრომითი იმიგრაციის პრობლემაც. ვინაიდან დღეისათვის საქართველოში მოქმედი შრომითი იმიგრაციის კანონმდებლობა არის ლიბერალური და დაწესებული ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო არანაირ პასუხისმგებლობას არ ითვალისწინებს. არ არსებობს სრულყოფილი ინფორმაცია საქართველოში მყოფი უცხოელების საქმიანობის შესახებ, თუმცა ცნობილია ის ფაქტი, რომ მათი უმრავლესობა ასევე არალეგალურად არის დასაქმებული და არსებობს მათი უფლებების დაცვის საჭიროებაც. ამ პროცესების თვითდინებაზე მიშვება საკმაოდ დიდი რისკების შემცველია როგორც ეკონომიკური, ისე პოლიტიკური თვალსაზრისით.

A.3.3 განათლების სისტემის მიმოხილვა

საქართველოში განათლება სავალდებულოა 6–14 წლის ყველა ბავშვისთვის; ქვეყანას აქვს საშუალო განათლებაში ჩარიცხვის მაღალი მაჩვენებელი (2016 წელს 100.%) და სკოლის ადრე მიტოვების შედარებით დაბალი მაჩვენებელი (2017 წელს 8.9%); წიგნიერების პრობლემა მინიმალურია (დაახლოებით 0.4%). 18-24 წლის ასაკის დაახლოებით 9.6% დროზე ადრე ტოვებს განათლებას.

შრომისუნარიანი მოსახეობის განათლების მიღწევის დონე მაღალია; 2018 წელს საშუალო 30-34 წლის ასაკობრივ ჯგუფში 44.1%-ს ჰქონდა უმაღლესი განათლება. ამასთან, განათლების ხარისხი კვლავ რჩება პრობლემად ზოგადსაგანმანათლებლო სისტემაში. OECD 2019 წლის სტუდენტთა საერთაშორისო შეფასების პროგრამაში (PISA), ქართველმა მოსწავლეებმა OECD- ს საშუალოზე დაბალი მაჩვენებები აჩვენეს ყველა სფერზე. 38% წიგნიერების მაჩვენებელი, 34% მეცნიერებაში, ხოლო მხოლოდ 31% მათემატიკაში. 2015 წელს წაკითხულის გააზრების პრობლემა (15 წლის ასაკიდან) ჰქონდა 51.7%, მათემატიკის -57.1% და მეცნიერების 50.8%

სასკოლო სისტემა შედგება 3 საფეხურისგან: დაწყებითი (ექვსი წელი; 6–12 წლის ასაკში), საბაზო (სამი წელი; 12–15 წლის ასაკში) და საშუალო (სამ წლამდე; 15–18 წლის ასაკამდე). 2018 წლამდე საშუალო სკოლის სერტიფიკატის მქონე მოსწავლეებს შეეძლოთ უმაღლეს განათლების

მიღება; სახელმწიფო აკრედიტებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხვისთვის აბარებენ ერთიან ეროვნულ გამოცდებს. 2018 წელს ახალი პროფესიული განათლების შესახებ კანონის საფუძველზე შესაძლებელი გახდა ზოგადსაგანმანათლებლო საგნების ინტეგრირება პროფესიული განათლების სფეროში და პროფესიული განათლების დამადასტურებელი კურსდამთავრებულების შესაძლებლობა მიეცათ მიიღონ უმაღლესი განათლება. უმაღლესი განათლება მოიცავს 3 საფეხურს: ბაკალავრიატი (240 ECTS), მაგისტრატურა (120 ECTS) და დოქტორანტურა (180 ECTS).

პროფესიული განათლების პროგრამა ხორციელდება NQF- ის 3, 4 და 5 დონეზე; სასწავლო და გადამზადების პროგრამები 2-5 დონეზე.

ნახ: საქართველოს განათლების სისტემის მიმოხილვა



წყარო: NCEQE, 2019

პროფესიულ განათლებას ახორციელებენ როგორც საჯარო, ასევე კერძო კოლეჯები. უნივერსიტეტებსა და სკოლებს ასევე შეუძლიათ ასწავლოს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.

ბოლო პერიოდში გაუმჯობესდა პროფესიული განათლების იმიჯი, თუმცა პროფესიული განათლება მაინც ითვლება მეორეხარისხოვნ განათლებად უმაღლეს განათლებასთან შედარებით; პროფესიულ პროგრამებში სტუდენტთა წილი საშუალო განათლების სტუდენტთა საერთო პროცენტულ მაჩვენებელთან შეფარდებით (ISCED დონე 3) 2016 წელს იყო 8.8% (9.7 % კაცი და 7.8 %ქალი). ჩარიცხვის ზოგადი მაჩვენებელი 2017/2018 წლებში 2.6 იყო (ცხრილი 8).

ცხრილი 8. პრიფესიულ განათლებაში ჩარიცხვის მაჩვენებელი (Net enrolment rate)

	2012/13	2013/14	2014/15	2015/16	2016/17	2017/18
I დონის პროფესიული განათლება	0.2	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
II დონის პროფესიული განათლება	0.8	0.2	0.2	0.1	0.1	0.2
III დონის პროფესიული განათლება	1.9	1.9	1.6	1.5	1.6	1.6

IV დონის პროფესიული განათლება	0.0	0.5	0.4	0.4	0.3	0.3
V დონის პროფესიული განათლება	0.2	0.9	0.8	0.8	0.8	0.8
Sul	3.3	3.8	2.9	2.8	2.8	2.6

A.3.4 მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონტექსტი

საქართველო აცნობიერებს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის მნიშვნელოვნებას რამდენიმე მიზეზის გამო: ხელი შეუწყოს ქართული საგანმანათლებლო სისტემის ევროპულ სისტემასთან ინტეგრაციას, ხელი შეუწყოს ქვეყნის სოციალურ და ეკონომიკურ განვითარებას ქვეყნის ფინანსური და მატერიალურ-ტექნიკური შესაძლებლობების გაძლიერების გზით. ქვეყნის ადამიანური კაპიტალის განვითარება, უნარების დახვეწა, ასევე მიწოდებასა და მოთხოვნილებას შორის არსებული შეუსაბამობის შემცირება, ზრდასრულთა დასაქმების მხარდაჭერა და ადგილობრივი და რეგიონალური შრომის ბაზრის (LM) საჭიროებების დაკმაყოფილება.

განათლების ერთიანი სტრატეგია 2017-2021წწ განსაზღვრავს განათლებისა და მეცნიერების ყველა დონეს, როგორიცაა ადრეული და სკოლამდელი განათლება, ზოგადი განათლება, პროფესიული განათლება, უმაღლესი განათლება და კვლევა და განვითარება; ის ასევე განსაზღვრავს განათლებისა და მეცნიერების განვითარების ძირითად მიმართულებებს მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის კონტექსტში. მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლა არის საქართველოს პოლიტიკის პრიორიტეტი, თუმცა 2018 წელს მთელი სიცოცხლის მანძილზე განათლებაში მონაწილეობის მაჩვენებელი 25-64 წლის ასაკის მოსახეობისთვის 1% იყო [4].

2016 წელს ჩატარებულმა კვლევამ აჩვენა (Kitiashvili & Tasker, 2016), რომ გამოკითხულ მოზრდილთა უმრავლესობას (93.0%) დადებითი დამოკიდებულება ჰქონდა უწყვეტი განათლების მიმართ, თუმცა გამოკითხულთა დაახლოებით 80.0% -ს არ ჰქონდა ამ ტიპის განათლების მიღების შესაძებლობა წინა წლის განმავლობაში.

რესპონდენტებმა, რომლებიც წინა 5 წლის განმავლობაში დაესწრნენ საგანმანათლებლო პროგრამებს, ისწავლეს სოციალური უნარები (გუნდური მუშაობა, თანამშრომლობა; 33.0%), IT (33.0%), სამეწარმეო უნარები (27.0%), კომუნიკაციების (17.0%) და პრობლემების გადაჭრის უნარები 7 (14.0) %). არცერთ მათგანს დაუსახელებია პროფესიაზე ორიენტირებული ტრენინგი. ხოლოგანხორციელებული საქმიანობის უმეტესობა არაფორმალური იყო.

ბარიერებს შორის დასახელდა ფინანსების, ინფორმაციისა და დროის ნაკლებობა.

პროფესიული განათლების სტრატეგიის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი განზომილება არის მთელი ცხოვრების განმავლობაში განათლება; პროფესიულ და საკვანძო კომპეტენციების უწყვეტი განვითარება მთელი ცხოვრების განმავლობაში;

მთელი ცხოვრების განმავლობაში განათლება არის შემდეგი სტრატეგიული დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი:

1. ასოცირების ხელშეკრულება (2014)
2. ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩო (2019)
3. 2005 წელს ბოლონიის დეკლარაციის ხელმოწერა
4. პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგია 2013-2020
5. პროფესიული განათლების შესახებ კანონი (2018)
6. საქართველოს მთავრობის სამოქალაქო ინტეგრაციისა და ტოლერანტობის კონცეფცია და სამოქმედო გეგმა 2009-2014
7. E- საქართველოს სტრატეგია და სამოქმედო გეგმა 2014-2018

A.3.5 საერთაშორისო თანამშრომლობის კონტექსტი: პარტნიორობა და დონორების დახმარება

2016-17 წლიდან ტურინის პროცესის ძირითადი დონორი ორგანიზაციები, რომლებიც ხელს უწყობენ პროფესიული განათლების სექტორის განვითარებას, არიან:

[4] Source: (2012-2016) Expert/ETF calculations on Geostat data; (2017-2018) Geostat

ორგანიზაცია & პროექტები	აღწერა	ბიუჯეტი	ხანგრძლივობა და სტატუსი
1. „დასაქმება, პროფესიული განათლება და გადამზადება“ - ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში	განმახორციელებელი ორგანიზაციები არიან - ევროკავშირის წარმომადგენლობა საქართველოში, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო. პროექტის ძირითად მიზანს წარმოადგენდა პროფესიული გადამზადებიდან დასაქმებაზე გადასვლის შესაძლებლობის გაძლიერების მეშვეობით მდგრადი და ინკლუზიური სოციო-ეკონომიკური განვითარების სტიმულირება. ზოგადი მიზნები: • სახელმწიფო უწყებების ინსტიტუციური და ადამიანური შესაძლებლობების გაძლიერება, რათა კერძო სექტორთან პარტნიორობით მოხდეს შრომის ბაზრისა და პროფესიული უნარების საჭიროების განსაზღვრა, კოორდინაცია, იმპლემენტაცია და მონიტორინგი; • პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემის ხარისხის გაზრდა უწყვეტი განათლების პერსპექტივით • პოტენციური პროფესიული სტუდენტებისა და დამსაქმებლებისათვის პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემის მიმზიდველობის გაზრდა და ამ სისტემაში დამსაქმებელთა ჩართვის სტიმულირება.	27 მილიონი ევრო	2013-2018 დასწყლდა 2018-წელს
1. „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარების თვის“ - ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველო	განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსთან თანამშრომლობით „ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს“ მიერ განხორციელდა პროექტი „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“. პროექტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოში შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული განათლების სისტემის განვითარება უმუშევრობის დაძლევისა და ქვეყნის ეკონომიკური წინსვლის ხელშეწყობის მიზნით. ბიუჯეტი 16 მლნ. აშშ დოლარი. პროექტი მოიცავდა ოთხ კომპონენტს: • მსხვილი საგრანტო პროგრამა პროფესიული განათლების პროვაიდერებისთვის: პროგრამის ფარგლებში გაიცა გრანტები შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი ახალი საგანმანათლებლო პროგრამების შექმნის მიზნით, ისევე როგორც არსებული პროგრამების განახლებისთვის. დაფინანსება ასევე გაიცა ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციის ან არსებული მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესებისათვის, ადამიანური რესურსის გაძლიერების, პრაქტიკული გამოცდილების გაზიარებისა და დამსაქმებლებთან არსებული კავშირების გაღრმავების მიზნით; • მცირე გრანტების პროგრამა პროფესიული განათლების პროვაიდერებსა და ინდუსტრიას შორის არსებული თანამშრომლობის საუკეთესო პრაქტიკის გამოვლენა-ხელშეწყობისათვის: პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა პროექტები, რომელთა მიზანი იყო საგანმანათლებლო დაწესებულებისა და ბიზნესის	$16 მილიონი აშშ დოლარი	2014-2019 დასრულებული

	წარმატებული თანამშრომლობის პრაქტიკის განვითარება, შრომის ბაზარზე მოთხოვნადი და ინდუსტრიის საჭიროების შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამებისა და სწავლების თანამედროვე მეთოდების დანერგვა; • ტექნიკური და ექსპერტული დახმარების გაწევა საქართველოს მთავრობისთვის პროფესიული განათლების პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელებისათვის; • პროფესიული განათლების პოპულარიზების მიზნით იმართება ყოველწლიური საერთაშორისო კონფერენციები (2017-2018წწ)		
შვეიცარიის განვითარების ოფისის ფინანსური დახმარებით რამდენიმე წელია გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მიერ წარმატებით ხორციელდება პროექტი ,,პროფესიული განათლებისა და ექსტენციის ხელშეწყობა სოფლის მეურნეობაში“ .	პროექტის მიზანია საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკის გამოყენებით აგრარული მიმართულებით პროფესიული განათლებისა და ექსტენციის განვითარება. პროექტის მხარდაჭერით შემუშავდა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პორტალის ერთიანი სტრუქტურა, რომელიც ორიენტირებულია ელექტრონული ფორმით საგანმანათლებლო სერვისების მიწოდებაზე; პროექტის ფარგლებში გადამზადდა 20-მდე ინსტრუქტორი, განხორციელდა სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების/დუალური მოდელის ცნობიერების ამაღლების აქტივობები; გაეროს მხარდაჭერითა და საქართველოს ფერმერთა ასოციაციის (GFA) კოორდინაციით, საქართველოს შვიდ რეგიონში (რაჭა-ლეჩხუმი, მცხეთა-მთიანეთი, კახეთი, სამცხე-ჯავახეთი, სამეგრელო-ზემო-სვანეთი, აჭარა, შიდა ქართლი) არსებულ 7 საგანმანათლებლო დაწესებულებაში (ერქვანი, წინამძღვრიანთკარი, აისი, ოპიზარი, შოთა მესხია, ახალი ტალღა, განთიადი) 20-ზე მეტ კომპანიასთან თანამშრომლობით დაინერგა და ხორციელდება დუალური პროგრამები - მეცხოველეობის, მეხილეობის, მეფუტკრეობის, ხორც-პროდუქტების გადამუშავებისა და მეთევზეობის მიმართულებებით. პროცესში ჩართულია 160-მდე სტუდენტი; შემუშავდა 20 ოპტიმიზირებული პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი; შეიქმნა სასწავლო რესურსები - 35 სახელმძღვანელო და 20 ვიდეოგაკვეთილი; შეიქმნა აგრარული პროფესიული განათლების მასწავლებლებისა და ექსტენციის სპეციალისტის მომზადების მაინორ პროგრამა, რომლის განხორციელებაც იგეგმება ილიას უნივერსიტეტის ბაზაზე; შემუშავდა პროფესიულ მასწავლებელთა ტრენინგ-პროგრამა (7 მოდული); შემუშავდა მასწავლებელთა სახელმძღვანელო, გზამკვლევი; ზოგადი განათლების ინტეგრირება პროფესიულ განათლებაში- პილოტირება ხორციელდება სამ საგანმანათლებლო დაწესებულებაში, სამი ინტეგრირებული პროგრამისა და 30-მდე სტუდენტთან. არაფორმალური განათლების აღიარების პილოტირება აგრარული მიმართულებით; პროფორიენტაციის გაძლიერება, „პროფესიული უნარების განვითარება სკოლის მოსწავლეებში“ -პროცესში ჩართულია 10 რეგიონი, 138 სკოლა, 25 კოლეჯი , 3300 მოსწავლე, 200 პროექტი - 35 პროფესიის ფარგლებში (2017 წელი).	6 მილიონი აშშ დოლარი	2013-2018 დასრულებული

“კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში“- გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება GIZ	საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსა და გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების **GIZ** თანამშრომლობის ფარგლებში ხორციელდება პროექტი “კერძო სექტორის განვითარება სამხრეთ კავკასიაში“, რომლის მიზანსაც შრომის ბაზარზე ორიენტირებული პროფესიული განათლების პოლიტიკის ფორმირებაში ტექნიკური დახმარების გაწევა წარმოადგენს. ასევე აღსანიშნავია ორგანიზაციის მხარდაჭერა პროფესიული განათლების ისეთ სფეროებში, როგორებიცაა: საქართველოს მონაწილეობის მხარდაჭერა საერთაშორისო კონკურსში “მსოფლიო უნარები“ WorldSkills International, პროფესიულ მასწავლებელთა გადამზადება სამშენებლო მიმართულებით და გერმანიაში სასწავლო ვიზიტების უზრუნველყოფა. განხორციელდა პროფესიული განათლების სპეციალისტების პროფესიული გადამზადების პროგრამა (Master Trainer-2016). GIZ-ის მხარდაჭერით საქართველოს პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ხარისხის მართვის გაუმჯობესების მიზნით 6 კოლეჯში დაინერგა ხარისხის მართვის ევროპული ფონდის **„EFQM“** სრულყოფის მოდელი. დაინერგა დუალური პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები მეღვინეობის, ტურიზმისა და მშენებლობის მიმართულებით. აგრეთვე მიმდინარეობს მუშაობა საინფორმაციო ტექნოლოგიებზე, რათა დაინერგოს დუალური პროგრამები .		
ETF	ორიენტირებულია ფორმალური და არაფორმალური სწავლის სერთიფიცირებისა და ხარისხის უზრუნველყოფის ახალი მექანიზმების შემუშავებასა და დანერგვაზე.	-	
KFW	პროფესიული განათლების რეფორმის მხარდასაჭერად KFW განახორციელა ახალი პროექტი, რომელიც კერძო სექტორთან თანამშრომლობით ითვალისწინებს „ექსელენს ცენტრის“ დაარსებას, რომლის მთავარი ფუნქცია იქნება ხელი შეუწყოს რეგიონის საჭიროებებით განპირობებულ პროფესიულ მომზადება-გამზადების პროგრამების განხორციელებას, ინოვაციების დანერგვას პროფესიული განათლების სისტემაში და კერძო სექტორის მონაწილეობას კონკურენტუნარიანი კადრების მომზადების პროცესში.		სტატუსი - მიმდინარე

პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა - საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, მიუნხენისა და ზემო ბავარიის პალატის ადგილობრივი წარმომადგენლობა.	საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატისა და მიუნხენისა და ზემო ბავარიის პალატის ადგილობრივი წარმომადგენლობის თანამშრომლობის მიზანია საქართველოში მიმდინარე პროფესიული განათლების რეფორმის განხორციელების ხელშეწყობა, შრომის ბაზრის მოთხოვნებზე მორგებულ პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაზრდა და საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმატში ხარისხის გაუმჯობესება. თანამშრომლობა ითვალისწინებს: • პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის ჩართულობის გაძლიერება; • პროფესიული განათლების სისტემაში დუალური პროფესიული განათლების მსგავსი, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა და ადამიანური რესურსის მომზადება. • მეწარმეობა, ინოვაცია და სტარტაპების (start-ups) განხორციელების ხელშეწყობა; • პროფესიული ორიენტაცია და კარიერის დაგეგმვის სერვისის გაუმჯობესება; • არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების უზრუნველყოფა; • საზოგადოების ცნობიერების ამაღლება პროფესიული განათლების შესახებ;		
ბრიტანეთის მთავრობის "კარგი მმართველობის ფონდის (Good Governance Fund)"	მიმდინარე წლიდან დაგეგმილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ პროფესიული განათლების მიმართულებით დაგეგმილი რეფორმების ხელშეწყობა სამი მსხვილი პროექტის მეშვეობით, რომლებიც განხორციელდება ფრაისვოთერჰაუსკუპერის (PwC) და ბრიტანეთის საბჭოს მიერ. სამივე პროექტი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ერთ-ერთ მთავარ მიმართულებასა და პრიორიტეტს - ადამიანური კაპიტალის განვითარების პროცესში პროფესიული განათლების როლის გაძლიერებას, მისი მიმზიდველობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფით: „პროფესიული განათლების სისტემის მიმზიდველობის გაზრდა მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირებით"- პროექტის მიზანია უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებში პროფესიული განათლების კომპონენტის ინტეგრირება და მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამების ინიცირება. პირველ ეტაპზედაგემილია იმ პროფესიულ კვალიფიკაციათა იდენტიფიცირება, რომელთა განგრძობითობაც იქნება შესაძლებელი საბაკალავრო პროგრამებში. ასევეგამოვლინდება აღნიშნული პროგრამების შესაძლო განმახორციელებელი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები. "საჯარო-კერძო პარტნიორობით საქართველოს პროფესიული განათლების სისტემაში კოლეჯების ოპერირებისა და მდგრადობისათვის გარე რესურსების მოსაზიდად პოტენციალის შეფასება" - პროექტის მიზანია მოხდეს კერძო		

	სექტორის ჩართულობისგაზრდა პროფესიული განათლების სისტემაში და გაუმჯობესდეს პროფესიული განათლების სისტემის მენეჯმენტის ეფექტურობა და ეფექტიანობა, რომელიც თავის მხრივ აისახება პროფესიული განათლების ხარისხის განვითარებაზე და შეამცირებს ქვეყანაში უნარ-ჩვევების ნაკლებობასა და უმუშევრობას.		
მსოფლიო ბანკი (WD)	1. „ინგლისური დასაქმებისთვის პროფესიულ განათლებაში“ - ბრიტანეთის საბჭოს პროექტის მიზანია პროფესიული საგანანმანათლებლო დაწესებულებების მოსწავლეთა ინგლისური ენის ცოდნის გაუმჯობესება და მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განვითარების სისტემის ჩამოყალიბების ხელშეწყობა; 2. მსოფლიო ბანკი ხელს უწყობს პროფესიული განათლების (VET) ხარისხის გაუმჯობესებას მასწავლებელთა მენეჯმენტისა და პროფესიული განათლების სისტემის განვითარების გზით.		
ევროკავშირის დელეგაცია: უნარების განვითარება შრომისბაზრის მოთხუვნების დასაკმაყოფილებლად	2018 წლის 27 ნოემბერს საქართველოს მთავრობამ ევროკავშირის წარმომადგენლობასთან ხელი მოაწერა საფინანსო შეთანხმებას: უნარების განვითარება და შრომის ბაზრის საჭიროებებთან თავსებადობა (Financing Agreement: Skills Development and Matching for Labour Market Needs), რომლის თანახმადაც საქართველო ევროკავშირისგან 48 850 000 ევროს დახმარებას მიიღებს (30 000 000 - საბიუჯეტო დახმარება, 15 100 000 - დამატებითი ღონისძიებები - ტექნიკური მხარდაჭერა/თვინინგი, საგრანტო სქემა და 3 750 000 - აფხაზეთის მხარდაჭერა). აღნიშნული თანხა მოხმარდება უნარების განვითარებას, პროგნოზირებას, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენასა და მეწარმეობის სწავლებას შერჩეულ რეგიონებში (თბილისი - დედაქალაქი, აჭარა, იმერეთი, კახეთი, ქვემო ქართლი, სამეგრელო და შიდა ქართლი). შეთანხმება მიზნად ისახავს ადამიანური რესურსებისა და მათი უნარების გაძლიერების გზით საქართველოს ეკონომიკის მდგრადი განვითარების ხელშეწყობას. 48 850 000 ევროდან 30 000 000 ევრო გათვალისწინებულია როგორც საბიუჯეტო დახმარება, რომელიც ჩაირიცხება 5 ტრანშის მეშვეობით. თითოეული ტრანშის ჩარიცხვა გარკვეულწილად დამოკიდებულია პროგრამის ფარგლებში დამტკიცებული შესრულების ინდიკატორების მიღწევაზე.	48 850 ევრო	მომავალი

ბლოკი B: ეკონომიკური და შრომის ბაზრის გარემო

B.1: პროფესიული განათლება, ეკონომიკა და შრომის ბაზარი

2018 წლის მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) საშუალო რეალურმა ზრდამ 4.7 % შეადგინა. წინასწარი შეფასებით, ნომინალურმა მშპ-მ 2018 წელს 41,527.2 მილიარდი ლარი, ხოლო ერთ სულ მოსახლეზე 11,139 ლარი შეადგინა.

წინასწარი შეფასებით, 2019 წლის თებერვალში ეკონომიკა 4.6 პროცენტით გაიზარდა. 2019 წლის თებერვალში მნიშვნელოვანი ზრდა დაფიქსირდა დამამუშავებელი მრეწველობის, უძრავი

ქონების, ვაჭრობისა და ტრანსპორტის სექტორებში. 2019 წლის იანვარ-თებერვალში საშუალო ეკონომიკურმა ზრდამ 4.1 პროცენტი შეადგინა.

2018 წლის ოთხი კვარტლის მიხედვით ბიზნეს სექტორის ბრუნვა წინა წელთან შედარებით 19.5%-ით გაიზარდა და 85.5 მლრდ. ლარი შეადგინა, ხოლო ბიზნეს სექტორის გამოშვება 40.9 მლრდ. ლარს გაუტოლდა, რაც 10.5%-ით აღემატება გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს.

2018 წლის მე-4 კვარტლის მონაცემებით ბიზნეს სექტორში სამუშაო ადგილების რაოდენობამ 684 ათასი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელს 3.7 %-ით (24.5 ათასით მეტი სამუშაო ადგილი) აღემატება.

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები

ბოლო ოთხი წლის განმავლობაში საქართველოში შეინიშნება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მნიშვნელოვანი გაჯანსაღება. 2014-2018 წლებში საქართველოში 8 მილიარდ აშშ დოლარზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია განხორციელდა.

2018 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ 1,232.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. 2018 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემცირება უკავშირდება: მაგისტრალური გაზსადენის პროექტის დასრულებას, ვალდებულებების შემცირებას/სასესხო დავალიანების დაფარვას არარეზიდენტი ინვესტორების მიმართ და რამდენიმე საწარმოს ფლობაში არარეზიდენტების წილის შემცირებასა და საქართველოს რეზიდენტების საკუთრებაში გადასვლას.

2018 წელს 44.3 პროცენტით (43.7 მლნ. აშშ. დოლარით) გაიზარდა პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობა დამამუშავებელ სექტორში და 142.3 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა, სამთომოპოვებითი მრეწველობის სექტორში ინვესტიციები გაიზარდა 28.9 პროცენტით (14.9 მლნ. აშშ. დოლარით) და 66.7 მლნ. აშშ. დოლარი შეადგინა.

2018 წელს ყველაზე მეტი პირდაპირი უცხოური ინვესტიცია საფინანსო სექტორში განხორციელდა და 277.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა, რაც მთლიანი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 22.5 პროცენტია. მეორე ადგილზე იმყოფება ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის სექტორი 174.7 მლნ. აშშ დოლარის ინვესტიციით (14.2 პროცენტი), ხოლო მესამეზე ენერგეტიკის სექტორი 157.2 მლნ. აშშ დოლარით (12.8 პროცენტი).

ქვეყნების მიხედვით 2018 წელს ყველაზე დიდი მოცულობის ინვესტიცია აზერბაიჯანიდან განხორციელდა (19.5 პროცენტი - 240 მლნ აშშ დოლარი), შემდეგ მოდის გაერთიანებული სამეფო (16.5 პროცენტი - 203.7 მლნ აშშ დოლარი) და ნიდერლანდები (13.6 პროცენტი - 167.9 მლნ აშშ დოლარი).

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს რეინვესტირების წილი პირდაპირ უცხოურ ინვესტიციებში შეადგენდა 45%. რეინვესტირების მოცულობის ზრდა ერთმნიშვნელოვნად ამტკიცებს გატარებული მოგების გადასახადის რეფორმის ეფექტიანობას, რომელიც კერძო სექტორს აძლევს საშუალებას მათი მიღებული მოგება გადასახადების ნაცვლად, მიმართონ ახალი ინვესტიციების განსახორციელებლად და ბიზნეს საქმიანობის გასაფართოებლად.

2017 წელს საქართველოში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოცულობამ რეკორდულ მაჩვენებელს, 1 894.5 მლნ. აშშ დოლარს მიაღწია და წინა წელთან შედარებით 21 პროცენტით (328.7 მლნ. აშშ. დოლარით) გაიზარდა. აღნიშნული მაჩვენებელი პირდაპირი უცხოური ინვესტიციების შემოდინების ისტორიული მაქსიმუმია.

2017 წელს მნიშვნელოვნად , 97 პროცენტით (323 მლნ აშშ დოლარით) გაიზარდა რეინვესტირების მოცულობა და 657.5 მლნ. აშშ. დოლარი, პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 35 პროცენტი შეადგინა.

ცხრილი 9. უნარებზე მოთხვნასა და მომზადებულ სტუდენტებს შორის შესაბამისობა ტრანსპორტისა და ლოგისტიკის სფეროს მაგალითი

#	მოთხოვნა	ვაკანსიების რ-ა	სტუდენტების რ-ა2018	სტუდენტების რ-ა 2019
1.	ლოგისტიკური მენეჯერი/ ოპერატორი	1088	45	30

2.	ტრანსპორტის ლოგისტიკური ოპერატორი	13	14 სატვირთოს ოპერატორი	20 სატვირთოს ოპერატორი
3.	საავიაციო ლოჯისტიკა	41		
4.	გაყიდვების მენეჯერი	8		
5.	საწყობის ოპერატორი	43		
6.	პორტის მენეჯერი	5	8	8
7.	მძღოლი	40		
8.	სპეციალური ტექნიკის მძღოლები (ტვირთის დამუშავების ოპერატორი, საავტომობილო გადამზიდავის ოპერატორი, ამწე მემანქანე)	10	92 მძიმე ტექნიკის ოპერატორი	19 ამწის ოპერატორი
9.	მანქანის ელექტროობის სპეციალისტი	2	9	15
10.	ხარატი	2	50	17
11.	C კატეგორიის მძღოლი	500		
12.	დისტრიბუტორ	-	52	

წყარო: უნარების მოთხოვნის ანალიზი, ტრანსორტისა და ლოგისტიკის სფეროში, GIZ, 2019

B.1.1 შრომის ბაზრის მდგომარეობა

ბოლო წლებში უმუშევრობის დონე შემცირდა, რაც ძირითადად განაპირობა ქვეყნის ეკონომიკურმა ზრდამ და სამუშაო ძალაზე შექმნილმა დამატებითმა მოთხოვნამ. აღნიშნული დასტურდება იმითაც, რომ 2010 წლის შემდეგ დასაქმების საშუალო წლიურმა ზრდამ 1.4% შეადგინა და ეს ზრდა ძირითადად დაქირავებით დასაქმებულთა ზრდით იყო განპირობებული. შედეგად, 2018 წელს უმუშევრობის დონემ 12.7% შეადგინა, რაც ბოლო 13 წლის განმავლობაში უმუშევრობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელია.



წყარო: საქსტატი

ამასთან სუსტი პოზიტიური ტენდენციები განვითარდა შრომის მიწოდების თვალსაზრისითაც, რომელთაგან განსაკუთრებით საყურადღებოა ბოლო წლებში **შრომისუნარიანი მოსახლეობისა და აქტიურობის დონის** კუთხით არსებული დინამიკა. კერძოდ, ბოლო 10 წლის

განმავლობაში შრომისუნარიანი მოსახლეობა კლების ტენდენციით გამოირჩევა, რაც განპირობებულია ზოგადად ქვეყანაში მოსახლეობის შემცირებით, მათ შორის გაზრდილი მიგრაციით. 2018 წელს გასულ წელთან შედარებით, ქვეყანაში სამუშაო ძალა 1.9%-ით შემცირდა და მოსახლეობის აქტიურობის დონეში[5] შესაბამისად 2.2 პროცენტული პუნქტით კლება დაფიქსირდა.



2018 წელს აქტიურობის დონისა და შრომისუნარიანი მოსახლეობის კლებამ მნიშვნელოვნად იმოქმედა წლის დასაქმების დონის მაჩვენებელზე. 2018 წელს დასაქმების დონემ 55.8% (1 706.6 ათასი ადამიანი) შეადგინა, რაც 0.4 პროცენტული პუნქტით ნაკლებია გასული წლის მაჩვენებელთან (1694.2 ათასი დასაქმებული) შედარებით. 2018 წელს, წინა წელთან შედარებით ქალაქის ტიპის დასახლებებში დასაქმების დონე გაზრდილია 1.2 პროცენტული პუნქტით, ხოლო სოფლის ტიპის დასახლებებში შემცირებულია 3.5 პროცენტით.

2018 წელს დაქირავებით დასაქმებულთა რაოდენობამ გადაასწრო თვითდასაქმებულების რაოდენობას და 2018 წელს დაქირავებით დასაქმებულთა ხვედრითი წილი გასულ წელთან შედარებით 2,5 პროცენტული პუნქტით გაიზარდა. 2018 წელს დაქირავებით დასაქმებულებისა და თვითდასაქმებულების ხვედრითმა წილმა საერთო დასაქმებაში შესაბამისად 50,8% და 49.2% შეადგინა.

[5] სამუშაო ძალის აქტიურობის დონე ზომავს ქვეყნის შრომისუნარიანი მოსახლეობის წილს, რომელიც ეწევა აქტიურ შრომას ან დაკავებულია სამუშაოს ძიებით. იგი უზრუნველყოფს შრომის ძალის შესაძლო მიწოდების რაოდენობის განსაზღვრას პროდუქციის ან მომსახურების შესაქმნელად. სქესისა და ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით აქტიური მოსახლეობის დაყოფა იძლევა ეკონომიკურად აქტიური მოსახლეობის განაწილების სურათს.



წყარო: საქსტატი

შრომის ბაზრის მიწოდების მხარის ანალიზისას აუცილებელია ყურადღება გამახვილდეს ერთ-ერთ მთავარ დეტერმინანტზე, რასაც შრომის ანაზღაურება წარმოადგენს. დასაქმების ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას ეკონომიკური სექტორების მიხედვით ხელფასებს შორის განსხვავება წარმოადგენს. დადებით ტენდენციად შეიძლება ჩაითვალოს ბოლო წლებში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალოთვიური ნომინალური ხელფასის მკვეთრი ზრდა, რომელმაც 2017[6] წელს 999.1 ლარი შეადგინა.



წყარო: საქსტატი

რაც შეეხება დასაქმებისა და უმუშევრობის გეოგრაფიულ კონცენტრაციას, იგი ნათლად ასახავს ქვეყნის ეკონომიკის განვითარების დაბალანსების აუცილებლობას. უმუშევრობის დონე რეგიონების ჭრილში საკმაოდ განსხვავებულია. სამუშაო ადგილების შექმნა მჭიდროდ არის დაკავშირებული ქვეყანაში საინვესტიციო პროექტების არსებობასთან. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2018 წლის წინასწარი მონაცემებით ქვეყანაში განხორციელებულმა პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 1 232.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 35%-ით მეტია 2017 წლის მაჩვენებელზე. ძალზედ დიდია სხვაობა რეგიონების მიხედვით მთლიანი შიდა პროდუქტისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების განაწილების მხრივ, რაც აისახება სამუშაო ადგილების შექმნაზე, დასაქმების შესაძლებლობებსა და შრომით მიგრაციაზე. 2018 წელს

[6] დღეის მდგომარეობით ხელფასები არის მხოლოდ 2017 წლის მდგომარეობით

განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების 78.4% თბილისზე მოდის და შეადგენს 966.7 მლნ. აშშ დოლარს, მეორე ადგილზეა იმერეთი 47.1 მლნ. აშშ დოლარით. აღსანიშნავია, რომ ქვეყნის ეკონომიკის მასშტაბით, მთლიანი დამატებული ღირებულების თითქმის ნახევარი თბილისში იქმნება. შესაბამისად, რეგიონების მიხედვით ეკონომიკური აქტივობისა და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების არათანაბარზომიერი განაწილება გავლენას ახდენს შიდა მიგრაციაზე, სამუშაო ძალის მობილიზება ხდება კონკრეტულად დედაქალაქში, რაც თავის მხრივ ზრდის თბილისში უმუშევრობის დონეს. კერძოდ, ქვეყნის მასშტაბით უმუშევრობის დონე ყველაზე მაღალია თბილისში და 2017 წლის მონაცემებით 24.7%-ს შეადგენს.



წყარო: საქსტატი

ყველაზე მნიშვნელოვანი პრობლემა ახალგაზრდებში უმუშევრობის მაღალი დონეა. უმუშევრობის დონის განხილვა ასაკობრივ ჭრილში გვიჩვენებს, რომ 2017 წელს უმუშევრობის დონემ ყველაზე მაღალი ნიშნული 20-24 წლის ასაკობრივ ჯგუფში შეადგინა (29.6%), რაც - 3.3 პროცენტული პუნქტით ნაკლებია 2016 წლის მაჩვენებელთან შედარებით. უმუშევრობის დონე ასევე მაღალია 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფის ახალგაზრდებში და 2016-2017 წლების მონაცემებით შესაბამისად - 34.7%-ს და 27.1%-ს შეადგენს. აღნიშნული შეიძლება აიხსნას იმ გარემოებით, რომ საქართველოში ახალგაზრდები უმეტესწილად ეუფლებიან უმაღლეს განათლებას და სწავლის დასრულების შემდეგ ისინი აწყდებიან ორი სახის პრობლემას: 1) შრომის ბაზარზე არ არის მოთხოვნა მათ მიერ დაუფლებულ პროფესიებზე ან/და 2) მათი კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება ვერ აკმაყოფილებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ამასთან, ამ კატეგორიაში გასათვალისწინებელია ფრიქციული უმუშევრობის წილიც, რადგან ახალგაზრდებს მეტი დრო სჭირდებათ სასურველი სამუშაოს საპოვნელად. უმუშევრობის დონე ტრადიციულად ყველაზე დაბალია 65+ ასაკობრივ ჯგუფში. ამის მიზეზია ის, რომ 65+ საპენსიო ასაკია და მოსახლეობის დიდი ნაწილი არ არის დასაქმებული, არ ეძებს სამუშაოს და შესაბამისად, არააქტიური მოსახლეობის კატეგორიას მიეკუთვნება.



წყარო: საქსტატი

არანაკლებ მნიშვნელოვანია უმუშევრობა სქესობრივ ჭრილში, რომელიც შემდეგი ტენდენციით ხასიათდება: მამაკაცის უმუშევრობის დონე საგრძნობლად აღემატება ქალების უმუშევრობის დონეს, რაც სამუშაო ძალაში მამაკაცების მაღალი მონაწილეობით აიხსნება. 2018 წლის მდგომარეობით მამაკაცებში აქტიურობის დონე 73,6%-ს, ხოლო ქალებში 55,6%-ს შეადგენს. ამასთან, საყურადღებოა, რომ 2018 წელს 2017 წელთან შედარებით უმუშევრობის დონე ქალებში 1.5 პროცენტული პუნქტით, ხოლო კაცებში - 1.1 პროცენტული პუნქტით შემცირდა და შესაბამისად 11.2% და 13.9% შეადგინა.



წყარო: საქსტატი

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს ქალების აქტიურობის დონე გასულ წელთან შედარებით შემცირდა და 55.6% შეადგინა, ასევე შემცირდა კაცებში აქტიურობის დონე და 2018 წელს 73.6%-ს შეადგინა. ქვემოთ მოცემულია აქტიურობის დონის დინამიკა სქესობრივ ჭრილში.



წყარო: საქსტატი

2017 წელს წინა წელთან შედარებით, უმუშევართა რაოდენობა განათლების მიღწეული დონის მიხედვით შემცირებულია უმაღლესი და საშუალო განათლების მქონე პირებში, შესაბამისად 8,4% და 3,3%-ით (უმაღლესი განათლება: 2017წ.- 104.9 ათასი ადამიანი; 2016წ. - 114.5 ათასი ადამიანი; საშუალო განათლება: 2017წ.- 99.3 ათასი ადამიანი; 2016წ. - 102.7 ათასი ადამიანი), მაშინ, როცა ანალოგიურ პერიოდში უმუშევართა რაოდენობა პროფესიული განათლების მქონე პირებში გაზრდილია 6,7%-ით (2017წ. – 57.2 ათასი ადამიანი; 2016წ. – 50.5 ათასი ადამიანი).

ამასთან, უმუშევრობის დონე განათლების მიღწეული დონის მიხედვით შემცირებულია უმაღლესი განათლების მქონე პირებში და 2016 წელს აღნიშნული მაჩვენებელი თუ 16.1%-ს შეადგენდა, 2017[7] წელს იგი 15.5%-მდე შემცირდა. პროფესიული განათლების მქონე პირებში უმუშევრობის დონე იმავე პროცენტულ მაჩვენებელზე (12.2%) იქნა შენარჩუნებული, ხოლო საშუალო განათლების მქონე პირებში უმუშევრობის დონე გაიზარდა, კერძოდ 2017 წელს აღნიშნულმა მაჩვენებელმა 14.4% შეადგინა, მაშინ როცა 2016 წელს იგი 13.4% იყო.



წყარო: საქსტატი

აღსანიშნავია, რომ 2018 წელს ქალების აქტიურობის დონე გასულ წელთან შედარებით შემცირდა და 55.6% შეადგინა, ასევე შემცირდა კაცებში აქტიურობის დონე 2018 წელს 73.6%-ს შეადგინა. ქვემოთ მოცემულია აქტიურობის დონის დინამიკა სქესობრივ ჭრილში.

2017 წელს საჯარო სექტორში 55 შშმ პირი იყო დასაქმებული, 47,000 empSSA– ს მონაცემებით, რეგისტრირებულია დაახლოებით 2502 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი, ხოლო 2015 წელს მხოლოდ 25 ადამიანი იყო დასაქმებული.

#10 და 11 ცხრილები აჩვენებს დასაქმების ტენდენციებს განათლების დონისა და სქესის მიხედვით. ნათელია, რომ პროფესიული განათლებისა და უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულები, კვირაში თითქმის იგივე რაოდენობის საათები მუშაობენ, როცა საპირისპირო შედეგია, როდესაც საქმე ეხება თვითდასაქმებას. VET- ში დასაქმება ოდნავ დაბალია ვიდრე უმაღლეს განათლებაში (60.3% vs 62.4), ხოლო საშუალო განათლებაზე უფრო მაღალია (56.3%). თვითდასაქმება უფრო მაღალია პროფესიული განათლების კურსდამთავრებუთა შორის (34.3%) ვიდრე უმაღლესი (15.4%) და საშუალოზე დაბალი განათლების მქონეთა (37.9%) შორის. ეს უფრო ეხება მამაკაცებს, ვიდრე ქალებს, სადაც ყველაზე დიდი განსხვავებაა; როგორც ჩანს, უმაღლესი განათლების მქონე ქალების ძალიან მცირე რაოდენობაა თვითდასაქმებული

[7] დღეისათვის უმუშევრობა განათლების მიღწეული დონეების ჭრილში არ მხოლოდ 2017 წლის მდგომარეობით

ცხრილი 10 დასაქმების დონე დაქირავებული დასაქმებისათვის სქესისა და განათლების დონის მიხედვით

	დასაქმების დონე						დაქირავებული დასქმება					
	ყველა		კაცი		ქალი		ყველა		კაცი		ქალი	
წელი	2017	2018	2017	2018	2017	2018	2017	2018	2017	2018	2017	2018
ზოგადი განათლების ქვედა დონე	36.1	31.9	36.6	35.8	35.5	28.5	6.17	7.17	8.76	10.3	3.79	4.35
ზედა დონე	56.3	55.7	64.1	64.2	48.2	46.6	18.4	19.7	24.7	25.5	11.9	13.5
პროფ. განათლება	60.3	59.2	70.1	71.1	53.2	51.2	25.9	26.6	29.6	31.7	23.3	23.2
უმაღლესი განათლება	62.4	62.8	69	68.7	57.1	58.3	46.9	48	47.4	47.1	46.6	48.8
ჯამი	56.7	55.8	63.4	63.4	50.8	49.3	27.4	28.4	30.4	31.1	24.7	26

ცხრილი 11: თვითდასაქმების დონე სქესისა და განათლების დონის მიხედვით

	თვითდასაქების მაჩვენებელი						სამუსაო საათები კვირაში					
	ყველა		კაცი		ქალი		ყველა		კაცი		ქალი	
წელი	2017	2018	2017	2018	2017	2018	2017	2018	2017	2018	2017	2018
ზოგადი განათლების ქვედა დონე	29.9	24.8	27.9	25.4	31.8	24.2	29.8	34.3	34.1	39.5	26	28.9
ზედა დონე	37.9	36	39.3	25.4	36.3	33.2	36.9	39.3	40.5	42.6	32.2	34.5
პროფ. განათლება	34.3	32.6	40.5	39.3	29.9	28	38.1	40.2	41.3	43.9	35.3	36.8
უმაღლესი განათლება	15.4	14.7	21.5	21.5	10.5	9.54	39.8	40.3	43.8	44.5	36.3	36.8
ჯამი	29.3	27.5	33	32.3	26	23.3	37.7	39.6	41.4	43.3	34.1	35.7

B.1.2 გამოწვევები და შესაძლებლობები: უნარების მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შეუსაბამობა

საქართველოს შრომის ბაზრის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის რაოდენობრივი და თვისებრივი შეუსაბამობა მიწოდებასა და მოთხოვნას შორის. ერთი მხრივ დიდია მოთხოვნა კვალიფიციურ მუშახელზე, ხოლო შრომის ბაზარზე ბევრია დაბალკვალიფიციური კადრი. ინვესტორების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ დაბალკვალიფიციური სამუშაო ძალა ბიზნესის განვითარების მთავარი შეფერხებელი ფაქტორია. დიდ ინვესტორებს ხშირად უწევთ დამატებითი თანხების და დროის დარაჯვა კადრების ტრენინგზე. ასეთ შემთხვევებში დამსაქმებლები ხშირად იყენებენ უცხოურ მუშახელს. STEP– ის კვლევის საფუძველზე, სამუშაო ძალის 66% შეესაბამება მოთხოვნას, 29% ზედმეტად კვალიფიციურია და 4% ნაკლებადკვალიფიციური[8]. ადამიანები იღებენ უმაღლეს განათლებას მაშინ, როდესაც ასეთ მუშახელზე დაბალი მოთხოვნაა. ადგილობრივად სამუშაო ძალის არარელევანტურ კვალიფიკაციები და უნარ-ჩვევები აქვს (Millennium Challenge Corporation, 2013). უნარების შეუსაბამობა განსაკუთრებით აშკარაა ახალგაზრდების შემთხვევაში, რომლებსაც როგორც ჩანს, მაღალი კვალიფიკაცია აქვთ; ქალებსა და არაფორმალურ მუშაკებს სავარაუდოდ, სამუშაო მოთხოვნებზე მაღალი განათლება აქვთ. განათლების საჭიროზე მაღალი დონე ფიქსირდება STEM სფეროში. უნარების შეუსაბამობა ყველაზე დაბალია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში, სოციალურ მეცნიერებებში, განათლებაში, სოციალურ სერვისებში, სამართალსა და ჯანმრთელობაში (მსოფლიო ბანკი, 2018). უმაღლესი განათლების მქონე ქალები და ნაკლებად გამოცდილი მუშაკები უფრო მეტად იკავებენ სამუშაო ადგილს, რომელიც მოითხოვს განათლების უფრო დაბალ საფეხურს.

[8] Handel (2017a) who analyses key issues surrounding skills mismatch in 12 low- and middle-income countries11 that had participated in the Skills Toward Employment and Productivity (STEP) survey.12

უმუშევრობის დონე უფრო მაღალია უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულთა შორის (15.5%), ვიდრე პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა შორის (12.2%)[9]. საქართველოში ბევრი სამუშაო ნაკლებად საჭიროებს გამოცდილ სამუშაო ძალას, რაც მეტყველებს ვერტიკალური უნარების შეუსაბამობაზე. პრობლემაა სამუშაო ძალის განათლების დონე. 25-34 წლის ასაკის მოსახლეობის თითქმის 40% -ს აქვს უმაღლესი განათლება (ბაკალავრიატი, მაგისტრისა და დოქტორის ხარისხი). ზოგად განათლებას აქვს მამაკაცთა დაახლოებით 42.2 და ქალების 31.2%. 'უნარების შეუსაბამობა საქართველოში იქმნება უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ჭარბ მიწოდებისა და ამგვარი კვალიფიკაციის არასაკმარის მოთხოვნილებას შორის.

პროფესიული განათლების სისტემის პრობლემა უპასუხოს შრომის ბაზარს, შეიძლება შემდეგნაირად შეჯამდეს:

- სუსტი მედიაციის სისტემები მოთხოვნა-მიწოდების ეროვნულ დონეზე; ხოლო ადგილობრივ დონეზე ეს შესაძლებლობა იცვლება კოლეჯიდან კოლეჯამდე
- WBL- ის გამოცდილებისა და ტრადიციების ნაკლებობა: დამსაქმებლები ყოველთვის არ თვლიან ტრენინგს მათი პასუხისმგებლობის ნაწილად;
- შეგირდობის შესაძლებლობების ნაკლებობა;
- სოციალური პარტნიორების შესაძლებლობებისა და გამოცდილების ნაკლებობა, მონაწილეობა მიიღონ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების დაგეგმვის, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესში;
- სკოლებისა და კომპანიების პარტნიორობის ნაკლებობა.

საქართველოს მსგავს გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებში მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შეუსაბამობა გამოწვეულია შემდეგი ფაქტორებით: სწრაფი ეკონომიკური რესტრუქტურიზაცია, განათლების სისტემის შეუსაბამობა შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, მთელი ცხოვრების მანძილზე განათლების სუსტი სისტემა. ეს შეუსაბამობა დასაქმების ტრადიციული სტრუქტურის შედეგია; მასში დომინირებს სოფლის მეურნეობა, დაბალ პროდუქტიული სერვისის სფერო და ნაკლებად განვითარბული მაღალპროდუქტიული სექტორი.

B.1.3 გამოწვევები და შესაძლებლობები: მიგრაცია

არალეგალური შრომითი ემიგრაცია საქართველოსთვის კვლევ რჩება აქტუალურ გამოწვევად, ვინაიდან არ მცირდება მასშტაბები და არ იცვლება მისი ხასიათი. უფრო მეტიც, ევროკავშირთან უვიზო რეჟიმის ამოქმედების კვალობაზე არსებობს რეალური რისკი, რომ ჩვენი თანამემამულეები ამ გზით შეეცდებიან ევროკავშირის ქვეყნებში გასვლასა და იქ არალეგალურად დასაქმებას (როგორც ცნობილია უვიზო რეჟიმი არ ითვალისწინებს ევროკავშირის ქვეყნებში ლეგალურად დასაქმების შესაძლებლობას). ამან კი შეიძლება "შეჩერების მექანიზმის" ამოქმედებას შეუწყოს ხელი. ამასთან, ევროკავშირში საიმიგრაციო პოლიტიკის გამკაცრების გამო, გაიზრდება ემიგრანტების საქართველოში იძულებით დაბრუნების შემთხვევები, თანმდევი ნეგატიური პროცესებით. საქართველოსა და ევროკავშირს შორის უვიზო მიმოსვლის ამოქმედების შემდგომ საგრძნობლად გაიზარდა არალეგალური მიგრაციის, განსაკუთრებით კი უსაფუძვლოდ საქართველოს მოქალაქეების მხრიდან თავშესაფრის მოთხოვნის შემთხვევები, რაზეც არაერთხელ გაფრთხილება და საკმაოდ მწვავე წერილობითი პოზიცია დააფიქსირეს ევროკავშირის სხვადასხვა წევრმა სახელმწიფოებმა (მაგ.: გერმანია, შვეიცარია, შვედეთი და ა.შ). საქართველოში დღეს მოქმედი უაღრესად ლიბერალური იმიგრაციული პოლიტიკის პირობებში და რეგიონში მიმდინარე პოლიტიკური პროცესების გავლენით, ასევე ქვეყნის ეკონომიკური და სოციალური მიმზიდველობის ზრდის კვალობაზე, მოსალოდნელია საქართველოში უცხოელთა შემოდინების მატება, მათ შორის დასაქმების მიზნით, რაც გაამწვავებს ქვეყანაში უმუშევრობის პრობლემასა და მის თანმდევ ნეგატიურ სოციალურ-ეკონომიკურ პროცესებს. შედარებით მაღალი შემოსავლისა და ცხოვრების უკეთესი პირობების მქონე ქვეყნებისაკენ ბუნებრივი ლტოლვა ასტიმულირებს მოსახლეობის გარკვეული ნაწილის საზღვარგარეთ წასვლას. ეს ობიექტური რეალობაა და მხოლოდ "სამშობლოში დარჩენისა" თუ "სამშობლოში დაბრუნების" მოწოდებით ვერ მოხდება ემიგრაციის შემცირება. ამიტომ განვითარების თანამედროვე ეტაპზე საქართველოს ხელისუფლებისა და საზოგადოების საზრუნავი უნდა იყოს მიგრაციული პროცესების ოპტიმალურად მართვა იმის გათვალისწინებით, რომ მიგრაციიდან მეტი სარგებელი მიიღოს პროცესში მონაწილე ყველა მხარემ.

[9] ETF calculation based on Geostat data

საქართველოს მოსახლეობის დაახლოებით 8-11% ემიგრაციაში დასაქმების გამოა წასული (ლაბაძე და ტუხაშვილი, 2013). ამჟამად, საქართველოსთვის გზავნილები არის უცხოური შემოსავლის ერთ – ერთი მთავარი წყარო, რაც ხელს უწყობს სიღარიბის შემცირებას. თუმცა, მთელ მსოფლიოში გზავნილების მიმღებები თანხებსუფრო მეტად ხარჯავენ ყოველდღიური ხარჯების დასაფარად, ვიდრე ინვესტიციების ჩასადებად სხვადასხვა სახის წარმოებაში - ე.წ. "პროდუქტიული" ინვესტიციებისთვის (EBRD, 2007; IOM, 2009). გადმორიცხული კაპიტალის შედარებით მცირე წილი გამოიყენება ნაყოფიერი ინვესტიციისთვის საქართველოში (გერბერი და ტოროსიანი, 2010).

უნდა აღინიშნოს, რომ 2014 წლის აღწერისას ემიგრანტთა უმეტესი წილი დაბრუნებული მიგრანტი იყო (79,630 კაცი და 57 657 ქალი). უფრო მცირე რაოდენობა (15,736 კაცი და 30.881 ქალი) უცხოეთში დაბადებულები იყვნენ. დაბრუნებულ მიგრანტებს, რომლებიც დასაქმებულები არიან, უფრო მაღალ ხელფასს იღებენ ვიდრე არამიგრანტები (ჩაიძე და ტოროსიანი, 2010), რაც შესაძლოა მიუთითებდეს დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარებაზე.

მნიშვნელოვანია, რომ შეიქმნას მექანიზმები რათა გაიზარდოს შიდა და საერთაშორისო მიგრაციის სარგებელი; მნიშვნელოვანია ბალანსის შენარჩუნება " ტვინის გადინებასა" და მიგრანტების დაბრუნებას შორის.

B.1.4 გამოწვევები და შესაძლებლობები: ციფრული ტრანსფორმაცია

ციფრული ტრანსფორმაციას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სწრაფი ეკონომიკური განვითარებისთვის, ის უზრუნველყოფს გამჭვირვალეობას, ამარტივებს პროცედურებსა და ზრდის ქვეყნის კონკურენტუნარიანობას. საგანმანათლებლო რეფორმამ ხელი უნდა შეუწყო ციფრულ ტრანსფორმაციას. ყველა პროფესიულ კოლეჯს აქვს ინტერნეტი, რომელიც ავტორიზაციის სტანდარტის მოთხოვნაა. პროფესიულ სფეროში დანერგილია ელ. მართვის ფორმები. ახლად ჩამოყალიბებული ზრდასრულთა განათლების სისტემის მენეჯმენტი სრულად ციფრულია.

ბოლო წლების განმავლობაში საქართველოს მთავრობამ ჩაატარა წარმატებული რეფორმები ციფრული ეკონომიკის მიმართულებით. ძირითადად პროცედურების გამარტივების მიზნით, მთავრობამ დანერგა ციფრული მომსახურება, საჯარო სამსახურებში ინტეგრირდება ბლოკჩეინის სერვისები (მიწის და ქონების აღრიცხვა).

კომპიუტერით, სმარტფონითა და ინტერნეტით დაფარვა საკმაოდ მაღალია. ქსელის გასაძლიერებლად მთავრობა გეგმავს მაღალსიჩქარიანი ბოჭკოვანი ინტერნეტ – კავშირის დანერგვას.

გარდა ამისა, საქართველოს ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტო (GITA),მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით ნერგავს ციფრული წიგნიერებისა და ელექტრონული კომერციის ტრენინგს რეგიონალური შინამეურნეობებისა და მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენლებისთვის; ხელს უწყობს მათი ციფრული ცოდნის გაღრმავებასა და ინტერნეტის ეფექტურ გამოყენებას. GITA ასევე ხელს უწყობს ციფრული სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებას, გასცემს გრანტებს ციფრული სტარტაპებისა და ინოვაციური ფირმების შექმნისთვის, მხარს უჭერს R&D კომერციალიზაციასა და ICT დანერგვას, ხოლო ICT– ს უნარების მხრივ მთავარი პრიორიტეტია; GITA ახორციელებს IT განათლების პროგრამას, რომლის მეშვეობითაც 2021 წლისთვის ქვეყანას მაღალ მოთხოვნად პრ ოფესიებში ეყოლება 3 000-მდე მაღალი დონის IT სპეციალისტი

B.1.5 სტრატეგიული პოლიტიკა განათლებისა და პროფესიული განათლების სფეროში

პროფესიული განათლების რეფორმის პრიორიტეტებს შორისაა პროფესიული განათლების შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა, კურსდამთავრებულთა დასაქმებისა და თვითდასაქმების ხელშეწყობის მიზნით სამეწარმეო განათლების გაძლიერება და პროფესიული განათლების საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა, რაც ფორმულირებულია სამინისტროს ერთიანი სტრატეგიის შესაბამისი ამოცანების ფარგებში.

2014 -2018 წლებში განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმა, რაც კომპეტენციებზე დაფუძნებულ, მოდულური პროფესიული პროგრამების დანერგვას გულისხმობს. შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა, სწავლის შედეგებზე ორიენტაცია, პრაქტიკული კომპონენტის გაძლიერება და სწავლება-შეფასების თანამედროვე მიდგომები მოდულური პროგრამების ძირითადი მახასიათებლებია. 2019 წლიდან სასწავლებლები სრულად

გადავიდნენ მოდულურ სწავლებაზე. ასევე აღსანიშნავია, რომ პროფესიული კვალიფიკაციების ფორმირების პროცესში აქტიურად ჩაერთნენ დამსაქმებლები, დარგობრივი ასოციაციების/კავშირების წარმომადგენლები.

შრომის ბაზრის საჭიროებებზე მორგებული სისტემის განვითარებისათვის არსებითია კერძო სექტორის ჩართვა პრაქტიკის დაგეგმვის, სწავლება-შეფასების, მონიტორინგისა და კვალიფიკაციების მინიჭების პროცესში. შესაბამისად, პროფესიული განათლების სისტემაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საჯარო-კერძო პარტნიორობის განვითარებას. მზარდია სამუშაოზე დაფუძნებული პროგრამების რაოდენობა და საჯარო-კერძო პარტნიორობის ფორმატში განხორციელებული ერთობლივი პროექტები.

რიგ სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სტუდენტების სამეწარმეო იდეების მხარდასაჭერად ფუნქციონირებს სამრეწველო ინოვაციური ლაბორატორიები (ფაბლაბები). ფაბლაბების გამოყენებით ზოგიერთ დაწესებულებებში სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების მიერ ჩამოყალიბდა „სტარტაპები“. ასევე ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოსთან პარტნიორობით მოეწყო პროფესიული განათლების „ჰაკათონი“, „ბუსტერი", პროფესიულ განათლებაში ინოვაციური სწავლების კვირეული, რომლის ფარგლებში განხილულ იქნა პროფესიულ განათლებაში ინოვაციურ სწავლებასთან დაკავშირებული საკითხები და სწავლებაში ფაბლაბების გამოყენების შესაძლებლობები.

2015 -2016 წლებში სამუშაოს მაძიებლების ტრენინგისა და გადამზადების პროგრამებში მონაწილეთა რაოდენობა გაიზარდა 25% -ით, თუმცა საერთო რაოდენობა დიდი არ არის, ანუ 2908 2018 წელს (1138 ახალგაზრდა). პროგრამის მიზანია რეგისტრირებულ მაძიებელთა მომზადება მოთხოვნად პროფესიებში და მათი დასაქმების ხელშეწყობა. პროფესიული კოლეჯები ახორციელებენ 3-4 თვიან პროგრამებს. პროგრამა არ არის ფოკუსირებული ახალგაზრდებზე, მაგრამ პრიორიტეტულია დაუცველი ჯგუფები, მაგალითად, განსაკუთრებული საჭიროების მქონე პირები, ყოფილი დამნაშავეები და ა.შ. ინდივიდუალური საკონსულტაციო მომსახურება 2018 წელს 16 275 პირმა მიიღო;მათ შორის 4113 ახალგაზრდა იყო. 1479 ადამიანმა მიიღო ჯგუფური საკონსულტაციო მომსახურება, მათ შორის 585 ახალგაზრდამ.

B.1.6 პროფესიული განათლების როლი შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის განხორციელებაში (ALMP)

საქართველოში პასიური LMP არ არსებობს და ALMP უფრო პროაქტიულია ვიდრე პრევენციული. ALMP– ები დაინერგა 2013 წლიდან. უწყვეტი პროფესიული განათლება წარმოადგენს შრომის ბაზრის აქტიური პოლიტიკის უმსხვილეს კომპონენტს. მათ შორისაა სამუშაოს მაძიებლებისთვის მომსახურება, ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაცია, დაუცველი ჯგუფების დასაქმების მხარდაჭერა, დასაქმების ფორუმები, მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამა.
(იხ. ცხრილი 12).

ცხრილი 12. შრომის ბაზრის ატიური პოლიტიკა საქართველოში (2018)

#		
1.	დასაქმების სამსახურები და სამუშაოს ძებნა	X
2.	შუამავლობის პროგრამები (სამუშაო ბაზრობები)	X
3.	კარიერის სახელმძღვანელო	X
4.	დასაქმების სტიმულირების პროგრამა	
5.	სასწავლო პროგრამები	X
6.	სამუშაო გამოცდილების / სტაჟირების გავლის მხარდაჭერა	X
7.	მეწარმეობის მხარდაჭერა	
8.	საზოგადოებრივი სამუშაოების პროგრამები	
9.	დაუცველი ჯგუფების დასაქმების მხარდაჭერა	X
10.	ქალთა მხარდაჭერა	
11.	შრომითი მობილობის მხარდაჭერა	
12.	იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარება	X

წყარო: ETF, 2018

სამუშაოს მაძიებლებს შეუძლიათ დარეგისტრირდნენ პორტალზე Worknet.gov.ge, ხოლო საქართველოში სოციალურად დაუცველი სტატუსის მქონე პირები კი ვალდებულნი არიან. Worknet.gov.ge არის ვებ – პორტალი, რომელიც აერთიანებს შრომის ბაზრის ორ მხარეს, სამუშაოს მაძიებლებსა და დამსაქმებელს. სამუშაოს მაძიებლებს შეუძლიათ შექმნან საკუთარი პროფილი; ასახონ განათლება, სამუშაო გამოცდილება, უნარ-ჩვევები, ინფორმაცია სასურველი დასაქმების შესახებ და ა.შ. ვებგვერდზე რეგისტრირებულ დამსაქმებლებს შეუძლიათ ნახონ მონაცემები და შეაფასონ, აკმაყოფილებენ თუ არა კანდიდატები მათ ვაკანსიებს.

რეგისტრირებულ სამუშაოს მაძიებელთა რაოდენობა ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაიზარდა. მათ შორის დომინირებს ქალი და + 29 წლიანი ჯგუფი, ასევე განათლების დაბალი დონის მქონე ადამიანები.

ცხრილი 13. რეგისრირებული სამუშაოს მაძიებლები ასაკისა და განათლების მიხედვით

	2013	2014	2015	2016	2017	2018
კაცი	417	11325	7741	5362	30602	39362
ქალი	373	17743	14580	9175	39030	44276
25 წლამე	29	2570	3034	3111	11387	9750
29 წლამდე	201	8757	8703	6133	20448	18515
25 + წელი	761	26498	19287	11426	58245	73888
29 + წელი	589	20311	13618	8404	49184	65123
ქვედა[u]	44	6296	4004	3573	36982	57741
საშუალო[u]	25	3854	2255	2104	8863	13832
უმაღლესი[u]	278	8321	7630	5303	9783	7352
სულ	**790**	**29068**	**22321**	**14537**	**69632**	**83638**

წყარო: (SSA) პ;ატფორმის worknet.gov.ge საფუძველზე ETF-ის კალკულაცია

პროგრამაში მონაწილე ბენეფიციარებისა და დამსაქმებლების მოსაზრებთ, გამოწვევების მიუხედავად პროგრამა ეფექტურია, განსაკუთრებით სტაჟირების კომპონენტი. პროგრამა მცირე მასშტაბიანია, თუმცა იზრდება პროგრამის მონაწილეთა რაოდენობა და შესაბამიად, პროგრამების დასრულების შემდეგ დასაქმებული პირების რაოდენობაც. 5/1/2019 ფაილი: ///tmp/tomcat8-tomcat8-tmp/4b9bd72a-a53f-49c4-a530-8abda69786b3.html 4/4 საანგარიშო პერიოდი 2017 წლიდან 2019 წლის მარტამდე: 2017-1775; 2018-1888; 2019-115.

B1.8 მიგრანტებისა და ლტოლვილების პროფესიული განათლების ხელშეწყობა

სამუშაოს მაძიებლების მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამა ხელმისაწვდომია ლტოლვილთა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირთათვის და საქართველოში მოქალაქეობის არმქონე პირებისთვის. ამ კატეგორიის მოქალაქეები (მიგრანტები, ლტოლვილები და სხვა ჰუმანიტარული სტატუსი) პროგრამის მონაცემებს "დევნილებად" მოიხსენიებენ. 2017 წლის განმავლობაში პროგრამაში 244 დევნილი იყო ჩართული, ხოლო 2018 წელს 257.

საარსებო წყაროს დახმარების სააგენტო - დაფუძნდა 2014 წელს და დევნილ პირებზეა ორიენტირებული; ის უზრუნველყოფს დასაქმებას, თვითდასაქმებას, სუბსიდირებასა და დამხმარე სერვისებს, როგორიცაა:

- დევნილ სტუდენტთა მგზავრობის ხარჯების სუბსიდირება;
- გრანტები, რათა დაეხმაროს პირებს აღჭურვილობით / ინსტრუმენტებით თვითდასაქმების დასაწყებად
- გრანტებს სოფლის მეურნეობაში, მაგალითად სასათბურე მეურნეობებში

B.2: მეწარმეობის სწავლება და მეწარმეობა

B.2.1 სამუშაო ადგილების შექმნა და პროფესიული განათლება

საქართველოში სამუშაო ადგილების გარეშე ეკონომიკური განვითარება უარყოფით გავლენას ახდენს დასაქმებაზე. საქართველოში 2005-2015 წლებში ელასტიურობა 5% იყო. მთელს მსოფლიოში, სამუშაო ადგილების ზრდის ელასტიურობა 34 პროცენტია, რაც იმას ნიშნავს, რომ მშპ-ს ზრდის თითოეული პროცენტისთვის დასაქმება 0.34 პროცენტით იზრდება. დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებისთვის ეს მაჩვენებელი 2000-2010 წლისთვის 16% იყო, ხოლო ევროკავშირის CEE ქვეყნებისთვის- 32% . არსებობს მტკიცებულებების ნაკლებობა, რომ ბიზნესგარემოს გაუმჯობესებამ ხელი შეუწყოს სამუშაო ადგილების შექმნას (2017 წლის მსოფლიო ბანკი). სამუშაო ადგილების შემცირება გაცილებით აჭარბებს სამუშაო ადგილების შექმნას, ამიტომ ბევრი ადამიანი ცდილობს არაფორმალურ დასაქმებას.

აუცილებელია ინოვაციებისა და ახალგაზრდული მეწარმეობის მხარდაჭერა და სამუშაო შესაძლებლობების ნაკლებობის კომპენსაცია; ახალგაზრდობის უმუშევრობის მაღალი დონის პირობებში მეწარმეობამ შეიძლება მნიშვნელოვანი სარგებელი მოიტანოს.

2015 წლიდან მეწარმეობა პროფესიულ განათლებაში სავალდებულო მოდული გახდა. მოდული მოიცავს სხვადასხვა სარეკომენდაციო და სავალდებულო სასწავლო მასალებს, როგორიცაა სტუდენტური წიგნი "მეწარმეთა შესახებ", მასწავლებლის სახელმძღვანელო "მეწარმეთა შესახებ" და ასე შემდეგ. გარდა ამისა, 2016 წელს სამინისტრომ 14 პროფესიულ კოლეჯში დააარსა ინოვაციების ლაბორატორიები (FABLAB), სადაც სტუდენტებს შეუძლიათ შექმნან ინოვაციური პროდუქტები. FabLab ამლიერებს პროფესიული სტუდენტების სამეწარმეო აზროვნებას.

არსებობს მტკიცებულება, რომ მეწარმეობის სწავლება ხელს უწყობს თვითდასაქმებას. კურსდამთავრებულთა კვლევის თანახმად, 2017 წლის პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა შორის თვითდასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა (11%) 2016 წლის პროფესიული განათლების კურსდამთავრებულებთან შედარებით (8%). აღსანიშნავია, რომ თვითდასაქმებულთა ნახევარზე მეტის (56%) ბიზნეს საქმიანობა უკავშირდება მათ პროფესიულ სპეციალობას. 14% მიუთითა ნაწილობრივ კავშირზე სამუშაო სპეციფიკასა და სპეციალობას შორის. 30% აღნიშნავს, რომ მათი სპეციალობა არ უკავშირდება მათ ბიზნესს. პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა ბიზნეს საქმიანობა საკმაოდ მრავალფეროვანია, მაგრამ მთავარი სფერო სოფლის მეურნეობაა (27%). თვითდასქმებულ კურსამთავრებულთა 43%-ის ხელფასი 500 ლარია, ხოლო 49% აქვს 500-900 ლარი და მეტი ოდენობის ხელფასი (კურსდამთავრებულთა კვლევა, 2017). 900 ლარი ან მეტი ხელფასი აქვს თვითდასაქმებული კურსდამთავრებულების 28%, რომელიც უფრო მაღალია, ვიდრე დაქირავებული კურსდამთავრებულების ხელფასი.

საქართველოს მსგავს მშპ-ს ქვეყნებში მშრომელთა დაახლოებით 5% მეწარმეა, მაგრამ საქართველოში ეს მაჩვენებელი მხოლოდ 1% (მსოფლიო ბანკი, 2018).

სოციალური მეწარმეობის განათლება არაფორმალური განათლების სახით მიმდინარეობს ძირითადად კი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მეშვეობით. მეწარმეობის მხარდამჭერი ერთ-ერთი მთავარი ინსტიტუტი არის სსიპ “Enterprise Georgia“ (2014). მას აქვს სახელმწიფო პროგრამაში "აწარმოე საქართველო", რომელიც უზრუნველყოფს გრანტებს (5 000 - 15,000 ლარი) და ტექნიკურ დახმარებას უწევს განმცხადებლებს. 2019 წლის იანვრისთვის ამ პროგრამის ფარგლებში 466 ბიზნესი იქნა მხარდაჭერილი, რომელთა ჯამური ინვესტიციი 1,11 მილიარდ ლარზე მეტია და შეიქმნა 17 000-ზე მეტი ახალი სამუშაო ადგილი. აპლიკანტთა 45% ქალია. " სამეწარმეო და მცირე ბიზნესის სესხის საგრანტო პროგრამის" ფარგლებში სახელმწიფო გასცემს სესხებს სოფლის მოსახლეობისთვის. ფინანსთა სამინისტროს აკადემია ატარებს ქალთა უფასო ტრენინგს, 2019 წლის 1 იანვარიდან საქართველოში შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატმა დაიწყო საგრანტო პროგრამა „ნაბიჯი უკეთესი მომავლისკენ“, რომელიც მიზნად ისახავს გამყოფი ხაზის მსახლეობის ეკონომიკური საქმიანობისა და შესაძლებლობების გაძლიერებას. ბენეფიციარი შეიძლება იყოს პირი, რომელიც ცხოვრობს ოკუპირებულ ტერიტორიებზე, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონში, ასევე პირი საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებადი ტერიტორიიდან.

B.2.2 მეწარმეობის მხარდამჭერი პროფესიული განათლების პოლიტიკა

2017 წელს შეიქმნა უწყებათშორისი სამუშაო ჯგუფი მთელი ცხოვრების განმავლობაში განათლების ხელშეწყობის მიზნით. ჯგუფში შედიან წამყვანი სამთავრობო უწყებების წარმომადგენლები. რეგულარულად ხდება შეხვედრები შემდეგ საკითხებზე: მეწარმეობის სწავლების სამოქმედო გეგმის შექმნა, ენტრე-კომპის ინტეგრირება სამოქმედო გეგმაში, ეროვნული სასწავლო გეგმაში სამეწარმეო უნარების დანერგვა.

2012 წლიდან კურსდამთავრებულთა კვლევის ფარგლებში გროვდება ინფორმაცია თვითდასაქმების შესახებ. 2015 წლიდან სამეწარმეო სწავლა გახდა სავალდებულო მოდული პროფესიული განათლების სტუდენტებისთვის. სხვადასხვა დონორების დახმარებით შეიმუშავეს სასწავლო მასალები. სამეწარმეო მოდულისთვის მომზადდა სახელმძღვანელო "მეწარმეობა" მასწავლებლისა და სტუდენტისთვის.

2017 წელს შეიმუშავა და დამტკიცდა განათლებისა და მეცნიერების ერთიანი სტრატეგია (2017-2021წწ). ამ სტრატეგიის შემდეგ, მეწარმეობა ძირითადი კომპეტენცია გახდა ეროვნულ სასწავლო გეგმასა და განათლების ყველა დონეზე. განათლებისა და მეცნიერების ერთიანმა სტრატეგიამ კიდევ უფრო გააუმჯობესა კოორდინაცია კერძო სექტორსა და სამინისტროს შორის. 2017 წელს MCA Georgia- ს მხარდაჭერით, შებრუნებული სასწავლო ოთახის კონცეფციის პილოტირება მრავალ პროფესიულ კოლეჯში განხორციელდა. 2018 წლის სექტემბერში აშშ-ს საელჩოს მხარდაჭერით დაინერგა პროექტზე დაფუძნებული სწავლის მეთოდოლოგია მეწარმეობაში, საქართველოს ყველა პროფესიულ კოლეჯში.

2017 წელს სამინისტრომ ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს თანამშრომლობით პროფესიულ კოლეჯებში დააარსა ინდუსტრიული ინოვაციების ლაბორატორიები (FABLAB). FabLab აძლიერებს პროფესიული სტუდენტების სამეწარმეო და ინოვაციურ აზროვნებას. 2018 წელს სამინისტრომ დაიწყო თანამშრომლობა მიუნხენისა და საქართველოს სავაჭრო პალატასთან; ამ თანამშრომლობის ფარგლებში პროფესიული განათლების ყველა მასწავლებელმა გაიარა ტრენინგი მეწარმეობაში, მოხდა მეწარმეობის ტრენინგის მოდულის პილოტირება. 2018 წელს დამტკიცდა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტი. ამ ცვლილების შემდეგ სისტემატურად ჩატარდება კურსდამთავრებულთა კვლევა, სადაც შევა დასაქმებისა და თვითდასაქმების მაჩვენებლები.

საქართველოს მთავრობამ დაიწყო პროგრამა, რომელიც ხაზს უსვამს განათლების, ინოვაციისა და ახალგაზრდობის ინიციატივას განვითარების პროცესში. 2016 წლიდან ყოველწლიურად, საერთაშორისო დონორების მხარდაჭერით ტარდება მინიმუმ ეროვნული დაჯილდოების 7 ღონისძიება : ჰაკატონი, მაკატონი, მასწავლებელთა ჯილდო, ეკოფაქტორი, პროფესიული განათლება, და ა.შ. 2018 წელს პროფესიული განათლების ახალი ბრენდი შეიქმნა. ბრენდის ერთ-ერთი მთავარი მესიჯია, რომ პროფესიული განათლება მეწარმეობის უნარის განვითარების შესაძლებლობაა. საქართველოს უნივერსიტეტები ასევე აწყობენ ღონისძიებებს, რომლებიც მიზნად ისახავს სამეწარმეო სწავლის გაღრმავებას სხვადასხვა კურსების, ვებსაიტების საშუალებით და ა.შ.

2016 წლიდან, განათლების სისტემის დაფინანსება 40% -ით გაიზარდა. გაზრდილი ფინანსები ძირითადად მასწავლებელთა ხელფასების გაზრდასა და ტრენინგებს ემსახურება.

III. შეჯამება და ანალიტიკური დასკვნები

ანალიზის შედეგად გამოიკვეთა შემდეგი მიღწევები :

- უმჯობესდება პროფესიული განათლების შესაბამისობა შრომის ბაზრის საჭიროებებთან, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს გამოწვევები; დამსაქმებლებმა პროფესიული განათლების შესაბამისობა 10 ბალიან სკალაზე შეაფასეს 6,4 ქულით თბილისში (მინიმალური 5 და მაქსიმალური 7.5) და რეგიონებში 5.9 (მინიმალური 3 და მაქსიმალური 7.5)
- პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი გაუმჯობეებულია
- გაუმჯობესდა მეწარმეობის უნარების განვითარების მიდგომა, აგრეთვე სამეწარმეო კულტურა ინსტიტუტებსა და სტუდენტთა შორის.
- ALMP პროგრამები და დაწყებითი პროფესიული განათლება ხელს უწყობს სამუშაოს მაძიებლების დასაქმებას

ამ განყოფილებაში განხილულია შემდეგი მნიშვნელოვანი პოლიტიკის გამოწვევები, მათი გამომწვევი ფაქტორები, განხორციელებასთან დაკავშირებული პროგრესი და რეკომენდაციები:

1.უმუშევრობის მაღალი დონე

2. მიგრაცია უცხოეთში, მათ შორის ახალგაზრდების

3. შეუსაბამობა მიწოდებასა და მოთხოვნას შორის

პოლიტიკის გამოწვევები	უმუშევრობის მაღალი დონე; ეკონომიკური განვითარების მიუხედავად გარკვეული ჯგუფები დასაქმების მიღმა რჩებიან, მათ შორის ახალგაზრდები, ქალები და დაუცველი ჯგუფები
ფაქტორები	• სწრაფი ეკონომიკური რესტრუქტურიზაცია • ეკონომიკური განვითარება სამუშაო ადგილების გარეშე; სამუშაო ადგილების ნაკლებობა • დასაქმების ტრადიციული სტრუქტურა - მასში დომინირებს სოფლის მეურნეობა და დაბალ პროდუქტიული სერვისის სფერო, მაშინ როდესაც თანამედროვე, მაღალი პროდუქტული ეკონომიკის სფერო მცირეა • შეუსაბამობა მიწოდებასა და მოთხოვნას შორის - განათლების სისტემის ნაკლები შესაბამისობა შრომის ბაზრის საჭიროებებთან • ნაკლებად განვითარებული LLL და ზრდასრულთა განათლების სისტემები. • ნაკლებად განვითარებული სამეწარმეო კულტურა და ახალგაზრდებში მეწარმეობის დაბალი დონე • მხარდაჭერის ნაკლებობა განათლების სისტემიდან შრომის ბაზარზე გადასვლის დროს • სამუშაო გამოცდილების ნაკლებობა
გამოსავალი	• ეკონომიკური სექტორების რესტრუქტურიზაცია • მედიაციის სისტემის გაუმჯობესება მოთხოვნა-მიწოდებას შორის • უნარების პროგნოზირების გაუმჯობესება • განათლების ხარისხის გაუმჯობესება
მიღწეული პროგრესი	• LMIS სისტემის განვითარება 2015 წლიდან • პროფესიული განათლების ხარისხის გაუმჯობესება, რაც გამოიხატება კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლის გაუმჯობესებაში (60%) • ALMP– ის გაძლიერება, კარიერული კონულტაციის სერვისების გაფართოება, მათ შორის სამუშაოს მაძიებლებისთვის
რეკომენდაციები	• პოლიტიკა უნდა მოიცავდეს ტრენინგისა და უნარების განვითარების შესაძლებლობების გაზრდას, განათლების სისტემების მორგებას ცვალებადი შრომის ბაზრის მოთხოვნებთან, შრომის ბაზრის შესახებ ინფორმაციის მიწოდებას კარიერული არჩევანის წარმართვის მიზნით. • პრობლემის გრძელვადიანი გადაჭრა სტრუქტურული ტრანსფორმაციის პროცესია, რამაც მაღალკვაიფიციური კადრებისთვის შეიძლება შექმნას საკმარისად კარგი სამუშაო ადგილები ან მინიმუმ მისცეს სტიმული, რომ ისინი არ გახდნენ NEET წევრები. • საჯარო და კერძო შრომის ბაზრის შუამავლობის გაუმჯობესება; საჯარო დასაქმების სერვისების ხარისხის გაუმჯობესება • სამუშაო გამოცდილება არის შრომის ბაზარზე წარმატებული გადასვლის ერთ – ერთი მთავარი ელემენტი. ეს მიიღწევა მაღალი ხარისხის სამუშაო გამოცდილებითა და სტაჟირებით • სამუშაო ძალის პროდუქტიულობისა და უნარების გაუმჯობესება • საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება LM მოთხოვნების საფუძველზე; საგანმანათლებლო პროგრამების კავშირის გაძლიერება LM- სთან;

	• -სასწავლო პროგრამებსა და სწავლების პროცესებში სხვადასხვა უნარების ჩართვა, მაგალითად ციფრული ტექნოლოგია; არატექნიკური უნარები და უცხო ენა • ახალი ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შესაბამისობის გასაუმჯობესებლად

პოლიტიკის გამოწვევა	მიგრაციის მაღალი მაჩვენებლი ახალგაზრდების ჩათვლით. 2014 წლის აღწერის მონაცემებით ემიგრანტთა 75% 20-54 წლის კატეგორიაში შედის. მათ უმრავლესობას საშუალო განათლებაზე მაღალი დონის განათლება აქვთ. სამუშაო ასაკის მოსახლეობა მომავალში დაიკლებს, რაც მთელ რიგ ეკონომიკურ, შრომის ბაზრისა და სოციალურ გამოწვევებს გაზრდის
ფაქტორები	• მოწყვლადი სოციო -ეკონომიკური მდგომარეობა • უმუშევრობის მაღალი დონე • კეთილდღეობის დაბალი დონე მასპინძელ ქვეყნებთან შედარებით
მიღწეული პროგრესი	• მიგრაციის ნაკადის რეგულირების დაწყება • ცირკულარული მიგრაციის მხარდაჭერა
რეკომენდაციები	• მნიშვნელოვანია ქართველი ემიგრანტების დეტალური პროფილის შედგენა • მნიშვნელოვანია მიგრაციული ნაკადის რეგულირება • განსვლის შემცირება ტვინის გადინებასა და დაბრუნებულ მიგრანტებს შორის • დაბრუნებული მიგრანტების ინტეგრაციის მხარდაჭერა • მიზანშეწონილია გადმორიცხვების ეკონომიკური გავლენის გაზრდა; მიგრანტებისა და გზავნილების მიმღები ოჯახის წევრების სამეწარმეო უნარ-ჩვევების გაუმჯობესება • ზოგადად, დასაქმება, სოციალური დახმარება და ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება, რათა შემცირდეს ემიგრაციის პროცესი

პოლიტიკის გამოწვევები	**შეუსაბამობა უნარების მოთხოვნასა და მიწოდებას შორის** • საქართველოს შრომის ბაზრის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევა არის რაოდენობრივი და თვისებრივი შეუსაბამობა უნარების მიწოდებასა და მოთხოვნას შორის. • STEP– ის კვლევის საფუძველზე, სამუშაო ძალის უნარების 66% შეესაბამება მოთხოვნას, 29%-ის აღემატება და 4% ჩამორჩება [10] • უმაღლესი განათლების კურსდამთავრებულებთან უფრო მაღალია შეუსაბამობა 15,5%, ვიდრე პროფესიული განათლების კურსდამთავრებულებისა (12.2%)[11]. საქართველოში ბევრად ნაკლებია მოთხოვნა უმაღლესი განათლების კვალიფიკაციებზე. პრობლემა არ არის განათლებული სამუშაო ძალის ნაკლებობა. 25-34 წლის ასაკის მოსახლეობის თითქმის 40% -ს აქვს უმაღლესი განათლება (ბაკალავრიატი, მაგისტრისა და დოქტორის ხარისხი). ზოგადი განათლება აქვს მამაკაცთა დაახლოებით 42.2 და ქალების- 31.2%[12]. • საქართველოში ”უნარის შეუსაბამობა” ნიშნავს შეუსაბამობას უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის ჭარბ მიწოდებასა და ამგვარი კვალიფიკაციის არასაკმარის მოთხოვნილებას შორის.
ფაქტორები	• საქართველოს მსგავს გარდამავალ ეკონომიკის ქვეყნებში ეს

[10] Handel (2017a) who analyses key issues surrounding skills mismatch in 12 low- and middle-income countries11 that had participated in the Skills Toward Employment and Productivity (STEP) survey.12

[11] ETF calculation based on Geostat data

[12] Hekkert, R,. & Sumbaze. N. (2017). Gender Analysis of the 2014 General Population Census data, National Statistics Office of Georgia. United Nations Population Fund (UNFPA) Office in Georgia

	გამოწვეულია სწრაფი ეკონომიკური რესტრუქტურიზაციით, განათლების სისტემის ნაკლები შესაბამისობით შრომის ბაზრის საჭიროებებთან, მთელი ცხოვრების განმავლობააში განათლების სისტემისა და ზრდასრულთა განათლების სისტემის ნაკლები განვითარებით. • ეს შეუსაბამობა ტრადიციული დასაქმების სტრუქტურის შედეგია; მასში დომინირებს სოფლის მეურნეობა, დაბალი პროდუქტიული სერვისის სფერო და ნაკლებად განვითარებული თანამედროვე, მაღალპროდუქტიული სექტორი. დასაქმების სტრუქტურა საქართველოში ძალიან ნელა იცვლება. • განათლების სისტემა ვერ აწარმოებს შრომის ბაზრისთვის საჭირო კვალიფიკაციებს • შუამავლობის სისტემები მოთხოვნა-მიწოდებას შორის სუსტია; • სამუშაოზე დაფუძნებული განათლების გამოცდილების ნაკლებობა: დამსაქმებლები არ თვლიან ტრენინგს მათ პასუხისმგებლობად; • შეგირდობის შეზღუდული შესაძლებლობა • სკოლებისა და კომპანიების პარტნიორობის ტრადიციის ნაკლებობა.
მიღწეული პროგრესი	• პროფესიული განათლების რეფორმაში დიდი ყურადღება ეთმობა პრაქტიკას • WBL და დუალური განათლების განხორციელების დაწყება; მოკლევადიანი მომზადება- გადამზადების პროგრამები • დამსაქმებლებთან პარტნიორობის გაუმჯობესება პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავების, პროფესიული განათლების მიწოდებია პროცესში • LMIS- ის განვითარება; უნარების პროგნოზის დაწყება
რეკომენდაციები	• გრძელვადიანი გადაწყვეტა მდგომარეობს სტრუქტურულ ტრანსფორმაციაში, როდესაც შეიძლება შეიქმნას სამუშაო ადგილები, რომელზედაც დასაქმდებიან მაღალი კვალიფიკაციის მქონე მუშაკები ან მინიმუმ ახალგაზრდების სტიმულირება, რათა არ გახდნენ NEET პირები • თანამშრომლების მხარდაჭერა დამსაქმებლებს, სახელმწიფო ადმინისტრაციასა და ადგილობრივ თვითმმართველობას შორის დასაქმების პოლიტიკის შემუშავებისა და განხორციელების პროცესში. ასევე აუცილებელია ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების პასუხისმგებლობის გაძლიერება დასაქმების საკითხებში და კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერება • შრომის ბაზრის ინფორმაციული სისტემების შემუშავება; ახალი ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება მოთხოვნა-მიწოდებას შორის შესაბამისობის გასაუმჯობესებლად • საგანმანათლებლო პროგრამების კავშირის გაუმჯობესება შრომის ბაზრის მოთხოვნასთან; • განათლების ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა • კურსდამთავრებულთა განათლებიდან დასაქმებაზე გადასვლის ხელშეწყობა და შესაბამისი მექანიზმების გაძლიერება; • სხვა მიმართულება უნდა იყოს არსებული სამუშაო ძალის უნარების გაუმჯობესება; მაგალითად, კვალიფიკაციის ამაღლების პროგრამის განხორციელება, სამუშაო ტრენინგი • საჯარო და კერძო დასაქმების სერვისების ხარისხის გაუმჯობესება; • სახელმწიფო დასაქმების სერვისების შესაძლებლობების გაუმჯობესება და საჯარო დასაქმების სერვისების ქსელის შექმნა.

ბლოკი C: სოციალური გარემო და პროფესიულ განათლებაზე ინდივიდუალური მოთხოვნა

C.1: პროფესიულ განათლებაში ჩართულობა და მთელი ცხოვრების მანძლზე განათლება

C.1.1 მონაწილეობა

2012/13 წლების შედარება გვიჩვენებს, რომ პროფესიულ განათლებაში ჩარიცხვის მაჩვენებელი 15-19 წლის ასაკის კატეგორიისთვის გაიზარდა 1% -ზე მეტით (იხ. ცხრილი 14).

ცხრილი 14. ჩარიცხვის მაჩვენებელი 15-19 წლის ასაკობრივი ჯგუფისათვის

	2012/13	2013/14	2014/15	2015/16	2016/17	2017/18
მოსახლეობა	244442	235548	230899	226792	221551	215695
ჩარიცხვა	12,426	17,917	15,690	16,014	16,698	14,769
	5.08%	**7.61%**	**6.80%**	**7.06%**	**7.54%**	**6.85%**

ჩარიცხვის მაჩვენებელი საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მოცემულია ცხრილში 15

ცხრილი 15. ჩარიცხვის მაჩვენებელი საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე

	2012/13	2013/14	2014/15	2015/16	2016/17	2017/18
1 დონე	743	34	22	8	30	25
2 დონე	3,124	1341	972	1082	1146	1093
3 დონე	8244	13204	10536	10522	10818	9328
4 დონე	47	1690	2245	2151	2224	1975
5 დონე	268	1648	1915	2251	2480	2348
სულ	**12,426**	**17,917**	**15,690**	**16,014**	**16,698**	**14,769**

წყარო: EMIS

შენიშვნა: ასაკობრივი ჯგუფი 15 – 19 წელი, 2012/2013 წლის ანალიზისთვის აღებულია 2012 წლის მონაცემებიდან; მონაცემები ეხება სასწავლო წელს - სექტემბრიდან აგვისტომდე, გარდა 2017/2018 სასწავლო წლისა, რაც ეხება სექტემბერი - ივნისის პერიოდს; ჩარიცხულ სტუდენტებში 20 წლისა და მეტი ასაკის სტუდენტები ცვლის მონაცემებს

რეგისტრაციის, ჩარიცხვისა და დამთავრების მაჩვენებლები ასაკობრივი ჯგუფის მიხედვით მოცემულია ცხრილში 14 და 15. როგორც ცხრილებიდან ჩანს, ჩარიცხვის მაჩვენებელი შემცირებულია წინა წლებთან შედარებით; ეს შეიძლება აიხსნას რამდენიმე ფაქტორით, როგორიცაა:

- საგნობრივი პროგრამების ხანგრძლივობა მოდულური პროგრამების ხანგრძლივობაზე ნაკლები იყო; მოდულური პროგრამების ხანგრძლივობა მინიმუმ 1.5 წელია; ამრიგად, კოლეჯებს შეეძლებათ უფრო მეტი სტუდენტის მიღება კონკრეტულ პერიოდში საგნობრივ პროგრამებზე, ვიდრე მოდულურ პროგრამებს;
- სტუდენტთა ჩარიცხვა ნაკლებად რეგულირებული იყო, ვიდრე ახლა. საგანმანათლებლო დაწესებულებებს ჰქონდათ სტუდენტების მთელი კვოტა და დაწესებულებებს შეეძლოთ სტუდენტების რაოდენობის გადანაწილება პროგრამებს შორის. ავტორიზაციის ახალი სტანდარტების შესაბამისად, თითოეულ პროგრამას აქვს კვოტა, რომელიც დამოკიდებულია იმ მატერიალურ რესურსებზე, რომლებიც დაწესებულებას სჭირდება კონკრეტული საგანმანათლებლო პროგრამების თეორიული და პრაქტიკული კომპონენტების განსახორციელებლად. ახალი სტანდარტი ზუსტად განსაზღვრავს რა სახის აღჭურვილობაა ხელმისაწვდომი, რამდენ სტუდენტს შეუძლია ჩაირიცხოს მოცემულ პროგრამაზე. ინსტიტუტებს შეეძლოთ განეხორციელებინათ პროფესიული პროგრამები, რაც არ უკავშირდებოდა შრომის ბაზრის მოთხოვნებს. ახლა ინსტიტუტებს არ შეუძლიათ კვალიფიკაციების სწავლება, რომელიც არ არის შრომის ბაზარზე მოთხოვნილი.

- არსებობს შეუსაბამობა სტუდენტების არჩევანსა და შრომის ბაზრის მოთხოვნას შორის. შესაბამისად, სტუდენტები ხშირად არ ირჩევენ მოთხოვნად პროფესიებს. მაგალითად, დურგლები, ხარატები და ა.შ. შეჯამება, მნიშვნელოვანია მოსწავლეთა კვოტის განსაზღვრა თითოეულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, შრომის ბაზრის საჭიროებისა და არსებული რესურსების გათვალისიწნებით. სტუდენტების რაოდენობა გაიზრდება პროფესიული ინსტიტუტის ქსელის გაფართოებასთან ერთად. განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო პოპულარიზებას უწევს შრომის ბაზარზე მოთხოვნად პროფესიებს, მაგრამ შესაძლოა ეს პროფესიები ნაკლებად მომხიბვლელიიყოს სტუდენტებისთვის.
- ჩიხები ასევე იწვევდა სტუდენტების რაოდენობის შემცირებას. ეს გამოწვევა დაიძლევა ახალი კანონის თანახმად.

C.1.2 პროფესიული განათლება მოწყვლადი და მარგინალური ჯგუფებისთვის

მოწყვლადობა დაკავშირებულია ისეთ ფაქტორებთან, როგორიცაა რეგიონალური და ეკონომიკური ფაქტორები, ინდივიდუალური თუ სოციალური მახასიათებლები. მოწყვლადი ჯგუფები შეიძლება დავაჯგუფოთ სოციალური მახასიათებლების მიხედვით: ასაკი, სქესი, ეთნიკურობა, შეზღუდული შესაძლებლობები თუ ოჯახური მდგომარეობა. 2015 წელს მომზადდა სიტუაციური ანალიზი - მოწყვლადი ჯგუფების პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა საქართველოში. ანალიზში აღნიშნულია, რომ ზოგადად ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური ცვლილებები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოწყვლადი ჯგუფების მდგომარეობაზე, ხელს უწყობს სოციალური რისკების წარმოქმნასა და შესაბამისად, ახალი მოწყვლადი ჯგუფების გაჩენასაც. მოწყვლადი ჯგუფები უფრო და უფრო ფართოვდება და ამჟამად ისეთ ჯგუფებს მოიცავს, როგორიცაა ასაკოვანი ადამიანები, მარტოხელა ოჯახები, შშმ და სსსმ პირები, სოციალურად დაუცველი პირები, ლტოლვილები, დევნილები, ხანგრძლივად უმუშევრები, ვეტერანები, ეთნიკური უმცირესობები და ა.შ. სიტუაციური ანალიზის შედეგების გათვალისწინებით პროფესიული განათლების სისტემაში დაინერგა სხვადასხვა სერვისები თუ მოდელები.

2016 წლიდან ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენლები სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში ირიცხებიან აზერბაიჯანულენოვანი, სომხურენოვანი და რუსულენოვანი ტესტების საფუძველზე, რის შემდეგაც გადიან ქართული ენის მოდულს და სწავლას აგრძელებენ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე.

დევნილთა პროფესიული განათლების მიღების მხარდასაჭერად, სსიპ საარსებო წყაროებით უზრუნველყოფის სააგენტოს მიერ, სამინისტროსთან პარტნიორობით ხორციელდება დევნილი პროფესიული სტუდენტების ტრანსპორტირების ხარჯების ანაზღაურება. ასევე, დევნილთა სამეწარმეო საქმიანობის მხარდასაჭერად პერიოდულად ხორციელდება საგრანტო კონკურსი, მიმდინარეობს სხვადასხვა სამიზნე ჯგუფებზე მორგებული მოკლევადიანი პროფესიული კურსების განხორციელება, რომელშიც ჩართული იყვნენ სამუშაოს მაძიებლები, მსჯავრდებულები და ყოფილი პატიმრები. აღსანიშნავია, რომ სახელმწიფოს მიერ პროფესიული განათლება ფინანსდება ასევე ლტოლვილის, თავშესაფრის მაძიებლისა და ჰუმანიტარული სტატუსის მქონე პირებისათვის.

2019 წლიდან პროფესიული განათლების სისტემაში განვითარდა ზრდასრულთა განათლების სისტემა, რაც გულისხმობს პროფესიული მომზადებისა და პროფესიული გადამზადების ფორმალიზებასა და ზრდასრულთა საჭიროებებზე მორგებული პროგრამების განხორციელებას. აღნიშნული პროგრამების ფარგლებში სახელმწიფო დაფინანსება პრიორიტეტულ დარგებში გაიცემა კერძო პროვაიდერების დაფინანსების მიზნითაც.

მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა პროფესიული განათლების დაფინანსების კუთხით. 2019 წლის საგაზაფხულო მიღებიდან პრიორიტეტული დარგების ფარგლებში ვაუჩერულ დაფინანსებაში ჩაერთვნენ პროფესიული პროგრამების განმახორციელებელი კერძო საგანმანათლებლო დაწესებულებები.

სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, განათლების კუთხით ერთ-ერთ მოწყვლად ჯგუფს წარმოადგენენ.

საქართველოს კანონით პროფესიული განათლების შესახებ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირი განისაზღვრება, როგორც: „პირი, რომელსაც გამოხატული აქვს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები ან/და შეზღუდული შესაძლებლობა და რომელიც საჭიროებს სასწავლო პროცესის ადაპტაციას, რაც გულისხმობს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის/სახელმწიფო ენაში მომზადების პროგრამის მოდიფიკაციას, ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენას, სასწავლო გარემოსა და პირობების შეცვლას ან/და დამატებით სპეციალურ საგანმანათლებლო მომსახურებას;

რაც შეეხება სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების განათლების ხელშეწყობას, მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანაში პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში ინკლუზიური განათლების დანერგვა ზოგადი განათლების საფეხურთან შედარებით რამდენიმე წლით გვიან დაიწყო (ზოგადი განათლების საფეხურზე ინკლუზიური განათლების დანერგვა 2006 წელს, ხოლო პროფესიული განათლების საფეხურზე 2013 წელს დაიწყო), აღნიშნული პროცესი პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაში საკმაოდ სწრაფად განვითარდა.

გარდა ამისა, ზოგადი განათლების საფეხურისგან განსხვავებით, პროფესიულ განათლებაში ჩართული სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე პირები კვარტალურ ვაუჩერზე დამატებითი დაფინანსებით არიან უზრუნველყოფილნი (საქართველოს მთავრობის დადგენილება N244. 19.09.2013. „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“), რომელიც უშუალოდ ცალკეულ სტუდენტს ებმის და მისი ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით გამოიყენება. აღნიშნული ფაქტორიც, სპეციფიკურად პროფესიული განათლების საფეხურთან მიმართებით არის შემუშავებული და ერთ-ერთ მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორს წარმოადგენს მოწყვლადი ჯგუფებისთვის მათ ინდივიდუალურ საჭიროებზე მაქსიმალურად მორგებული ხელშეწყობით უზრუნველყოფის საკითხში.

C.1.3 & C1.4 პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება მოწყვლადი ჯგუფებისთვის

2013 წელს საქართველოს მთავრობამ გაითვალისწინა ქვეყანაში შექმნილი სოციალური მდგომარეობა და მიიღო გადაწყვეტილება სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში პროფესიული განათლების სრულად დაფინანსების შესახებ. ხოლო, 2019 წლიდან სახელმწიფო დაფინანსებაში ჩაერთვნენ კერძო პროფესიული საგანმანთლებლო დაწესებულებები პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში. თუმცა გარკვეული სირთულეები პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის კუთხით კვლავ რჩება, განსაკუთრებით კი მოწყვლადი ჯგუფებისათვის. სწორედ ამიტომ მუნიციპალური დაფარვის გაუმჯობესების მიზნით მიმდინარეობს პროფესიული სასწავლებლების/მათი ფილიალების დაფუძნება/განვითარება. ასევე გააქტიურებულია მუშაობა სტუდენტური საერთო საცხოვრებელების განვითარების მიმართულებით. ამასთან ამოქმედებულია სპეცილური პროგრამა, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება დევნილი სტუდენტების ტრანსპორტირების დაფინანსება.

პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების ერთ-ერთ მექანიზმს, ასევე წარმოადგენს სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითრების პროგრამა, რომლის მასშტაბებიც წლიდან წლამდე მზარდია. პროფესიული ორიენტაციის კომპონენტის ფარგლებში პროგრამა ხორციელდება 2017 წლიდან და მიზნად ისახავს სკოლის მოსწავლეებში პროფესიული უნარების განვითარებაზე ორიენტირებული აქტივობების განხორციელებას. 2019 წლიდან პროგრამა ასევე ითვალისწინებს პროფესიული მომზადების სასერტიფიკატო კურსების განხორციელებას X-XII კლასის მოსწავლეებისათვის. აღნიშნული კურსები მოსწავლეებს მოამზადებს კონკრეტულ პროფესიასთან დაკავშირებული ცალკეული ამოცანებისა და მოვალეობების შესასრულებლად.

C.1.5 პროფესიული განათლების მოქნილობა პროფესიული განათლების სფეროში მონაწილეობის გაზრდის მიზნით

2019 წლამდე პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები იქმნებოდა ორი სქემის მიხედვით. 1) არსებობდა ცენტრალურ დონეზე შემუშავებული პროფესიული სტანდარტები, რომლებზე დაყრდნობითაც საგანმანათლებლო დაწესებულებებს დამოუკიდებლად უნდა შეექმნათ საგანმანათლებლო პროგრამები. ამ შემთხვევაში პროცესი იყო დეცენტრალიზებული; 2) 2014 წლიდან დაიწყო მოდულური პროგრამების განვითარება, რომლებიც ეფუძნებოდა პროფესიულ სტანდარტებსა და მის საფუძველზე შექმნილ ჩარჩო-დოკუმენტებს. ამ შემთხვევაში ჩარჩო დოკუმენტები იქმნებოდა ცენტრალიზებულად, სახელმწიფოს დონეზე და საგანმანათლებლო დაწესებულებებს საშუალება ჰქონდათ აეღოთ არსებული დოკუმენტი, შეეტანათ მასში გარკვეული ცვლილებები და ექციათ ის თავიანთ საგანმანათლებლო პროგრამად. ამ შემთხვევაში მიდგომა არის მეტად ცენტრალიზებული. 2019 წლამდე სისტემა პროვაიდერებს სთავაზობდა არჩევანის საშუალებას, თუმცა, გამომდინარე იქიდან, რომ ჩარჩო-დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროგრამები იყო მთლიანად დამსაქმებლის მოთხოვნათა გათვალისწინებით შექმნილი და ასევე, მეტად პასუხობდა შრომის ბაზრის მოთხოვნებს, 2019 წლის 1 იანვრიდან საქართველოს კანონში „პროფესიული განათლების შესახებ“ ჩაიწერა, რომ სისტემაში ახალი პროფესიული სტუდენტების მიღება უნდა განხორციელდეს მხოლოდ მოდულურ პროგრამებზე. [13]

ამასთან, ახალმა კანონმა შექმნა შესაძლებლობა, რომ პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებებმა განახორციელონ მოკლევადიანი მომზადება/გადამზადების პროგრამები, რომელთა დასრულების შემდეგაც გაიცემა სახელმწიფოს მიერ აღიარებული სერტიფიკატი. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პრინციპების განხორციელებას. საგანმანათლებლო დაწესებულებების უპირატესობაა ისიც, რომ მათ მომზადება/გადამზადების მოკლევადიანი პროგრამების დამატება იმ პროგრამების ფარგლებში, რომლებზეც უკვე აქვთ გავლილი ავტორიზაცია, შეუძლიათ დამატებითი პროცესის გავლის გარეშე, მხოლოდ განაცხადის წარმოდგენის გზით.

C.1.6 არაფორმალური განათლების აღიარება

არაფორმალური განათლების აღიარების მიზანია პირისთვის/მაძიებლისთვის, ფორმალური განათლების მიღმა შეძენელი - „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შემოწმებით, მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლის, პიროვნული განვითარების, სწავლის გაგრძელების ან/და კვალიფიკაციის მინიჭების ან/და დასაქმების/კარიერული ზრდის/თვითდასაქმების ხელშეწყობა.

არაფორმალური განათლების აღიარების აქამდე არსებული საფუძვლები ეყრდნობოდა „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონში 2010 წელს მიღებულ ცვლილებებსა და განათლებისა და მეცნიერების მინისტრის იმდროინდელ ბრძანებას, რომელიც განსაზღვრავდა აღიარების პროცესის ზოგად პრინციპებსა და აღიარებას მხოლოდ მესამე საფეხურის ფარგლებში. აღნიშნულის საფუძველზე განხორციელებულმა აღიარების პროცესებმა გამოკვეთა მთელი რიგი საკითხების რეგულირების საჭიროება, მათ შორის მეთოდოლოგიის დანერგვა, მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება და სხვა. კონკრეტული რეკომენდაციებისა და მიდგომების გამოკვეთის მიზნით განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივით "პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის" MCA-G პროექტის მიერ შემუშავდა "არაფორმალური განათლების აღიარების კონცეფცია", რომელიც განხილულ იქნა ყველა დაინტერესებულ მხარესთან, მათ შორის საგანმანათლებლო დაწესებულებებთან, დამსაქმებელთა და დასაქმებულთა გაერთიანებებთან. აღნიშნული კონცეფციის საფუძველზე განისაზღვრა განახლებული მიდგომები, მეთოდოლოგია, რომელიც დაეფუძნა საერთაშორისო დონეზე არსებულ აღიარების აპრობირებულ მეთოდოლოგიასა და ევროსაბჭოს მიერ 2004 წლის მაისში მიღებულ "არაფორმალური განათლების აღიარების ძირითად ევროპულ პრინციპებს".

2018 წლის ოქტომბერში განახლებულმა „პროფესიული განათლების შესახებ“ კანონმა წინა რეგულაციისგან განსხვავებულად განსაზღვრა არაფორმალური განათლების აღიარების უფრო მეტი შესაძლებლობები, რომელიც ითვალისწინებს არამხოლოდ მესამე დონის შესაბამისი სწავლის

[13] საქართველოს კანონი “პროფესიული განათლების შესახებ“, მუხლი 39.

შედეგების აღიარებას, არამედ მეოთხე და მეხუთე დონის შესაბამის სწავლის შედეგების აღიარებასაც.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ დამტკიცდება არაფორმალური განათლების აღიარების წესი. როგორც აღინიშნა, „პროფესიული განათლების შესახებ კანონის“ საფუძველზე არაფორმალური განათლების აღიარების წესი და პროცედურები 2019 წლიდან იქნება სრულად განახლებული.

არაფორმალური განათლების აღიარების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

- **კონსულტირება/იდენტიფიცირება** - არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ კონსულტირება უზრუნველყოფილ უნდა იქნას აღიარების მსურველის წერილობითი მიმართვის საფუძველზე, კონსულტაციის გაწევაზე პასუხისმგებელი სერთიფიცირებული პირის - კონსულტანტის მიერ.
- **დოკუმენტირება** - მაძიებლის მიერ განცხადების წარდგენა
- **შეფასება** - შეფასების პროცესის უზრუნველსაყოფად დაწესებულება ქმნის კომისიას, რომელშიც უზრუნველყოფილი უნდა იყოს შემდეგი პირების წარმომადგენლობა:
  - ✓ შესაბამისი სფეროს სპეციალისტები - დამსაქმებელთა წარმომადგენლები;
  - ✓ შესაბამისი სფეროს პროფესიული განათლების მასწავლებელები;
  - ✓ დაწესებულების ადმინისტრაციის წარმომადგენელი.

შეფასების ეტაპზე კომისია შეისწავლის აღიარების მსურველის (მაძიებლის) მიერ წარდგენილ განცხადებასა და მასზე თანდართულ დოკუმენტაციას და ადგენს სწავლის შედეგების დადასტურების შესაძლებლობას. კომისია უფლებამოსილია, რომ მაძიებელს მოთხოვოს დამატებითი დოკუმენტების წარდგენა და/ან მიიღოს გადაწყვეტილება არაფორმალური განათლების აღიარების მიზნით გამოცდის ჩატარების (მათ შორის სამუშაო ადგილზე დაკვირვების/გამოცდის) და/ან სხვა ტიპის შეფასების შესახებ. ასაღიარებელი სწავლის შედეგების სპეციფიკის გათვალისწინებითგამოცდა შეიძლება ჩატარდეს წერილობით, ზეპირი და/ან პრაქტიკული დავალების შესრულებით. აღიარების მსურველის პრაქტიკული კომპეტენციების შემოწმების მიზნით გამოცდა ტარდება საგანმანათლებლო დაწესებულების ან/და დამსაქმებლის ბაზაზე.

- **მიღებული გადაწყვეტილების საფუძველზე სერტიფიკატის გაცემა/სერტიფიცირება** - კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე გამოიცემა ამღიარებელი დაწესებულების უფალებამოსილი პირის ბრძანება აღიარების დადასტურებაზე ან აღიარებაზე უარის თქმის შესახებ. დადასტურების შემთხვევაში ბრძანების საფუძველზე გაიცემა შესაბამისი სერთიფიკატი, ხოლო სწავლის შედეგების სრულად დადასტურების შემთხვევაში შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულება გასცემს კვალიფიკაციის დამადასტურებელ დოკუმენტს - დიპლომს

C2. თანასწორობა და თანაბარი შესაძლებლობა პროფესიულI განათლების სფეროში

C.2.1 შემსწავლელთა წარმატებები პროფესიული განათლების სფეროში

2012/13 და 2016/2017 წლებში პროფესიულ განათლებაში ჩარიცხვისა და დასრულების მაჩვენებლები მოცემულია ცხრილში. კურსდამთავრებულთა მაჩვენებელი შემცირდა 2016/17 წლებში; ერთ-ერთი მიზეზი ის არის ზრდასრულთა მიტოვების მაჩვენებელი მაღალი იყო მოდულურ პროგრამებზე, ხოლო მოდულური პროგრამების ხანგრძლივობა მინიმუმ 1,5 წელია

ცხრილი

ცხრილი 16. ჩარიცხვისა და დასრულების მაჩვენებლები 2012 / 13 და 2016 / 2017 წლებში

	2012/13	2013/14	2014/15	2015/16	2016/17	2017/18
ჩარიცხვა	**12,426**	**17,917**	**15,690**	**16,014**	**16,698**	**14,769**
კაცი	6,382	9,229	8,248	8,451	8,747	7,703
ქალი	6,044	8,688	7,442	7,563	7,951	7,066
დასრულება	**10,028**	**13,276**	**11,484**	**10,905**	**7,891**	
კაცი	146960	142739	136784	129779	123069	
ქალი	142228	138385	132180	124364	116053	

დასრულების %	80.7	74. 1	73.2	68.1	47.3	

წყარო: შექმნილია EMIS ბაზუს საფუძველზე

მიტოვების მაჩვენებელი გვიჩვენებს, რომ 20-24 წლის ასაკის მამაკაცები და ქალები ყველაზე მოწყვლადი ჯგუფები არიან. ზოგადად, 15-29 წლის ასაკში ახალგაზრდებს აქვთ მიტოვების უფრო მაღალი მაჩვენებელი, ვიდრე ასაკოვან ადამიანებს .

ცხრილი 17. მიტოვები ს მაჩვენებელი ასაკის მიხედვით 2017

კაცი							ქალი						
15-19	20-24	25-29	39-34	35-39	> 40	სულკაცი	15-19	20-24	25-29	39-34	35-39	> 40	სულ ქალი
1179 წ	2034 წ	929	356	161	300	**4959**	696	1702	777	345	196	335	**4051**

C.2.2 პროფესიული განათლება პირებისთვის, რომელთაც სწავლაში დამატებითი მხარდაჭერა სჭირდებათ

პროფესიულ განათლებაში ყოველ მიღებაზე (მიღება ხორციელდება წელიწადში ორჯერ-გაზაფხულზე და შემოდგომაზე) ადგილების მინიმუმ 10% განსაზღვრულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე აპლიკანტებისთვის.
როგორც წესი, ეს 10% პროფესიული სტუდენტების ის ნაწილია, რომელიც საგანმანათლებლო პროცესში სხვადასხვა ტიპის გაფართოებულ მხარდაჭერას საჭიროებს.

არსებული გამოცდილების თანახმად, პროფესიული სასწავლებლებისთვის ყველაზე დიდ გამოწვევას ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შედგენა/სასწავლო პროგრამების მორგება და კვალიფიციური სპეციალისტების მხარდაჭერით უზრუნველყოფა წარმოადგენს, რაც განსაკუთრებულად რეგიონებში იჩენს თავს. აღნიშნული გამოწვევები ასევე ზოგადი განათლების საფეხურთან მიმართებაშიც ვლინდება.

ამასთანავე, ყოველთვის არ არის შესაძლებელი სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის პრაქტიკის ადგილის შესაბამისად მორგება/ადაპტირება და სამეწარმეო პრაქტიკის პროცესში საჭირო ადამიანური/პროფესიული მხარდაჭერით უზრუნველყოფა.
გარდა ამისა, პროფესიული საგანმანთლებლო დაწესებულებებისთვის კვლავ გამოწვევას წარმოადგენს სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროების მქონე პირების ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებული პროფესიული ორიენტაციის პროცედურით უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ მნიშვნელოვან წინაპირობას წარმოადგენს პირის მიერ საუკეთესო პროფესიული არჩევანის გაკეთებისა და სამომავლო წარმატებული სასწავლო პროცესისთვის.

C.2.3 & 2.4 პროფესიული განათლების სფეროში თანასწორობის მხარდაჭერის ღონისძიებები

დღესდღეობით ინკლუზიური განათლება საქართველოს საგანმანათლებლო სისტემის ერთ-ერთ წამყვან პრიორიტეტს წარმოადგენს, რაც შესაბამისი საკანონმდებლო ბაზითა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის განსაზღვრული პრაქტიკული მხარდაჭერით არის განმტკიცებული. საქართველოს საგანმანათლებლო სისტემაში ინკლუზიური განათლების დანერგვა ზოგადი განათლების საფეხურზე 2006 წლიდან დაიწყო; აღნიშნული პერიოდიდან ზოგადი განათლება ხელმისაწვდომი გახდა მრავალფეროვანი სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის.

2013 წლიდან ინკლუზიური განათლების დანერგვა პროფესიული განათლებისა და გადამზადების სისტემაშიც დაიწყო. მრავალფეროვანი საჭიროების მქონე პირთათვის პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაზრდის მიზნით, ცალკეული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში განსაზღვრულია კვოტა (პროფესიული სტუდენტების საერთო რაოდენობის მინიმუმ 10%), შემუშავებულია პროფესიული ტესტირების ალტერნატიული პროცედურა, რომელიც აპლიკანტის ინდივიდუალურ საჭიროებებზე მორგებულ პირობებში მის მიერ შერჩეული პროფესიის/პროფესიების მოსინჯვას გულისხმობს საუკეთესო პროფესიული არჩევანის ხელშესაწყობად. ალტერნატიული პროფესიული ტესტირების პროცედურა ასახულია

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებაში N 152/ნ, (27.09.2013) „პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულების დამტკიცების თაობაზე“.

2017 წლიდან, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტები სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილნი არიან კვარტალურ ვაუჩერზე დამატებითი დაფინანსებით 1000 ლარის ოდენობით (საქართველოს მთავრობის დადგენილება N244. 19.09.2013. „პროფესიული განათლების დაფინანსების წესისა და პირობების განსაზღვრისა და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფოს მიერ დაფუძნებულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის საფასურის მაქსიმალური ოდენობის დამტკიცების თაობაზე“). აღნიშნული დაფინანსების გამოყენება სასწავლო პროცესში სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროების მიხედვით ხდება.

პროფესიულ განათლებაში ჩართული შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის, მათი ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით, სხვადასხვა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა ხდება. პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში დაემატა ისეთი ახალი პოზიციები როგორიცაა: ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტი, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტი; ამასთანავე, საჭიროების შემთხვევაში, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების პროფესიული სტუდენტებისთვის ხელმისაწვდომი გახდა ისეთი პროფესიული/ადამიანური რესურსი, როგორიცაა: ჟესტური ენის თარჯიმანი, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერი, გადაადგილების მხარდამჭერი, სპეციალური მომვლელი და სხვა, რაც ინდივიდუალური საჭიროებით განისაზღვრება. გარდა ამისა, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტები საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფილნი არიან ტრანსპორტირებით, სასწავლო მასალისა და სასწავლო სტრატეგიების ადაპტირებით და ინდივიდუალური სასწავლო გეგმით.
უმეტეიო პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება უზრუნველყოფილია პანდუსებითა და ადაპტირებული სველი წერტილებით; ხოლო 4 პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში ფიზიკური გარემო მოწყობილია უნივერსალური დიზაინის პრინციპების მიხედვით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტების განათლების მხარდასაჭერად შეიქმნა საგანმანათლებლო რესურსები, როგორიცაა ქართული ჟესტური ენის ელექტრონული ბანკი (რომელიც სპეციალურ ვებ გვერდზეა განთავსებული) და აღნიშნული ბანკის სატელეფონო აპლიკაცია, მომზადდა პროფესიული სახელმძღვანელოების აუდიო ვერსიები და პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებული გზამკვლევები. მოხდა დამხმარე ტექნიკური მოწყობილობების შეძენა (პორტაბელური ვიდეო გამადიდებლები, ბრაილ დისპლეები). რეგულარულად ხდება ინკლუზიურ პროფესიულ განათლებაში ჩართული მასწავლებლებისა და სპეციალისტების პროფესიული გაძლიერება.

ინკლუზიური განათლება და მასთან დაკავშირებული საკითხები ასახულია საქართველოს კანონში პროფესიული განათლების შესახებ. ამასთანავე, დაწყებულია მუშაობა ინკლუზიური პროფესიული განათლების წესის შემუშავებაზე.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებს აქვთ შესაძლებლობა სომხურ, რუსულ ან აზერბაიჯანულ ენაზე ჩააბარონ პროფესიული ტესტირება და სახელმწიფო დაფინანსებით ჩაირიცხონ პროფესიული პროგრამების განმახორციელებელ სახელმწიფო საგანმანათლებლო დაწესებულებებში. თავდაპირველად ისინი სწავლობენ ქართული ენის მოდულს, ხოლო შემდეგ სწავლას აგრძელებენ სტანდარტული პროგრამის შესაბამისად.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების/შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების პროფესიული ტესტირება ხდება მათზე ინდივიდუალურად მორგებულ პირობებში
პროფესიულ განათლებაში ჩართული შეზღუდული შესაძლებლობისა და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტებისთვის, საქართველოს კანონით ზოგადი პროფესიული განათლების შესახებ, განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავება. ამასთანავე, სტუდენტის ინდივიდუალური საჭიროების გათვალისწინებით, ხდება სხვადასხვა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო მომსახურების გაწევა, როგორიცაა: ინკლუზიური პროფესიული განათლების სპეციალისტის, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირის ასისტენტის, ჟესტური ენის თარჯიმნის, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერის, გადაადგილების მხარდამჭერის/ტრანსპორტირებით უზრუნველმყოფელის, სპეციალური მომვლელისა და სხვა.

მხარდაჭერის ისეთი ფორმები, როგორიცაა ჟესტური ენის თარჯიმანი, სივრცითი ორიენტაციისა და მობილობის ტრენერი, გადაადგილების მხარდამჭერი/ტრანსპორტირებით უზრუნველმყოფელი, სპეციალური მომვლელი, სპეციფიკურია პროფესიული განათლების საფეხურისთვის.

ზემოთ ჩამოთვლილი დახმარების ფორმების გარეშე პროფესიული განათლება ნაკლებად ხელმისაწვდომი იქნებოდა სპეციალური საგანმანთლებლო საჭიროებისა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის.

C.3: დასაქმების აქტიური მხარდაჭერა

C.3.1 პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმება

საქართველოს მოსახლეობის 2014 წლის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით მოსახლეობის 26,7 პროცენტი უმაღლესი განათლების მქონეა, პროფესიულის - 17,4 პროცენტი, სრული ზოგადი განათლების (საშუალო განათლება) - 36,7 პროცენტი. ზოგადი განათლების საბაზო საფეხური მიუთითა 8,4 პროცენტმა, ხოლო დაწყებითი საფეხური - 5,7 პროცენტმა. განათლების დონის შესახებ მონაცემები განსხვავდება დასახლებების ტიპების მიხედვით. მაგალითად, უმაღლესი განათლების მქონე მოსახლეობის 78,0 პროცენტი საქალაქო დასახლებებში ცხოვრობს, ხოლო 22,0 პროცენტი - სოფლად. სრული ზოგადი განათლების მქონეთა 47,2 პროცენტი საქალაქო დასახლებებშია, ხოლო 52,8 პროცენტი - სასოფლოში.

განათლების მიმართულებით განხორციელებული ცვლილებების შედეგის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მაჩვენებელია დასაქმება. დასაქმების თვალსაზრისით პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულებს უკეთესი მაჩვენებელი აქვთ უმაღლესი განათლების მქონე პირებთან შედარებით. 2015 წელს უმუშევართა პროცენტული მაჩვენებელი შედარებით მაღალია უმაღლესი განათლების მქონე პირთა შორის (14.4%), ვიდრე პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულებს შორის (11%). თუმცა, 15-24 წლის ასაკობრივ კატეგორიაში უმუშევარი პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა პროცენტული მაჩვენებელი (36%) და საშუალო განათლების მქონე პირთა პროცენტული მაჩვენებელი (33%) უფრო მაღალია, ვიდრე უმუშევარი უმაღლესი განათლების მქონე პირთა პროცენტული მაჩვენებელი (30.8%).

პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებების დადებითი გავლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და შრომის ბაზარზე მათი წარმატებული ინტეგრაციაა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროფესიული განათლების განვითარების დეპარტამენტის მიერ საფუძველი ჩაეყარა და 2014 წლიდან რეგულარულად ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა (ე.წ. Tracer Study).



2015-2017 წლების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის (Tracer Study) შედეგების თანახმად, პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა განაწილების სურათი საქმიანობების მიხედვით თითქმის უცვლელია. პროფესიული პროგრამების კურსდამტავრებულთა უმრავლესობა, დასაქმებულია (დაქირავებით დასაქმებული და თვით დასაქმებული), თუმცა გამოკითხულთა თითქმის ყოველი მესამე უმუშევარია.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების პროცენტული მაჩვენებელი მზარდია. 2017 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი 4%-ით გაიზარდა 2015 წლის მაჩვენებელთან შედარებით და შეადგინა **60%.**



სქესის მიხედვით პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი მნიშვნელოვნად განსხვავდება. აღნიშნული განსხვავების ინტერვალი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2018 წელს. კერძოდ, ქალ რეპონდენტებთან შედარებით დაახლოებით 10%-ით მეტი მამაკაცი აღნიშნავს, რომ დასაქმებულია.

2017 წლის კურსდამთავრებულთა კვლევის მიხედვით, გამოკითხულ მამაკაცთა 64%, ხოლო ქალთა 55%-ია დასაქმებული



2016–2017 წლის პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევის მიხედვით, დასაქმების მაღალი მაჩვენებელი აღინიშნება შემდეგ მიმართულებებზე:

- აგრარული მეცნიერებები
- ინჟინერია
- მიმართულებათაშორისი დარგები ან სპეციალობები
- ბიზნესის ადმინისტრირება

აღსანიშნავია, რომ ყოველწლიურად იზრდება დაქირავებით დასაქმებულ კურსდამთავრებულთა რაოდენობა, რომლებიც აღნიშნავენ, რომ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღებული სპეციალობა დაკავშირებულია მათ ამჟამინდელ სამუშაოსთან. აღნიშნული მიუთითებს საგანმანათლებლო სისტემისა და შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისობის დადებით ტენდენციებზე

მიუხედავად იმისა, რომ პროფესიული პროგრამები დაფუძნებულია საწარმოო პრაქტიკაზე, პრაქტიკული გამოცდილება კვლავ გამოწვევად რჩება პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების შემთხვევაში. 2016 – 2017 წლების კურსდამთავრებულთა კვლევების მიხედვით, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების უმუშევარი კურსდამთავრებულთა უმრავლესობა აქტიურად ეძებს სამსახურს. დასაქმების ხელისშემშლელი ყველაზე მნიშვნელოვანი ფაქტორებია:

- ვაკანტურ პოზიციებზე შემოთავაზებული ანაზღაურების სიმცირე
- მათ კვალიფიკაციასა და პროფესიაზე არსებული დაბალი მოთხოვნა
- გამოცდილებასთან დაკავშირებული მოთხოვნების ვერ დაკმაყოფილება

კვლევიდან, რომელიც ეხება დასაქმების ხელშეწყობას იკვეთება, რომ საგანმანათლებლო დაწესებულებებმა უნდა გააუმჯობესონ კერძო სექტორთან თანამშრომლობა, მოახდინონ მათი აქტიური ჩართულობა როგორც კარიერის დაგეგმვის ეტაპზე, ასევე ითანამშრომლონ მათთვის საჭირო კადრების მიწოდების კუთხით.კურსდამთავრებულთა აბსოლიტური უმრავლესობა კმაყოფილია არჩეული პროფესიით (82%) და საგანმანათლებლო დაწესებულებით (93%).

თუმცა, გამოკითხულთა მხოლოდ ერთი მეოთხედი აღნიშნავს, რომ რჩევა დასაქმების შესახებ მიიღო საგანმანათლებლო დაწესებულებისგან, ხოლო უმრავლესობა აღნიშნავს, რომ რჩევა არავისგან მიუღია.

რჩევა დასაქმების შესახებ	2016 წელი	2017 წელი
რჩევა დასაქმების შესახებ მიიღო საგანმანათლებლო დაწესებულებებისგან	24%	19%
რჩევა არავისგან მიუღია	60%	65%

C3.2 ეკონომიკური ფაქტორები, რომლებიც გავლენას ახდენენ განათლებიდან შრომის ბაზარზე გადასვლაზე

შეიძლება გამოიყოს შემდეგი ბარიერები, რომლებიც ხელს უშლიან პროფესიული განათლების კურსდამთავრებულების შესვლას შრომის ბაზარზე

1. **სამუშაო ადგილების ნაკლებობა** - ეკონომიკური განვითარების მიუხედავად, სამუშაო ადგილები ნაკლებია, რაც უარყოფით გავლენას ახდენს ახალგაზრდების დასაქმებაზე. საქართველოში 2005-15-წლებში ელასტიურობას 5% შეადგენდა. მთელს მსოფლიოში, ელასტიურობა 34 პროცენტია, რაც იმას ნიშნავს, რომ მშპ-ს 1 % ზრდის პირობებში დასაქმების მაჩვენებელის ზრდა 0.34 პროცენტით. დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებისთვის ეს მაჩვენებელი 2000-2010 წწ -სთვის 16%, ხოლო ევროკავშირის CEE ქვეყნებისთვის იგივე პერიოდისთვის 32% იყო. ნაკლებია მტკიცებულება რომ ბიზნესგარემოს გაუმჯობესება ხელს უწყობს სამუშაო ადგილების შექმნას (მსოფლიო ბანკი 2017, ბერტრანდი და კრამარც 2002). სამუშაო ადგილების გაუქმება აღემატება სამუშაო ადგილების შექმნას, ამიტომ ბევრი ადამიანი ცდილობს არაფორმალურ ეკონომიკაში დასაქმებას.
2. **უნარის შეუსაბამობა** - საქართველოში არსებობს უმაღლესი განათლების კვალიფიკაციის შეუსაბამობა. ეს უკავშირდება ეკონომიკური სტრუქტურის ნელ ცვლილებას, სადაც დომინირებს სოფლის მეურნეობა და დაბალპროდუქტული სექტორი.

C.3.3 დასაქმების ხელშეწყობის პოლიტიკის მიმოხლვა

საქართველოში ახალგაზრდების დაახლოებით 40% პირველ სამსახურს 6 თვის დამთავრების შემდეგ იწყებს (ახალგაზრდების დასაქმების კვლევა, MoLHSA, 2016), რაც დასაქმების უმოკლეს პერიოდს წარმოადგენს. დასაქმების პერიოდები 40% -ისთვის უფრო გრძელია, დაახოებით 1-5 წელი. საშუალოდ, გარდამავალი პერიოდი 1-2 წელი გრძელდება.

ახალგაზრდები ხშირად ცდილობენ სამსახური იპოვონ არაფორმალური გზით, პირადი კავშირების საშუალებით. ბევრი ახალგაზრდა ასევე იყენებს პროაქტიულ მიდგომას მაგალითად, ინტერნეტში სამუშაოს ძებნა (www.jobs.ge, www.hr.gov.ge და www.hr.ge საქართველოში), სამუშაო ბაზრობებზე დამსაქმებლებთან დაკავშირება ან დასწრება. ახალგაზრდები ზოგჯერ იყენებენ დასაქმების სამსახურსა (PES) და დასაქმების კერძო სააგენტოებს. კურსდამთავრებულთა კვლევის თანახმად (2016 წ. საქართველო,) მხოლოდ კურსდამთავრებულთა 1% –მა იპოვა სამსახური PES– ის დახმარებით 12% -მა პროფესიული განათლებისა და კოლეჯის საშუალებით, ხოლო 62% –მა თავად იპოვა სამუშაო.

სამუშაოს მაძიებელთა მომზადება-გადამზადების სახელმწიფო პროგრამის დასაქმების ინდიკატორი აჩვენებს მის ეფექტურობას, რომელიც ყოველწლიურად იზრდება. ყველა პროფესიული განათლების პროგრამის მინიმუმ 40% პრაქტიკას ეთმობა.

ნაკლებია მხარდაჭერა განათლების სისტემიდან შრომის ბაზარზე გადასვლის დროს. სამუშაოს კომპეტენტური ძიებისა და დამსაქმებლებთან მოლაპარაკების უნარები ხშირად მწირია; ახალგაზრდობა არასაკმარისად არის ინფორმირებული შრომის ბაზრის მოთხოვნების შესახებ. ახალგაზრდები უფრო კონცენტრირებულნი არიან გარკვეულ ეკონომიკურ სექტორებში, მაგალითად, მომსახურებასა და ტურიზმში, მათგან ბევრს აქვს ნახევარგანაკვეთიანი სამუშაო და დროებითი კონტრაქტები. ისინი ასევე უფრო მეტად დაზარალდნენ ეკონომიკური კრიზისის პერიოდში და ხშირად პირველები არიან, რომლებიც სამუშაოს კარგავენ.

აღსანიშნავია სამუშაო გამოცდილების ნაკლებობა. საქართველოში არ არსებობს რეგულირების სტაჟიორების რეგულაციები (ETF, 2018d). საქართველოში საჯარო სამსახურის პროგრამაში სტაჟირება 2015 წელს დაიწყო. სტაჟირებას სახელმწიფო აფინანსებს - მაქსიმუმ 3 თვემდე და თვეში 150 ლარით. 2016 წელს პროგრამას 47 ბენეფიციარი ჰყავდა. ახალგაზრდების წილი 40% იყო. 2018 წელს 193 ბენეფიციარს შორის 92 – მდე არის ახალგაზრდობა. 2015 წლიდან SSA ასევე უზრუნველყოფს სუბსიდირებულ დასაქმებას შშმ პირებისთვის. იგი უზრუნველყოფს 50% -იან ანაზღაურებას (მაქსიმუმ 460 ლარამდე) 4 თვემდე ვადით. 2018 წელს დაახლოებით 26 ადამიანი ჩაერთო სუბსიდირების პროგრამაში, აქედან 4 ახალგაზრდა იყო. უნივერსიტეტის სტუდენტები და კურსდამთავრებულები სტაჟირებას საჯარო სამსახურში 2014 წლიდან გადიან. ყოველწლიურად 100-მდე სტუდენტი იღებს ამ მომსახურებას.

ახალგაზრდობის მოხალისეობის კონცეფცია ახალია და ვითარდება საქართველოში. ეს შეიძლება აიხსნას საბჭოთა წარსულის მემკვიდრეობით, სადაც მოხალისეობა არ არსებობდა. მიუხედავად იმისა, რომ ახალგაზრდებს აქვთ პოზიტიური დამოკიდებულება მოხალისეობისადმი, მათი ჩართულობა მოხალისეობრივ საქმიანობაში დაბალია. ძირითადი მიზეზებია ინფორმაციის არარსებობა ან დროს და მოტივაციის ნაკლებობა, მოხალისეობრივი საქმიანობის არარსებობა. 2015 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოხალისეობის შესახებ, რომელიც არეგულირებს მოხალისეობასა და ორგანიზაციას შორის ურთიერთობას.

მიუხედავად იმისა, რომ ALMP– ის ბენეფიციარები დადებითად აფასებენ სახელმწიფო პროგრამის ყველა კომპონენტს, „სტაჟირების კომპონენტი“ განსაკუთრებით პოპულარულია, რაც რეალურ სამუშაო გარემოში პრაქტიკული უნარების შეძენას უწყობს ხელს.

C3.4 კარიერული კონსულტაცია

საქართველოში პროფესიონალური კონსულტაციისა და კარიერული დაგეგმვის სერვისების განვითარება ასახულია მთავრობის # 721 ბრძანებასა (2014 წ.) და 2015-2017 წლების სამოქმედო გეგმაში. კარიერის სერვისები შემოიღეს 2015 წელს, რომლებსაც უზრუნველყოფს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო და სოციალური სერვსების სააგენტო.

მიუხედავად იმისა, რომ ქვეყნის განათლებისა და ტრენინგის სისტემის მნიშვნელოვანი ელემენტია, CEG საქართველოში მაინც განუვითარებელია. სკოლაში მოსწავლეებს შეზღუდული აქვთ საკონსულტაციო მომსახურებები და მათ ხშირად უწევთ არაინფორმირებული გადაწყვეტილების მიღება. ეს მომსახურება სავალდებულო არ არის, ამიტომ სკოლების მხოლოდ ნაწილს აქვს პროფესიონალური ორიენტაცია. კარიერული კონულტაცია ხელმისაწვდომია ყველა პროფესიულ კოლეჯში, თუმცა მისი მიზანია სტუდენტების მოზიდვა კოლეჯში და სტუდენტებთან მუშაობა. უნივერსიტეტების უმეტესობას აქვს აგრეთვე კარიერული კონულტაციის მომსახურება[14].

საქართველომ შეიმუშავა კარიერული სახელმძღვანელო პლატფორმა (http://myprofession.gov.ge/). პორტალში მოცემულია თვითშეფასების ტესტები, პროფესიების აღწერა (ტექსტი და ვიდეო) და ბმულები საგანმანათლებლო დაწესებულებებთან და ა.შ.

MCA– ს პროექტმა დანერგა აქტივიბებო კარიერული მენეჯერების გასაძლიერებლად; აქ შედიოდა ტრენინგები, სასწავლო მოდულების შემუშავება და კოლეჯის კარიერის მენეჯერებისთვის სამუშაო აღწერილობების შემუშავება და თვითშეფასების კითხვარი. განხორციელდა დასაქმების სტატისტიკის შეგროვებისა და ანალიზის პილოტირება.

PES გთავაზობთ ინდივიდუალური და ჯგუფური კარიერული სახელმძღვანელოს მომსახურებას რეგისტრირებულ უმუშევარ პირებზე worknet.edu.ge

საჯარო დასაქმების სამსახურები ატარებენ ინდივიდუალურ და ჯგუფურ კარიერულ კონსულტაციებს სამუშაოს მაძიებლებისთვის, რომლებიც რეგისტრირდებიან worknet.edu.ge

შეჯამება და ანალიტიკური დასკვნები

სისტემა უფრო ინკლუზიური გახდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის, თუმცა, როგორც დაინტერესებული მხარეები აღნიშნავენ, პროფესიული განათლებას უნდა ჰქონდეს ფართო ხედვა მოწყვლადობასთან დაკავშირებით. სისტემამ დაიწყო მუშაობა NEET– საკითხზე, მაგრამ ჯერ კიდევ ბევრი გამოწვევაა.

ეს განყოფილება მოიცავს ორ მნიშვნელოვან პოლიტიკურ გამოწვევას, როგორიცაა:

[14] Youth Transition in Georgia, ETF

1. ჩარიცხვის დაბალი მაჩვენებელი პროფესიული განათლების სფეროში
2. NEET მაღალი მაჩვენებელი

პოლიტიკის გამოწვევები	თუმც მზარდი ტენდენციაა, პროფესიული განათლების მიღების მაჩვენებელი ჯერ კიდევ დაბალია
ფაქტორები	• პროფესიული განათლების ქსელის შეზღუდული შესაძლებლობები ადგილობრივი, რეგიონალური და ეროვნული საჭიროებების დასაკმაყოფილებლად • გეოგრაფიული ხელმისაწვდომობა • ინდივიდუალური სასწავლო გეგმის/პროგრამების და კვალიფიციური სპეციალისტების უზრუნველყოფა სპეციალური საჭიროების მქონე პირებისთვის • კოორდინაცია და კომუნიკაცია სხვადასხვა პროვაიდერებს შორის • სწავლების მიმართ ნაკლებად მოქნილი მიდგომა (პროფესიული სწავლების დაწყება, საღამოს ტრენინგი და ა.შ.) • დოსახლეობის ნაკლებად დადებითი დამოკიდებულება პროფესიული განათლების შესახებ
გადაჭრა	• ბარიერების შემცირება, როგორიცაა ინსტიტუციური (პროგრამებთან და ინსტიტუტებთან დაკავშირებული), სიტუაციური (როგორიცაა გეოგრაფიული დაშვება) ან პიროვნული (დამოკიდებულება პროფესიული განათლების შესახებ) • მოქნილი მიდგომის შემუშავება, რომელიც აკმაყოფილებს მიმდინარე და მომავალ საჭიროებებს როგორც მოზარდების ასევე ზრდასრულების
მიღწეული პროგრესი	• პროფესიული განათლებისა და დაფინანსების გაზრდა • გეოგრაფიული ხელმისაწვდომობის გაფართოება • ინკლუზიური პროფესიული განათლების განვითარება • ვაუჩერული დაფინანსება კერძო პროფესიული კოლეჯებისთვის პრიორიტეტულ სფეროებში
რეკომენდაციები	• ხელმისაწვდომობის ბარიერების აღმოფხვრა • მოქნილ მიდგომების განვითარება (ელექტრონული სწავლა, საღამოს ტრენინგი, ტრენინგი სამუშაო ადგილზე, კომპანიის ტრენინგი და ა.შ.) • ძირითადი კომპეტენციების გამომუშავება, რომლებიც საჭიროა სამუშაო ადგილებზე ადაპტაციისთვის, ასევე პირის სოციალური და პიროვნული განვითარებისთვის. • ღონისძიებების გატარება გენდერული თანასწორობის გასაძლიერებლად, დაუცველი ჯგუფების მონაწილეობის ხელშეწყობა • პრევენციული ზომების გატარება რომლებიც ამცირებენ პროფესიული განათლების ადრეულ ეტაპზე მიტოვების რისკს

პოლიტიკის გამოწვევები	NEET მაღალი დონე ევროკავშირთან შედარებით (24.9% წინააღმდეგ 10.9%) ისინი არიან სოციალური და ეკონომიკური გარიყვის რისკის ქვეშ მყოფნი და ამდენად, მოსალოდნელია, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში ისინი გახდებიან დაუცველი ჯგუფები
ფაქტორები	• ახალგაზრდებისთვის სამუშაო ადგილების ნაკლებობა • ნაკლებად განვითარებული LLL • მეორე შანსის პროგრამების ნაკლებობა • მხარდაჭერის ნაკლებობა განათლების სისტემიდან შრომის ბაზარზე გადასვლის დროს • სამუშაო გამოცდილებისა და უნარების ნაკლებობა • სკოლიდან სამუშაო ადგილზე გადასვლის სირთულეები.
გადაჭრა	• სქემების დანერგვა, რომლებმაც უნდა გაუმჯობესონ

	ახალგაზრდების გადასვლა განათლებიდან შრომის ბაზარზე
მიღწეული პროგრესი	• განათლებისა და დასაქმების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით ახალგაზრდობის ამ ჯგუფთან დაიწყო მუშაობა
რეკომენდაციები	- მნიშვნელოვანია NEET- ების რეგისტრაცია და ისეთი ღონისძიებების გატარება, რომლებიც ხელს შეუწყობენ მათ დასაქმებას და /ან განათლებას. - დახმარება უნდა შეეხებოდეს არა მხოლოდ განათლებაში (როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური) ან დასაქმებაში დაბრუნებას, არამედ სხვადასხვა ტიპის ბარიერების დაძლევაში დახმარებასაც, მათი თვითდაჯერებულობისა და მოტივაციის გაზრდას - წარმატებული სქემები ორიენტირებულია ახალგაზრდის ინდივიდუალური საჭიროებების მოსმენასა და მათზე რეაგირებაზე. - პრევენციის მექანიზმიდან მნიშვნელოვანია ინვესტიციის ჩადება განათლების ადრეულ საფეხურზე და სკოლის დატოვების შემცირება.

ბლოკი D: პროფესიული განათლების სისტემის შიდა ეფექტურობა და ფუნქციონირება

I. თემატური შეკითხვები

D.1: სწავლა-სწავლების გარემო

D.1.1 სწავლა-სწავლების მეთოდები, მათ შორის სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება

2016 წელს გაეროს სოფლის მეურნეების განვითარების პროგრამის მხარდაჭერით მომზადდა მასწავლებელთა მომზადების, საქმიანობის დაწყებისა და პროფესიული განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი[i], რომელიც მოწონებულ იქნა ეროვნული პროფესიული საბჭოს მიერ. პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადების, საქმიანობის დაწყებისა და პროფესიული განვითარების დოკუმენტის შემუშავების საფუძველზე განისაზღვრა, თუ როგორ უნდა მოხდეს სამომავლოდ პროფესიული მასწავლებლების მომზადება პროფესიაში შესასვლელად. დოკუმენტში ასევე განისაზღვრა პროფესიული მასწავლებლების პროფესიული განვითარების შესაძლებლობები. 2016 წელს მილენიუმის პროექტის მხარდაჭერით „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისათვის“ შემუშავდა პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვარი, რომელიც შეავსო 831 მასწავლებელმა. აღნიშნული კითხვარის საფუძველზე მომზადებულმა კვლევის ანგარიშმა[ii] შესაძლებლობა მოგვცა სისტემურ დონეზე დაგვედგინა პროფესიული განათლების მასწავლებლების საჭიროებები პროფესიულ საქმიანობასთან დაკავშირებულ სხვადასხვა საკითხებზე, რომლის საფუძველზეც დაგეგმილი და ჩატარებული ტრენინგების კურსი სრულ შესაბამისობაშია კონცეფციის სამოქმედო გეგმასთან; პროფესიული განათლების მასწავლებელთა თვითშეფასების კითხვარის ანალიზის საფუძველზე სწავლების ეფექტიანობის გაზრდის მიზნით, მასწავლებელთა საერთო რაოდენობის 55%-მა უკვე გაიარა პედაგოგიური კურსი. პედაგოგიური კურსი შედგება ხუთი სხვადასხვა მოდულისაგან და მოიცავს ისეთ თემებს, როგორიცაა სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებების დადგენა და ზრდასრულთა განათლების პრინციპები, სასწავლო გარემოს მოწყობა, სტუდენტთა შეფასება, კომუნიკაცია, მოტივაცია, პროფესიული განვითარება და სხვა. პროფესიული სასწავლებლების ბაზაზე მოდულური პროგრამების დანერგვის ხელშესაწყობად, შეფასების ჭრილში, პროფესიული განათლების მასწავლებლებს ჩაუტარდათ ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები .

2016 წელს გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით მომზადდა მასწავლებელთა მომზადების, საქმიანობის დაწყებისა და პროფესიული განვიტარების პოლიტიკის დოკუმენტი. დოკუმენტი განსაზღვრავს მასწავლებლების პროფესიაში შესვლის წინაპირობებს, მომზადებასა და მათი პროფესიული განვითარების გაგრძელების შესაძლებლობებს.

სოფლის მეურნეობაში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლის სხვადასხვა სქემის პილოტირებას ახორციელებენ გაეროს განვითარების პროგრამა (UNDP), შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC); პროცესში ჩართულია დარგობრივი ასოციაცია და საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA).

2016 წლიდან სამუშაოზე დაფუძნებულ სწავლებაში ჩართული რეგიონების რაოდენობა (რეგიონალური ადგილმდებარეობა: სამეგრელო / ზუგდიდი, სენაკი, კახეთი / დედოფლისწყარო, კაჭრეთი, ალვანი, მცხეთა-მიანეთი / წინამძგვრიანთკარი, აჭარა / ქობულეთი, რაჭა-ლეჩხუმი ქვემო სვანეთი / აბროლაური, შადი ქართი) WBL– ში მონაწილე ჯავახეთი / ამბროლაური) 4 – დან 10 – მდე გაიზარდა (2019 წლამდე).

სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების განხორციელებისას, შევიდა ცვლილებები სტუდენტთა ჩარიცხვის წესში და შემუშავდა სტუდენტების ალტერნატიული შერჩევის მეთოდიკა. WBL მიმწოდებელი კომპანიები / მეურნეობები ირჩევენ სტუდენტებს დარგობრივ ასოციაციასთან და კოლეჯთან ერთად შესაბამისად, იზრდება კომპანიების მოტივაცია, რომ გახდეს WBL პარტნიორი. WBL- ს 164 სტუდენტია (მათ შორის 5 სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე სტუდენტი), რომლებიც ჩაირიცხნენ მეხილეობის, მეცხოველეობის, მეფუტკრეობის, მეთევზეობისა და ხორცის გადამამუშავებელ პროგრამებში.

WBL- ში ჩართული იყო კერძო სექტორის 26 წარმომადგენელი, ხოლო 35 – მდე ინსტრუქტორს ტრენინგი ჩაუტარდა პროექტის ფარგლებში შემუშავებული შესაძლებლობების განვითარების მოდულის საფუძველზე. ხელმისაწვდომია მონიტორინგისა და დახმარების სქემები. WBL სტუდენტებს ეძლევა ტრანსპორტირების, ჯანმრთელობისა და დაზღვევის სერვისები. პრაქტიკული ნაწილისთვის ყველა სტუდენტს ეძლევა შესაბამისი ფორმა.

არსებობს დუალური განათლების რამდენიმე ფორმა.

ცხრილ 18. დუალურ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმები

N	დუალურ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ფორმები	სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მოკლე აღწერა
1	**დუალურ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების სტანდარტული ფორმა**	სწავლის შედეგების 50% -ზე მეტი ხორციელდება კომპანიაში სამუშაოს სახით, რომელსაც ხელს უწყობს საქართველოს ფერმერთა ასოციაცია. პრაქტიკული სწავლება ხდება თეორიული სწავლების პარალელურად პროფესიული განათლების კოლეჯებში. მოსწავლეს აქვს სტუდენტისა და დასაქმებულის (საწარმოს) სტატუსი სამმხრივი შეთანხმების საფუძველზე. სიმბოლურ ანაზღაურებას ხელფასის სახით კერძო სექტორი იხდის
2	კონტრიბუციის სქემა	სწავლა 50% -ზე მეტ კომპანიაში ხდება კომპანიაში სამუშაოს სახით, რომელსაც ხელს უწყობს საქართველოს ფერმერთა ასოციაცია. პრაქტიკული მუშაობა ტარდება თეორიული სწავლების პარალელურად პროფესიული განათლების კოლეჯებში. მოსწავლეს აქვს სტუდენტისა და დასაქმებულის (საწარმოს) სტატუსი სამმხრივი შეთანხმების საფუძველზე. სიმბოლურ ანაზღაურებას ხელფასის ფორმით კერძო სექტორი იხდის. WBL- ს განხორციელების დროს, სტუდენტები იღებენ რამდენიმე ფუტკრის სახლს რაც ხელფასის ექვივალენტია სწავლის/მუშაობის პრაქტიკული ნაწილისთვის.
3	სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება მრავალ ადგილზე, რომელსაც ფასილიტაციას უწევს ასოციაცია	სწავლის შედეგების 50% -ზე მეტი ტარდება სექტორული ასოციაციის - სამცხე-ჯავახეთის ვეტერინარიის რეგიონალური ასოციაციის სხვადასხვა პარტნიორულ მეურნეობაში სამუშაოს სახით. პრაქტიკული სამუშაოები ხორციელდება მობილური ვეტერინარული კლინიკის საშუალებით (მობილური ვეტერინარული მიკრო ლაბორატორიის მანქანით, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამის საშუალებებს, ინსტრუმენტებსა და სხვ.) დახმარებით. სტუდენტები ნახულობენ სხვადასხვა მეურნეობას, რომელსაც სჭირდება ვეტერინარული მომსახურება, ხოლო სამუშაო პროცესი დაგეგმილია WBL პროგრამის სასწავლო გეგმისა და სწავლის შედეგების შესაბამისად. ჩვეულებრივ,

		სამუშაო პრაქტიკული ნაწილი მიმდინარეობს პროფესიული განათლებისა და კოლეჯებში პროგრამის თეორიული ნაწილის პარალელურად. მოსწავლეს აქვს სტუდენტის სტატუსი, ხოლო ზოგიერთ მათგანს - დასაქმებულის (საწარმოს) სტატუსი. WBL- ს განხორციელებისას სტუდენტები იღებენ ხელფასს ვეტერინარული მომსახურების გაწევის მიხედვით.
4	სამუშაოზე დაფუძნებული სწავლება მრავალ ადგილზე, რომელსაც ფასილიტაციას უწევს კერძო კომპანია	სწავლის შედეგების 50% -ზე მეტი ხორციელდება კომპანია "კარტლის აგროსისტემები"-ს სხვადასხვა პარტნიორულ მეურნეობებში, მეხილეობის სფეროში. პრაქტიკული სამუშაოები ტარდება პროფესიული განათლებისა და კოლეჯებში გათვალისწინებული მოდულური პროგრამის თეორიული ნაწილის პარალელურად. სტუდენტები სტუმრობენ სხვადასხვა მეურნეობას, რომელსაც აგრარული სერვისები სჭირდება და სამუშაო პროცესი იგეგმება სასწავლო გეგმისა და WBL პროგრამის შედეგების შესაბამისად. პრაქტიკული მუშაობა ტარდება პროფესიულ კოლეჯებში თეორიული სწავლების პარალელურად. მსმენელებს აქვთ სტუდენტისა და დასაქმებულის (საწარმოს) სტატუსი სამმხრივი ხელშეკრულების საფუძველზე. საწარმოოებს სიმბოლურ ანაზღაურებას ხელფასის ფორმით კერძო სექტორი უხდის.
5	მოკლევადიანსამუშაოზე დაფუძნებული სწავლება	ციხეებში (N5, N15 და N16) მებაღეობისა და მეყვავილეობის საკითხებში WBL მოკლევადიანი ტრენინგის ჩატარებისთვის სამი სათბური დამონტაჟდა. WBL მიდგომის საფუძველზე 48 პატიმარი მომზადდა. პატიმრები მოტივირებულნი იყვნენ დასწრებოდნენ ციხეებში სწავლის / მუშაობის თეორიულ და პრაქტიკულ ნაწილს. ტრენინგებს ფასილიტაციას უწევს სექტორული ასოციაცია და საქართველოს ფერმერთა ასოციაცია (GFA) ევროკავშირის მხარდაჭერით. მიმდინარე ეტაპზე GFA ხელს უწყობს სამუშაოსა და ტრენინგის პროცესში წარმოებული მცენარეების, ყვავილებისა და კენკრის გაყიდვას. პროდუქციის გაყიდვით მიღებული მოგება პატიმრებს დაერიცხებათ ანგარიშებზე საკუთარი მოხმარებისა და სათბურის მოვლისთვის.

P.S. ზოგიერთ შემთხვევაში კომპანიები სტუდენტებს აგრეთვე სთავაზობენ დამატებით მომსახურებას როგორიცაა კვება, დამატებითი ტრანსპორტირება, განსახლება და სხვა მომსახურება.

TVET– ის დუალურ მიდგომას ნერგავს გერმანულ პროგრამაში „კერძო სექტორის განვითარება და პროფესიული განათლება სამხრეთ კავკასიაში“ (PSD TVET), რომელსაც მხარს უჭერს Gesellschaft für Internationale Zusammenarbeit (GIZ GmbH) BMZ-ის სახელით. პროგრამა მხარს უჭერს პროფესიული განათლების რეფორმას შრომის ბაზრის მოთხოვნად სექტორებში როგორიცაა მშენებლობა, ტურიზმი, მევენახეობა, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები (ICT), ტრანსპორტი და ლოგისტიკა. პროგრამის მიმართულებებია: ა) სისტემის უკეთ მართვის მიზნით სახელმძღვანელო პრინციპების შემუშავება და დასაქმების გაუმჯობესების ხელშეწყობა შესაბამის დარგში ბ) ცნობიერების ამაღლება და მეწარმეთათვის საკონსულტაციო მომსახურების გაწევა მაკრო, მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (MSME); გ) “position papers” შემუშავება პოლიტიკის შემუშავების პროცედურების გასაუმჯობესებლად პროფესიული განათლებისა და დასაქმების სექტორებში; დ) შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი სასწავლო კურსებისა და პროგრამების შემუშავება. PSD TVET ინტერვენციით 2020 წლის დასაწყისში სამი ძირითადი შედეგი მიიღწევა:
1 შრომის ბაზრის მოთხოვნის შესაბამისი პროფესიული სწავლების რეგულაციების არსებობა, მათ შორის, პროფესული პროფილები, სასწავლო პროგრამები, ტრენინგი და გამოცდები / სერტიფიცირება და ა.შ.;

2. მასწავლებლებისა და მენეჯმენტის პერსონალის უნარის განვითარება და ცნობიერების ამაღლება პროფესიული სწავლების ახალი რეგულაციების განხორციელებასთან დაკავშირებით; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა გენდერულ ბალანსს.
3. ავტორიზებული TVET პროგრამებისა და შემდგომი ტრენინგის კურსების აქცენტი დუალურ მიდგომზე, მათ შორის უნივერსიტეტებისთვის პროგრამების განვითარება დუალურ პროფესიულ განათლებაში. დუალურ პროგრამებში ჩათული კომპანიების რაოდენობა 2016 წლის შემდეგ 5-დან 50-ზე გაიზარდა; კომპანიები დუალურ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელ საჯარო კოლეჯებთან თანამშრომლობენ.

D.1.2 სწავლა-სწავლებისა და სწავლების მეთოდების გაუმჯობესების მიდგომები პროფესიულ განათლებაში

2015-17 წლებში მიმდინარეობდა მასწავლებელთა პროფესიული განვითარების თემატური ჯგუფის მუშაობა, რაც მხარდაჭერილია ევროკავშირის ტექნიკური დახმარების „დასაქმებისა და პროფესიული განათლების რეფორმების ტექნიკური მხარდაჭერა“ (EUVEGE) პროექტის მიერ. თემატური ჯგუფის ფარგლებში შემუშავდა ქვემოთ წარმოდგენილი დოკუმენტები:
პროფესიული განათლების მასწავლებლის, საქმიანობის დაწყების, პროფესიული განვითარების და კარიერული წინსვლის რეგულირების შესახებ პროექტი და მასთან დაკავშირებული ბრძანებები: [iii]

- ✓ სასწავლებლის ბაზაზე მასწავლებელთა პროფესიული განვითარების კოორდინატორების შერჩევისა და საქმიანობის წესი
- ✓ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების წესი
- ✓ მასწავლებელთა რეგისტრაციის წესი
- ✓ მასწავლებელთა ანაზღაურების წესი

2019 წელს, მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით, დასრულდება პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის რეგულირების შესახებ პროექტისა და მასთან დაკავშირებული ბრძანებების მოდიფიკაცია და ასევე პროფესიული სტანდარტისა და მასწავლებელთა კოდექსის რევიზია. გაეროს სოფლის მეურნეების განვითარების პროგრამის მხარდაჭერით - მომზადდა მასწავლებელთა მომზადების, საქმიანობის დაწყებისა და პროფესიული განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოწონებულ იქნა ეროვნული პროფესიული საბჭოს მიერ. პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადების, საქმიანობის დაწყებისა და პროფესიული განვითარების დოკუმენტის შემუშავების საფუძველზე განისაზღვრა, თუ როგორ უნდა მოხდეს სამომავლოდ პროფესიული მასწავლებლების მომზადება პროფესიაში შესასვლელად. დოკუმენტში ასევე განისაზღვრა პროფესიული მასწავლებლების პროფესიული განვითარების შესაძლებლობები. გაეროს სოფლის მეურნეების განვითარების პროგრამის მხარდაჭერით მომზადდა ტრენინგ-მოდული- ,,მოდულური სწავლების საკითხები სისტემაში არსებული დამწყები მასწავლებლებისათვის“; 2017-2018 წელს კოლეჯებიდან მიღებული დამწყები მასწავლებლების ბაზის საფუძველზე სისტემურად დაიგეგმა საორიენტაციო ტრენინგები პროფესიულ განათლებაში შემსვლელი, დამწყები მასწავლებლებისათვის. ტრეინინგი მოდულური სწავლების საკითხებზე გაიარა 144 დამწყებმა მასწავლებელმა.

D.2: მასწავლებლები და ინსტრუქტორები

ცხრილი 19. პროფესიული განათლების მასწავლებლების განაწილება

სახელმწიფო პროფესიული კოლეჯები	2017 წელი	2018 წელი	% 2017 წ	% 2018 წ
მასწავლებელთა რაოდენობა	1400 წ	1662 წ		
ქალი	830	943	59%	57%
კაცი	570	719	41%	43%
მაქსიმალური ასაკი	83	84		
მინიმალური ასაკი	21	20		

2019 წელს მასწავლებლების განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით მოცემულია ცხრილში 20. მამრობითი სქესის მასწავლებელთა შორის 60-69 წლის ასაკობრივი ჯგუფი ლიდერობს, ხოლო ქალებში 50-59. პედაგოგების ყველაზე დიდი ნაწილია 60-65 წლის ასაკის კატეგორიაში, რასაც მოსდევს 40-49 წლის ასაკის კატეგორია.

ცხრილი 20. ამჟამინდელი პროფესიული მასწავლებლების განაწილება სქესისა და ასაკის მიხედვით (2019 წლის აგვისტოს მონაცემით)

							სულ
	20-29	**30-39**	**40-49**	**50-59**	**60-69**	**> = 70**	
კაცი	84	196	158	174	199	104	915
ქალი	155	488	612	592	369	129	2345
სულ	**239**	**684**	**770**	**766**	**568**	**233**	**3260**

განათლების მენეჯმენტის საინფორმაციო სისტემის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2018 წელს 2017 წელთან შედარებით სახელმწიფო კოლეჯებში მასწავლებელთა რაოდენობა გაიზარდა 262 მასწავლებლით.

ზოგადად, პროფესიული განათლების ქალ მასწავლებელთა შორის ჭარბობენ მაგისტრის ხარისხის მქონენი და კაცეს შორის - ბაკალავრიატის.

ცხრილი 21. პროფესიული განათლების მასწავლებლების განათლების დონე (2019 წლის აგვისტოს მონაცემით)

	საბაზო	**ზოგადი**	**პროფესიული**	**ბაკალავრიატი**	**მაგისტრატურა**	**სადოქტორო**	**სულ**
კაცი	1	2	55	140	10	23	
ქალი		9	73	269	456	25	
სულ	1	11	128	409	466	48	2126 წ

სტუდენტ-მასწავლებლის შეფარდება ბოლო წლების განმავლობაში გაიზარდა, მაგრამ ის მაინც შეესაბამება სტანდარტს.

ცხრილი 22. სტუდენტ-მასწავლებლის შეფარდება პროფესიულ განათლებაში 2012/13 და 2017 / 18 წლების განმავლობაში

	2012/13	**2013/14**	**2014/15**	**2015/16**	**2016/17**	**2017/18**
სტუდენტ-მასწავლებლის შეფარდება	27.0	38.1	34.9	17.5	15.6	20.2

განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მოწოდებული ინფორმაციით, 2018 წელს 2017 წელთან შედარებით სახელმწიფო კოლეჯებში მასწავლებელთა რაოდენობა 262 მასწავლებლით გაიზარდა .

ცხრილი 23. სახელმწიფო პროფესიული კოლეჯების სტატისტიკა

სახელმწიფო კოლეჯების სტატისტიკა	2017 წელი	2018 წელი	% მაჩვენებელი 2017	% მაჩვენებელი 2018
მასწავლებელთა რაოდენობა	1400	1662		
მდედრობითი	830	943	59%	57%
მამრობითი	570	719	41%	43%
მაქსიმალური ასაკი	83	84		
მინიმნალური ასაკი	21	20		

D.2.2 მასწავლებელთა პროფესიაში შესვლა პროფესიული განათლების სფეროში

2016 წელს დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობით მომზადდა მასწავლებელთა მომზადების, საქმიანობის დაწყებისა და პროფესიული განვითარების პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოწონებულ იქნა ეროვნული პროფესიული საბჭოს მიერ. პროფესიული განათლების მასწავლებელთა მომზადების, საქმიანობის დაწყებისა და პროფესიული განვითარების დოკუმენტის შემუშავების საფუძველზე განისაზღვრა, თუ როგორ უნდა მოხდეს სამომავლოდ პროფესიული მასწავლებლების მომზადება პროფესიაში შესასვლელად. დოკუმენტში ასევე განისაზღვრა პროფესიული მასწავლებლების პროფესიული განვითარების შესაძლებლობები.

„პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონი[iv] ითვალისწინებს პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული სტანდარის შემუშავებასა და დამტკიცებას, რომელიც უნდა დამტკიცდეს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მიერ გამოცემული აქტით.

2019 წელს მსოფლიო ბანკის მხარდაჭერით პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების, პროფესიაში შესვლის, ანაზღაურების ახალი სქემის დანერგვის მიზნით მოდიფიცირდება პროფესიული განვითარებისა და კარიერული წინსვლის რეგულირების შესახებ პროექტი და მასთან დაკავშირებული ბრძანებები, ასევე შემუშავდება პროფესიული განათლების მასწავლებლის სტანდარტი და ეთიკის კოდექსი.

პროფესიულ კოლეჯებში ამჟამად პროფესიული მასწავლებლების აყვანა-დასაქმება მიმდინარეობს სასწავლებელში შემუშავებული წესის შესაბამისად, რომელიც განსაზღვრავს შესაბამის მოთხოვნებს კანდიდატის მიმართ. აღნიშნული წესი შემუშავებულია საქართველოს შრომის კოდექსის, ,,პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის ძველი რედაქციის, კოლეჯების წესდებისა და საქართველოს მოქმედი სფეროს მარეგულირებელი კანონმდებლობის საფუძველზე[v]. მითითებული წესი არეგულირებს მასწავლებელთა სამუშაოზე აყვანას გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანი კონკურენციის პრინციპების დაცვით. კოლეჯი კონკურსის წესით აყვანილ პროფესიული განათლების მასწავლებელთან აფორმებს შრომით ხელშეკრულებას ერთი წლის ვადით (წლის დასაწყისიდან წლის ბოლომდე). რაც შეეხება მასწავლებელს, რომელიც კოორდინაციას უწევს საწარმოო პრაქტიკის მოდულს, მასთან შრომითი ხელშეკრულება ფორმდება საწარმოო პრაქტიკის მიმდინარეობის ვადით. აგრეთვე, კოლეჯში სადაც მიმდინარეობს დუალური სწავლება, პარტნიორი კომპანიის სპეციალისტი, რომელიც კომპანიაში დასაქმებული პირია, წარმოადგენს მასწავლებელს და შეასწავლის სტუდენტს შესაბამის კომპეტენციებს. კოლეჯი აღნიშნული მასწავლებლის შერჩევაში მონაწილეობას არ იღებს და არც შრომით ხელშეკრულებას აფორმებს მასთან.

პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების, პროფესიაში შესვლისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით 2017-2018 წლებში სსიპ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის პროფესიული განათლების მასწავლებელთა განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, ჩატარდა პროფესიული სასწავლებლების მასწავლებელთა ტრენინგი 5 ძირითადი მიმართულებით: პედაგოგიური კურსი, რომელიც თავის მხრივ შედგება ხუთი სხვადასხვა ქვემოდულისაგან; მოდულური სწავლება;ინკლუზიური პროფესიული განათლება; მასწავლებელთა ტრენინგი საწარმოში; მეწარმეობა.

ცხრილი 24. პროფესიული მასწავლებლების პედაგოგიური ტრენინგი

კომპონენტი	დასახელება	მოაწილეები
I	„სტუდენტთა ინდივიდუალური თავისებურებანი პროფესიულ განათლებაში“	540 პროფესიული მასწავლებელი
II	„პოზიტიური სასწავლო გარემო პროფესიულ განათლებაში“.	493 პროფესიული მასწავლებელი
III	,,სასწავლო პროცესის დაგეგმვა და სწავლების ეფექტური სტრატეგიები“.	464 პროფესიული მასწავლებელი
IV	„კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება მოდულურ საგანმანათლებლო პროგრამებში“.	274 პროფესიული მასწავლებელი
V	,,პროფესიული სასწავლებლების პედაგოგთა	483 პროფესიული

	პროფესიული განვითარება	მასწავლებელი
	ინდივიდუალური კონსულტაცია კომპეტენციებს დაფუძნებულ შეფასებაში	98 პროფესიული მასწავლებელი
	„სტრატეგიული დაგეგმვა“ დირექტორებისა და ადმინისტრაციისათვის	32 ადმინისტრაცია
	მეწარმეობა	40 პროფესიული მასწავლებელი და ადინისტრაცია
	,,მოდულური სწავლების საკითხებისისტემაში არსებული დამწყები მასწავლებლებისათვის“	144 ახალი მასწავლებელი
	მოდულური სწავლება	82 პროფესიული მასწავლებელი
	ინკლუზიური განათლება	101 პროფესიული მასწავლებელი
	პროფესიული მასწავლებების ტრენინგი საწაროებში	161

D.2.6 პროფესიული განვითრების მხარდაჭერა

საქართველოს პროფესიული განათლების განვითარების სტრატეგიის ერთ-ერთი უმთავრესი პრიორიტეტი პროფესიული განათლების მასწავლებლის პროფესიული განვითარებაა. პროფესიული განათლების მასწავლებელთა და დირექტორთა განვითარების პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მასწავლებელთა მომზადების, პროფესიული განვითარებისა და კარიერული ზრდის სისტემის ჩამოყალიბებასა და პროფესიული განათლების მასწავლებელთა კომპეტენციების განვითარებას თავად მასწავლებლის საჭიროებებისა და პროფესიული განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებების შესაბამისად.

პროფესიული განათლების მასწავლებლების მომზადების, პროფესიაში შესვლისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების მიზნით მოქმედი მასწავლებლებისათვის ტრენინგების ჩატარება ხდება სასწავლებლის ფარგლებში (გარდა საწარმოში ტრეინინგების, ვორქშოფები), ტრენერის მივლინება ხდება ადგილზე და მასწავლებლებს საშუალება აქვთ, რომ სამუშაო და საცხოვრებელი ადგილიდან მოუწყვეტლად, ადგილზე დაესწრონ პროფესიული განვითარების ღონისძიებებს. პედაგოგიური კურსი არის ტრენინგის, პრაქტიკული დავალებისა და ინდივიდუალური კონსულტირების ერთობლიობა. პედაგოგიური კურსი განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რადგან ის არის როგორც კონცეფციის სამოქმედო გეგმის ნაწილი, ასევე უკავშირდება მასწავლებელთა კარიერულ ზრდას. პედაგოგიური კურსის ფარგლებში მასწავლებლებს უწევთ პრაქტიკული დავალებების შესრულება, პროექტებზე მუშაობა და ასევე ისინი სარგებლებენ ინდივიდუალური კონსულტირების მომსახურებით. პედაგოგიური კურსის ბოლოს მასწავლებლებს უწევთ როგორც თეორიულ, ასევე პრაქტიკულ ნაწილში ცოდნისა და უნარების დამადასტურებელი შეფასების გავლა და ამის საფუძველზე იღებენ კომპეტენციის დამადასტურებელ სერტიფიკატს. ეს მეთოდი მორგებულია მასწავლებელთა საჭიროებებზე და მთლიანად იფარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

მასწავლებელთა საწარმოში ტრენინგებისათვის ცენტრი ქირაობს დარგის ექსპერტებს, ფასილიტატორებს, რომლებიც საწარმოში პასუხისმგებლები არიან მასწავლებელთა უნარების განვითარებაზე. დარგის ექსპერტების მიერ შეისწავლება მასწავლებელთა საჭიროებები პროფესიასთან მიმართებაში, მოძიებულია საშუალო და დიდი საწარმოები, სადაც მასწავლებლები შეისწავლიან/აღრმავებენ მოდულური სწავლებისათვის საჭირო პრაქტიკულ უნარებს. დარგის ექსპერტები არიან პასუხისმგებლები უშუალოდ ტრენინგის ჩატარებაზე. მასწავლებელთა საწარმოში ტრენინგები ემსახურება მასწავლებელთა მიერ დარგში/პროფესიაში არსებული უახლესი ტექნოლოგიების შესწავლასა და პროფესიის სტანდარტით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. საწარმოში ტრენინგები მთლიანად იფარება სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

D.3: ხარისხი და ხარისხის უზრუნველყოფა

D.3.1 განათლებისა და სწავლების შინაარსის ხარისხის და შესაბამისობა

ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესში სტუდენტთა შეფასებების შემოწმება ხორციელდება მონიტორინგის პროცესის დროს ავტორიზაციის სტანდარტების შესაბამისად. გარდა ამისა, 2018 წელს ცენტრმა დაიწყო შეფასების სისტემის გარე ვერიფიკაციის პილოტირების პროექტი, რომელიც მთლიანად ფოკუსირებულია აღნიშნულ საკითხზე. გარე ვერიფიკაციისას მოწმდება დაწესებულებაში შეფასებასთან დაკავშირებით არსებული რეგულაციები, შეფასების ინსტრუმენტები და მტკიცებულებები. 2018 წელს პილოტირება განხორციელდა 6 დაწესებულებაში 3 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში. 2019 წელს დაგეგმილია პილოტირების მასშტაბების გაფართოება და 21 დაწესებულებაში ჩატარება. ორწლიანი პილოტირების ანალიზის შედეგად სისტემა მიიღებს გადაწყვეტილებას, დანერგოს თუ არა გარე ვერიფიკაციის პროცესი, როგორც ხარისხის უზრუნველყოფის ერთ-ერთი გარე მექანიზმი.

D.3.2 სწავლის შედეგების ხარისხის განსაზღრა

საქართველოში პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფა ხორციელდება შიდა და გარე მექანიზმების საშუალებით. ხარისხის უზრუნველყოფის გარე მექანიზმებია ავტორიზაცია და აკრედიტაცია, რომელსაც ახორციელებს სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი (შემდგომში - ცენტრი), ხოლო ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მექანიზმები განისაზღვრება და ხორციელდება უშუალოდ საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ.[15]

ხარისხის გარე უზრუნველყოფა ძირითადად ხორციელდება ავტორიზაციის პროცესის გზით, რომელიც თავის მხრივ ეფუძნება „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ 2010 წელს მიღებულ რეგულაციას[16] (შემდგომში-დებულება). აღნიშნულმა სტანდარტებმა დიდი როლი შეასრულა ხარისხის გაუმჯობესების საქმეში, თუმცა პროფესიული განათლების სფეროში არსებული გამოწვევები დღის წესრიგში აყენებს მათი გადახედვა/განახლების აუცილებლობას. აღნიშნულ საკითხზე მუშაობა დაიწყო 2015 წელს და ხარისხის მართვის თემატურმა სამუშაო ჯგუფმა მოამზადა რეკომენდაციები ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს განვითარებასთან დაკავშირებით[17]. 2017 წლიდან დაიწყო აქტიური მზადება ავტორიზაციის განახლებული სტანდარტების პროექტის მოსამზადებლად. დოკუმენტის მომზადების პროცესში განხორციელდა ადგილობრივი და უცხოური პრაქტიკის ანალიზი, გათვალისწინებული იქნა ევროკავშირისა და ევროსაბჭოს მიერ დამტკიცებული რეკომენდაციები პროფესიული განათლებისათვის ევროპის ხარისხის უზრუნველყოფის სარეკომენდაციო ჩარჩოს შესახებ (EQARF) [18], ასევე გაანალიზებული იქნა MCA-G პროექტის „პროფესიული განათლება ეკონომიკის განვითარებისთვის“ ფარგლებში მომზადებული ავტორიზაციის გზამკვლევი. შემუშავებული სტანდარტების პროექტი განხილული იქნა ყველა დაინტერესებულ მხარესთან.

განხორციელებული ცვლილებების შედეგად, ავტორიზაციის მოქმედი 3 სტანდარტი შეიცვალა 5 სტანდარტით. კერძოდ, მოქმედ სტანდარტებს, რომელიც მოიცავდა პროგრამული ნაწილის, მატერიალური რესურსისა და ადამიანური რესურსის შემოწმებას დაემატა 2 სტანდარტი, რომელიც უკავშირდება დაწესებულების მისიასა და სტრატეგიულ განვითარებას და პროფესიული სტუდენტების მხარდაჭერის ღონისძიებებს. აღნიშნული სტანდარტების დამატებამ შესაძლებელი გახადა ერთი მხრივ, დაწესებულების ინსტიტუციური განვითარების სტიმულირება, ხოლო, მეორე მხრივ, პროფესიული სტუდენტების უფლებებისა და ინტერესების დაცვის გაძლიერება, ამასთან სტანდარტების ახალ პროექტში მნიშვნელოვნად გაიზარდა მოთხოვნები დაწესებულებაში ხარისხის შიდა უზრუნველყოფის გამართული სისტემისა და ხარისხის კულტურის დანერგვასთან დაკავშირებით. მთლიანობაში სტანდარტები გახდა შედეგებზე ორიენტირებული. 2018 წელს აღნიშნული ცვლილებები აისახა საქართველოს კანონში „განათლების ხარისხის განვითარების

[15] საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, მუხლი 2.

[16] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N99/ნ, 2010 წ. 1 ოქტომბერი, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ, თავი III.

[17] Torino Process 2016-2017, Georgia, D.3. Quality assurance. P. 43.

[18] Recommendation of the European Parliament and of the Council of 18 June 2009 on the establishment of a European Quality Assurance Reference Framework for Vocational Education and Training (2009/C 155/01).

შესახებ“[19] და საქართველოს კანონში „პროფესიული განათლების შესახებ“.[20] 2019 წლის შემოდგომიდან დაგეგმილია ახალი სტანდარტების დანერგვის დაწყება.
ხარისხის გარე უზრუნველყოფა ავტორიზაციის პროცესის გარდა მოიცავს საგანმანათლებლო პროგრამების დამატებას, პროფესიულ სტუდენტთა ქვოტის გაზრდასა და გეგმიურ და არაგეგმიურ მონიტორინგს.

ხარისხის შიდა უზრუნველყოფის მიმართულებით, საკანონმდებლო დონეზე ერთადერთი დადგენილი მოთხოვნა გაწერილია ავტორიზაციის მოქმედ სტანდარტებში და გულისხმობს, რომ დაწესებულებას შემუშავებული უნდა ჰქონდეს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შეფასების სისტემა, რომლის შედეგებსაც იყენებს სასწავლო პროცესის ხარისხის გასაუმჯობესებლად. აღნიშნულის შეფასება ხორციელდება ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესში. საგანმანათლებლო დაწესებულებები ასევე ვალდებულნი არიან არანაკლებ სამ წელიწადში ერთხელ ცენტრში წარადგინონ თვითშეფასების ანგარიში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში ხარისხის უზრუნველყოფა არის არა მხოლოდ მაკონტროლებელი, არამედ განმავითარებელიც. ცენტრი მუდმივად ზრუნავს დაწესებულებების შესაძლებლობების გაძლიერებაზე ხარისხის შიდა უზრუნველყოფის საკითხებთან დაკავშირებით, რისთვისაც შეიმუშავებს და ატარებს ტრენინგების ციკლს დაწესებულების წარმომადგენლებისათვის. 2017-2018 წლებში ჩატარდა ტრენინგების დემინგის ციკლის პირველი ორი ეტაპისთვის („დაგეგმვა“, „განხორციელება“), 2019 წელს დაგეგმილია ტრენინგების ჩატარება დანარჩენ ორ ეტაპზეც („შეფასება“, „გადახედვა/გაუმჯობესება“). ამასთან, ხარისხის გარე უზრუნველყოფის თითოეული აქტივობის ფარგლებში მომზადებული ექსპერტთა დასკვნა (ავტორიზაცია, პროგრამის დამატება, პროფესიულ სტუდენტთა ქვოტის გაზრდა, მონიტორინგი), თავის თავში მოიცავს რეკომენდაციების ბლოკის ნაწილს, რომელთაც ექსპერტთა ჯგუფი აწვდის დაწესებულებას.[21]
საქართველოში ფუნქციონირებს „ხარისხის ცნების“ ერთნაირი გაგება დაწყებით პროფესიულსა და განგრძობით პროფესიულ განათლებაში. ამ მხრივ რაიმე სახის განსხვავებები არ გვხვდება.

D.3.3 პროფესიული განათლების ხარისხის უზრუნველყოფის პროცესი

ხარისხის გარე უზრუნველყოფის სტანდარტები და პროცედურები დეტალურად გაწერილია და დარეგულირებულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“.

2017-2018 წლებში აღნიშნულ დოკუმენტში ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა[22]. გატარებული რეფორმების შედეგად პროცესი გახდა უფრო გამჭვირვალე და მასში მხარეების ჩართულობა გაიზარდა. შედარებისთვის, 2017 წლამდე ხარისხის გარე უზრუნველყოფის პროცესი მოიცავდა მხოლოდ დაწესებულების მხრიდან განაცხადის წარმოდგენას, ექსპერტების მიერ საკითხის შესწავლასა და დასკვნის ფორმირებას, ხოლო საბჭოს წევრების მიერ - საკითხის განხილვას. დებულებაში შეტანილი ცვლილებების შემდეგ დაწესებულებებს მიეცათ საშუალება საბჭომდე გაეცნენ დასკვნის პროექტს, წარმოადგინონ თავიანთი არგუმენტირებული პოზიცია დასკვნაში ასახული ფაქტობრივი მდგომარეობების გათვალისწინებით, ექსპერტები მხოლოდ აღნიშნული არგუმენტირებული პოზიციის გაცნობის შემდეგ აყალიბებენ საბოლოო დასკვნას. საბჭოს წევრებს წინდაწინ ეგზავნებათ ორივე მხარის მოსაზრებები და საქმის მასალები შესაბამისად, გადაწყვეტილების მიღება ხდება ორივე მხარის პოზიციის გაცნობის შემდეგ.

ხარისხის გარე უზრუნველყოფის რიგ პროცესებზე, როგორებიცაა: პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა და საგანმანათლებლო პროგრამის დამატება,

[19] საქართველოს კანონი „განათლების ხარისხის განვითარების შესახებ“, მუხლი 7, პუნქტი 2[2].
[20] საქართველოს კანონი “პროფესიული განათლების შესახებ“, მუხლი 26
[21] https://eqe.ge/geo/static/477/Quality-/Quality-Assurance-in-Vocational-Education-/ ; პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნის ფორმა; გრაფა VI “რეკომენდაციების შეჯამება“.
[22] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N99/ნ, 2010 წ. 1 ოქტომბერი, „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ, თავი VI.

საქმისწარმოების ვადა გაიზარდა 30 დღიდან 90 დღემდე, რამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი პროცესების ეფექტურად განხორციელებას[23].

2018 წ. შემუშავდა და დაინერგა ექსპერტების შეფასების სისტემა[24], რომელიც ეფუძნება ექსპერტის შეფასებას დაწესებულების, ცენტრის წარმომადგენელისა და ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის მიერ. შეფასების შედეგები გამოყენებულია ექსპერტთა კორპუსის მართვისა და შემდგომი განვითარებისათვის.

ხარისხის გარე უზრუნველყოფის განხორციელების პროცედურულ ნაწილში, დღეისათვის არსებულ პრობლემებს შორის, აღსანიშნავია შეფასების ხისტი მიდგომების არსებობა, რომელიც გულისხმობს სტანდარტთან მიმართებაში დაწესებულების შეფასებას ორდონიანი სკალის მიხედვით: „სტანდარტი დარღვეულია“ ან „სტანდარტი არ არის დარღვეული“. ამასთან, მოქმედი რეგულაციით, თუ ერთი სტანდარტი მაინც შეფასებულია როგორც „დარღვეული“, დაწესებულება ვერ იღებს/კარგავს ავტორიზაციას. ასეთი ხისტი მიდგომა არ არის ორიენტირებული დაწესებულების განვითარებაზე. ცენტრი უკვე მუშაობს აღნიშნული საკითხის მოგვარებაზე. შემუშავებულია ცვლილებების პროექტი, რომლის მიხედვითაც დაწესებულება უნდა შეფასდეს სამდონიანი შკალის მიხედვით: „შესაბამისობაშია სტანდარტის მოთხოვნებთან“, „ნაწილობრივ შესაბამისია სტანდარტის მოთხოვნებთან“, „არ არის შესაბამისი სტანდარტის მოთხოვნებთან“. „ნაწილობრივი შესაბამისობის“ შემთხვევაში დაწესებულებას მიეცემა გარკვეული დრო დაფიქსირებული ხარვეზების აღმოსაფხვრელად. ასეთი სახის დიფერენცირებული სკალის არსებობა უზრუნველყოფს მეტად სამართლიანი და ეფექტური შეფასების სისტემის დანერგვას და საბოლოოდ, ხელს შეუწყობს ხარისხის გაუმჯობესებას.

კვალიფიკაციების ხარისხთან დაკავშირებით არსებობს ორი მიდგომა. მოდულური პროგრამების შემთხვევაში კვალიფიკაციის მინიჭება ხორციელდება თუ პროფესიული სტუდენტი დაადასტურებს პროგრამით გათვალისწინებულ ყველა სწავლის შედეგს. სახელმწიფო დონეზე საკვალიფიკაციო გამოცდის ჩატარება არ წარმოადგენს ვალდებულებას. დუალური გზით განხორციელებული პროგრამების შემთხვევაში აუცილებელია შუალედური და საბოლოო საკვალიფიკაციო გამოცდის ჩაბარება, რომელიც წარმოადგენს პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველს.

D.3.4 პროფესიული განათლების შინაარსის შექმნა და განახლება

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი შემუშავდება ცენტრალიზებულად სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში დადგენილი წესისა და პროცედურების შესაბამისად, თუმცა მისი შემუშავება/გადამუშავება შესაძლებელია გარე ინიციირების ფარგლებშიც.

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი უნდა ეყრდნობოდეს „პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტისა და მოდულის შემუშავების წესს“, ასევე განათლების ხარისხის განვითარების ცენტრის მიერ შემუშავებულ მეთოდოლოგიას. იგი უნდა აკმაყოფილებდეს პროფესიის სტანდარტით განსაზღვრულ მოთხოვნებსა და დამატებით იმ კრიტერიუმებს, რომლებიც შესაძლოა სამომავლოდ იქნას განსაზღვრული.

პროფესიული საგანმანალებლო სტანდარტის სწავლის შედეგებისა და კვალიფიკაციის განსაზღვრა ხორციელდება ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს, ევროპის „უმაღლესი განათლების ევროპული სივრცის კვალიფიკაციების ჩარჩო“ - სა(QF-EHEA) და ”კვალიფიკაციების ევროპული ჩარჩო მთელი სიცოცხლის მანძილზე სწავლისათვის“ - (EQF-LLL) დონეების აღმწერების შესაბამისად/საფუძველზე.

საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავებაში/გადამუშავებაში როგორც ცენტრში, ასევე გარე ინიციირების დროს, ჩართულნი არიან დასაქმების სფეროსა და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლები.

ინიციატორი შეიძლება იყოს ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირი, რომელიც განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს მიმართავს ერთ-ერთი შემდეგი განცხადებით:

- ცენტრის მიერ ახალი პროფესიული საგანმანალებლო სტანდარტის შემუშავების შესახებ;

[23] საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N99/ნ, 2010 წ. „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ, მუხლი 30. პუნქტი 11 და მუხლი 34, პუნქტი 12.

[24] სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2018 წ. 11.04 ბრძანება N263 „ექსპერტთა მუშაობის შეფასების კითხვარის ფორმების დამტკიცების შესახებ“.

- ახალი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის თავად-ინიციატორის მიერ შემუშავების შესახებ;
- უკვე შემუშავებულ პროფესიულ საგანმანალებლო სტანდარტში ცვლილებების შეტანის შესახებ;

შესაძლებელია, რომ ინიციატორს სურდეს ისეთი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავების ინიცირება, რომელიც უკვე არსებობს. შესაბამისად, ინიციატორმა ინიცირებამდე ცენტრისგან უნდა გამოითხოვოს შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტები.

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის შემუშავებისას ხდება პროფესიული კვალიფიკაციის ფორმირება. პროცესი ითვალისწინებს დასაქმების (ISCO) საერთაშორისო კლასიფიკატორის, განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორის (ISCED) შესწავლა-ანალიზს. საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორში - ეკონომიკური საქმიანობის სახეები შესაბამისი პოზიციების იდენტიფიცირებას, საერთაშორისო გამოცდილების გაზიარებას - სხვა ქვეყნების პროგრამების შესწავლას და სხვა.

პროფესიული საგანმანალებლო სტანდარტი შემუშავდება:

- ერთი პროფესიის სტანდარტზე დაყრდნობით
- ერთზე მეტი პროფესიის სტანდარტზე დაყრდნობით

პროფესიული საგანმანალებლო სტანდარტი არის კვალიფიკაციის მინიჭების საფუძველი. პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი შესაძლებელია განსაზღვრავდეს ერთს ან ერთზე მეტ კვალიფიკაციას/სწავლის სფეროს. თითოეულ კვალიფიკაციას აქვს ინდივიდუალური სწავლის შედეგები, დასაქმების პოზიციები, ასევე შესაძლებელია ჰქონდეს სწავლება-სწავლის განსხვავებული დრო, პროფესიული განათლების სხვადასხვა დონე და დაშვების წინაპირობები.

პროფესიის სტანდარტისა და პროფესიული საგანმანალებლო სტანდარტის ურთიერთკავშირი:

- ერთი პროფესიის სტანდარტი - პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ერთი კვალიფიკაციით/სწავლის სფეროთი;
- ერთზე მეტი პროფესიის სტანდარტი - ერთი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ერთი კვალიფიკაციით/სწავლის სფეროთი;
- ერთზე მეტი პროფესიის სტანდარტი - ერთი პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი ერთზე მეტი კვალიფიკაციით/სწავლის სფეროთი.

პროფესიული საგანმანალებლო სტანდარტის შემუშავება/გადამუშავების პროცესი მოიცავს შემდეგ ეტაპს:

ანალიზის დოკუმენტის მომზადება

- დასაქმების (ISCO-08) საერთაშორისო კლასიფიკატორის შესწავლა-ანალიზი - საერთაშორისო კლასიფიკატორში (ISCO) შესამუშავებელი საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი პროფესიის/პროფესიების, ამ პროფესიების აღმწერების, შესასრულებელი დავალებების, კვალიფიკაციის დონის შესახებ ინფორმაციის იდენტიფიცირება და დასაქმების კონკრეტული სფეროს მთლიანი შესწავლა;
- განათლების საერთაშორისო კლასიფიკატორი (ISCED), შესამუშავებელი საგანმანათლებლო სტანდარტის შესაბამისი სწავლის სფეროს იდენტიფიცირება, შესწავლა-ანალიზი, სწავლის სფეროს მთლიანი ანალიზი და ამ სფეროში კონკრეტული კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების ადგილის იდენტიფიცირება;
- საერთაშორისო გამოცდილების გაზიარება, რაც ნიშნავს არანაკლებ სამი ქვეყნის მაგალითზე საგანმანათლებლო სტანდარტების მოძიებას, რომელმაც უნდა გამოკვეთოს ინფორმაცია კვალიფიკაციის დონის, საგანმანათლებლო სტანდარტის სავარაუდო შინაარსისა და სტრუქტურის შესახებ;
- საქართველოს ეროვნულ კლასიფიკატორში - ეკონომიკური საქმიანობის სახეები სფეროს შესაბამისი პოზიციების იდენტიფიცირება;

ზემოაღნიშნული პუნქტების გათვალისწინებით უნდა შემუშავდეს ანალიზის დოკუმენტი, რომელიც ასახავს პირველ ეტაპზე შესრულებული სამუშაოს შედეგებს, კერძოდ:

გამოიკვეთოს მისანიჭებელი კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების სავარაუდო დასახელება, განათლების სავარაუდო საფეხური და კვალიფიკაციის დონე, უმაღლესი განათლების სფეროსთან ბმა-კარიერული შესაძლებლობები, არსებობის შემთხვევაში პროფესიული სტანდარტი/სტანდარტების ჩამონათვალი, რომელთა საფუძველზეც შემუშავდება საგანმანათლებლო სტანდარტი, იდენტიფიცირებული პროფესიები, რომელთაც დაფარავს მისანიჭებელი კვალიფიკაცია/კვალიფიკაციები, საერთაშორისო განათლების კლასიფიკატორის შესაბამისი აღმწერი, არსებობის შემთხვევაში პროფესიის სტანდარტებსა და/ან საგანმანათლებლო სტანდარტში იდენტიფიცირებული საკითხები, რომელიც უნდა დაექვემდებაროს ცვლილებებსა და სხვ. ანალიზის შედეგად უნდა გამოიკვეთოს კონკრეტული რეკომენდაციები.

- **ანალიზის დოკუმენტის განხილვა-შეჯერება**

აღნიშნული ეტაპის მიზანია ანალიზის დოკუმენტებისა და რეკომენდაციების განხილვა, შესაძლო ხარვეზების ან/და პრობლემატური საკითხების გამოვლენა, და რეკომენდაციების საბოლოო შეჯერება. ანალიზი განიხილება ცენტრის კვალიფიკაციების განვითარების სამმართველოს მიერ, რაზეც შემმუშავებელ პირებს ეცნობებათ წერილობით.

განხილვის შედეგად შესაძლოა მოხდეს:

- ანალიზის დოკუმენტში კორექტივების შეტანა
- ან კორექტირების გარეშე საგანმანათლებლო სტანდარტის/მოდულის ოპტიმიზაცია/გადამუშავება/შემუშავების მესამე ეტაპის დაწყება
- ან ანალიზის დოკუმენტის საჯარო განხილვის დაგეგმვა
- ან რეკომენდაცია საგანმანათლებლო სტანდარტის/მოდულის ოპტიმიზაცია/გადამუშავება/შემუშავებაზე უარის შესახებ
- ან თანხმობა საგანმანათლებლო სტანდარტის/მოდულის შემუშავების შესახებ
- ან სხვა აქტივობა.

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, მოდულის პროექტების შემუშავება

ამ ეტაპის მიზანია შესრულებული ანალიზის საფუძველზე მოხდეს საგანმანათლებლო სტანდარტის/მოდულის პროექტის შემუშავება.

საგანმანათლებლო სტანდარტის სტრუქტურის მონახაზისა და სავარაუდო კვალიფიკაციის/კვალიფიკაციების გამოკვეთის შემდეგ, აღნიშნულ ეტაპზე უნდა შემუშავდეს საგანმანათლებლო სტანდარტისა და მოდულების პროექტები დამსაქმებლებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლების ჩართულობით.

- **პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, მოდულის პროექტების საჯარო განხილვა**

ამ ეტაპზე მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო სტანდარტის/მოდულის პროექტის საჯაროობა დაინტერესებული პირების ჩართულობის უზრუნველსაყოფად. განხილვის მიზანია გამოიკვეთოს პროექტებში არსებული ხარვეზები ან/და რაიმე ტიპის ინფორმაციის დამატების შესაძლებლობები. განხილვაში მონაწილეობა შეუძლია მიიღოს ნებისმიერმა დაინტერესებულმა პირმა.

- **პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის, მოდულის პროექტების შესაბამის დარგობრივ საბჭოზე განხილვა**

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის/მოდულების პროექტები განსახილველად წარედგინება შესაბამის დარგობრივ საბჭოს. დარგობრივი საბჭო იღებს გადაწყვეტილებას დადებითი ან უარყოფითი რეკომენდაციის შესახებ. დარგობრივ საბჭოზე საგანმანათლებლო სტანდარტის/მოდულის განხილვისას შესაძლებელია გამოიკვეთოს დოკუმენტში ცვლილებების შეტანის საჭიროება. შესაბამისად, საგანმანათლებლო სტანდარტი/მოდული უნდა დაბრუნდეს გადასამუშავებლად და მოგვიანებით შესაბამის დარგობრივ საბჭოს წარედგინოს განსახილველად.

- **საგანმანათლებლო სტანდარტის/მოდულის დამტკიცება და რეესტრში ასახვა**

ნებისმიერი დაინტერესებული პირისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად ცენტრის დირექტორის მიერ დამტკიცებული პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი, მოდულები უნდა განთავსდეს ვებ-გვერდზე www.vet.ge და www.eqe.ge. ცენტრი უზრუნველყოფს დამტკიცებული დოკუმენტების რეესტრის წარმოებას.

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე საგანმანათლებლო დაწესებულება შეიმუშავებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების დაძლევის საფუძველზე პროფესიულ სტუდენტს ენიჭება კვალიფიკაცია.

D.3.5 ევროპული საკვანძო კომპეტენციები

მეტად მნიშვნელოვანია პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი უზრუნველყოფდეს რვა საკვანძო კომპეტენციის გამომუშავებას, რისთვისაც არსებობს სხვადასხვა გზები:
პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტი უზრუნველყოფს რვა ძირითადი კომპეტენციის გამომუშავებას სხვადასხვა გზით:
1. ძირითადი კომპეტენციები შეიძლება ინტეგრირდეს მოდულებში, როგორც სწავლის შედეგები და / ან შესრულების კრიტერიუმები;
2. ძირითადი კომპეტენციები შეიძლება ნაწილობრივ იყოს ინტეგრირებული პროფესიულ მოდულებში, ხოლო ნაწილობრივ წარმოდგენილი იყოს როგორც დამოუკიდებელი ზოგადი მოდული (უკვე შემუშავებული ზოგადი მოდულები - უცხო ენა, მეწარმეობა, ინფორმაციული წიგნიერება, რაოდენობრივი წიგნიერება, შინაგანი კომუნიკაცია, სამოქალაქო განათლება);
3. ძირითადი კომპეტენციები სრულად არის წარმოდგენილი დამოუკიდებელი ზოგადი მოდულების სახით.

საკვანძო კომპეტენციების შემუშავებისას გამოიყენება ევროპარლამენტისა და ევროპული საბჭოს რეკომენდაციები - უწყვეტი სწავლების ძირითადი კომპეტენციები.

პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავების / დამუშავების ეტაპზე შეფასების კითხვარი აფასებს 8 კომპეტენციას კონკრეტულ საგანმანათლებლო სტანდარტებში.
http://vet.ge/jump_profession/%E1%83%9E%E1%83%A0%E1%83%9D%E1%83%A4%E1%83%94%E1%83%A1%E1%83%98%E1%83%A3%E1%83%9A%E1%83%98-%E1%83%A1%E1%83%90%E1%83%92%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%9B%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%90%E1%83%97%E1%83%9A-2/)

D.3.6 ხარისხის უზრუნველყოფის გაუმჯობესების პოლიტიკა

ხარისხის უზრუნველყოფის კონტროლის მექანიზმებია მონიტორინგი და დაწესებულების მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიში. გარდა ამისა, ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, ცენტრი ატარებს პროვაიდერის დაწესებულებების პერიოდულ გამოკითხვებს, რათა გამოავლინოს ის საკითხები, რომლებშიც დაწესებულებებს სჭირდებათ დახმარება.

მაგ: ახალი სტანდარტების დანერგვასთან დაკავშირებით 2018 წლის ბოლოს ჩატარდა დაწესებულებების გამოკითხვა, რომლის მიზანიც იყო დაწესებულებების თვითშეფასებაზე დაყრდნობით გამოგვევლინა ის ძირითადი გამოწვევები და სუსტი მხარეები, რომლებიც ქმნიან დაბრკოლებებს ახალი სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების დანერგვის პროცესში. გამოკითხვის შედეგები გაანალიზდა და 2019 წელს განხორციელდება შესაბამისი ღონისძიებები, რათა პროვაიდერებს მიეწოდოთ ინფორმაცია მათთვის საინტერესო საკითხებზე.

შეჯამება და ანალიტიკური დასკვნები

მიღწევებს შორის შეიძლება გამოვყოთ:

- ახალი NQF (2019 წელი)
- პროფესიული განათლების სფეროში QAF შემუშავებულია შესაბამის მეთოდოლოგიასთან, ინსტრუმენტებთან, შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებებთან ერთად;
- ავტორიზაციის სტანდარტები გადამუშავდა, რომლებიც 2019 წელს დაინერგება. ამავე წელს თვითშეფასებასთან ერთად განხორციელდება შიდა და გარე შემოწმების პილოტირება
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები რეფორმის პროცესშია, ეს ეხება პროფესიული განათლების კვალიფიკაციის მოდერნიზაციას, სასწავლო პროგრამების მოდულარიზაციას, WBL და დუალურ განათლებას, ახალგაზრდებისა და მოზრდილებისთვის პროგრამების დივერსიფიკაციას (სასწავლო და გადამზადების პროგრამები)

არსებობს პოლიტიკურად მნიშვნელოვანი 2 გამოწვევა, როგორიცაა :
1. პროფესიული განათლების კვალიფიკაციის ხარისხი

2. პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა უნარების ნაკლებობა

პოლიტიკის გამოწვევები	პროფესიული განათლების კვალიფიკაციის ხარისხი
ფაქტორები	• პროფესიული განათლებისა და კვალიფიკაციის ამაღლების მექანიზმების ნაკლებობა, როგორც გარე, ასევე შიდა მექანიზების • პროფესიული განათლებისა და სწავლების საჭიროებებს შორის შესაბამისობა • პროფესიული განათლებისა და ინსტრუქტირების კომპეტენციები • სწავლების, შეფასებისა და პროფესიული განათლების კვალიფიკაციის მინიჭება
გადაჭრა	• შიდა და გარე ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების გაუმჯობესება • სწავლისა და კვალიფიკაციების პროცესის გაუმჯობესება • პროფესიული განათლების მასწავლებელთა უწყვეტი პროფესიული განათლება • კვალიფიკაციის ამაღლების, განახლებისა და მინიჭებაზე პასუხისმგებელი კადრების შესაძლებლობების გაძლიერება (როგორც პროფესიული განათლების სისტემაში, მიმწოდებლის დონეზე).
განხორციელების პროცესში მიღწეული პროგრესი	• ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს გადასინჯვა, ავტორიზაციის სტანდარტების გადახედვა • სავალდებულო პრაქტიკის კომპონენტები ასახულია ყველა პროფესიულ პროგრამაში • ძირითადი კომპეტენციები სავალდებულოა პროფესიული განათლების ყველა პროგრამაში • პროფესიული მასწავლებელებისა და ინსტრუქტირების შესაძლებლობების გაძლიერება • პროფესიული განათლების კურსდამთავრებულების რეგულარული კვლევები; დამსაქმებელთა გამოკითხვა •
რეკომენდაციები	• ყოვლისმომცველი ხარისხის უზრუნველკყოფის ჩარჩოს დანერგვა პროფესიული განათლების სფეროში • შიდა და გარე ვერიფიკაციის ან მსგავსი მექანიზმის დანერგვა კვალიფიკაციის ხარისხის ამაღლების მიზნით; აგრეთვე ეფექტური მონიტორინგის სისტემის დანერგვა დეტალური შესრულების ინდიკატორების საფუძველზე • კომუნიკაციის გაუმჯობესება დამსაქმებლებთან, ყველა დონეზე • ინსტიტუტებში ხარისხის გაუმჯობესება • პროფესიული განათლებისა და პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება, სწავლა - შეფასებისა და კვალიფიკაციის მინიჭება • WBL ხარისხის გაუმჯობესება, პრაქტიკის დანერგვა • ინოვაციური სწავლის მიდგომების დანერგვა • პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების მექანიზმების გაუმჯობესება. • კვალიფიკაციის ამაღლებაზე, განახლებასა და კვალიფიკაციის მინიჭებაზე პასუხისმგებელი კადრების შესაძლებლობების გაძლიერება (როგორც VET სისტემაში, ასევე VET მიმწოდებლის დონეზე)

პოლიტიკის გამოწვევები	პროფესიული განათლების მასწავლებლების ხარისხი და მათი უწყვეტი პროფესიული განვითარება
ფაქტორები	• პროფესიული განათლების მასწავლებლები არ არიან მომზადებული სისტემის დონეზე • თანამედროვე სტანდარტების არარსებობა • უწყვეტი პროფესიული განვითარების სქემების არ არსებობა
პროგრესი დანერგვის	• დაიწყო სტანდარტებზე მუშაობა

პროცესში	• მიმდინარე პედაგოგიური ტრენინგები • მიმდინარე საგნობრივი ტრენინგები
რეკომენდაციები	• პროფესიული განათლების მასწავლებლები უნდა მომზადდნენ სისტემის დონეზე • მნიშვნელოვანია მასწავლებელთა უწყვეტი ტრენინგის უზრუნველყოფა; • აღიარებულია, რომ მასწავლებლებს დასჭირდებათ ინტენსიური ტრენინგი, დეტალური სახელმძღვანელო მითითებები და ა.შ. კომპეტენციებზე დაფუძნებული სწავლებისა და შეფასების ჩასატარებლად. • მხედველობაში უნდა იქნას მიღებული მასწავლებელთა ტრენინგის საჭიროებეთა ანალიზის შედეგები: • 90% -ს სურს ტრენინგებში მონაწილეობა • 70% -ზე მეტს სურს შემდეგი საკითხების გავლა • შეფასება; კომპეტენციებზე დაფუძნებული შეფასება • პრაქტიკული ვარჯიში; ტესტები • დაკვირვება; როლური თამაშები • მასწავლებლებს სჭირდებათ მხარდაჭერა სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და შესაბამისი მასალების გამოყენებისას

ბლოკი E: პროფესიული განათლების მართვა და დაფინანსება

E.1: ინსტიტუციური მოწყობა

E.1.3 მიმდინარეობს რეფორმა, რომელიც მიზნად ისახავს ინსტიტუციონალური შესაძებლობებისა და მართვის გაუმჯობესებას პროფესიული განათლების სფეროში? თუ დიახ, გთხოვთ აღწეროთ მათი განხორციელება და ახსენით მათი მიზნები.

2018 წლის სექტემბერში ძალაში შევიდა პროფესიული განათლების შესახებ ახალი კანონი. კანონის მიზანია ქვეყნის პროფესიული განათლების სისტემის განვითარებისა და პროფესიული განათლების სფეროში სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელების ხელშეწყობა. აღნიშნული მიზნების მისაღწევად კანონი განსაზღვრავს სახელმწიფოს პასუხისმგებლობებს პროფესიული განათლების სფეროში, მათ შორის ადგილობრივი თვითმმართველობის როლის გაძლიერებას. ახალი კანონის თანახმად მუნიციპალიტეტები უფლებამოსილნი არიან პროფესიული საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელების მიზნით სამინისტროსთან შეთანხმებით დააფუძნონ საჯარო სამართლის იურიდიული პირი ან კერძო სამართლის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ შესაბამისად. ასევე, კანონის თანახმად გამოიკვეთა ადგილობრივი თვითმმართველობის როლი დაფინანსების მიმართულებით. კერძოდ, პროფესიული განათლების დაფინანსება შესაძლებელია განახორციელონ მუნიციპალიტეტებმაც.

2016 წელს EUVEGE პროექტის ფარგლებში განხორციელებული Ria– ს ანალიზის მიხედვით საჭიროა პროფესიული განათლებისა და ფუნქციების ოპტიმიზაცია ინსტიტუციური შეთანხმებების შემდგომი განვითარებისათვის. განხილულია ორი ალტერნატიული გადაწყვეტილება: (1) არსებული რესურსების ფარგლებში ფუნქციათა გადანაწილება რადიკალური სტრუქტურული ცვლილებების გარეშე, ან (2) ახალი დაწესებულების შექმნა, როგორიცაა პროფესიული განათლების სააგენტო.

პირველი ვარიანტი მოიცავს:

1. გაიმიჯნოს NQF- ის შესაბამისად (დონე 3, 4 და 5) პროფესიული და საგანმანათლებლო სტანდარტების შემუშავებისა და დამტკიცების პროცესები
2. გაიმიჯნოს პროფესიული დაწესებულებების შიდა ხარისხის უზრუმველყოფა და გარე შემოწმების პროცესები
3. გაიმიჯნოს მენეჯმენტსა და ადმინისტრირებაში არსებული შესაძლებლობების გაძლიერება და მასწავლებლების უწყვეტი პროფესიული განვითარება (CPD)
4. EMIS– ის ახალი ფუნქციების შესრულების დამატებითი შესაძლებლობების შექმნა

5. უფრო ეფექტურად განაწილდეს ოპერაციული ფუნქციები სამინისტროში და დეცენტრალიზდეს პროფესიული განათლების სექტორის მენეჯმენტი

მეორე ვარიანტის რეკომენდაციებია:

არსებული ფუნქციების გადანაწილებისას გამოვლინდა გადაფარბევი, ხარვეზები და ინტერესთა კონფლიქტი. ფუნქციები უნდა გადანაწილდეს უფრო ეფექტურად:

1. ახალი სტრუქტურული ერთეულის - უნარ-ჩვევების განვითარების სააგენტოს ან პროფესიული განათლების განვითარების სააგენტოს შექმნა
2. NQF- ის (3 დონე, 4 და 5) და შესაბამისი კვალიფიკაციის სტანდარტებისა (პროფესიული და საგანმანათლებლო) და პროფესიული განათლების შიდა ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციები NCEQE-დან გადავიდეს ახალ სააგენტოში
3. მენეჯმენტსა და ადმინისტრაციაში შესაძლებლობების განვითარების ფუნქციები TPDC– დან გადავიდეს ახალ სააგენტოში.
7. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ოპერაციული ფუნქციები (ადმინისტრირების და მიწოდების დონე) გადავიდეს ახალ სააგენტოში

MCA ანგარიში (2015)[1] ასევე ხაზს უსვამსიმ მნიშვნელოვნებაზე , რომ განასხვავოთ QA შიდა და გარე მექანიზმები. მიუხედავად იმისა, რომ RIA- ს ანგარიში მოიცავს ყოვლისმომცველ ანალიზს, იგი შედგენილია წინა პროფესიული განათლების შესახებ კანონის კონტექსტში და შესაბამისად, საჭიროებს გადასინჯვასა და ანალიზს პროფესიული განათლების შესახებ კანონის ახალი ინიციატივების გათვალისწინებით.

E.2: პროფესიული განათლების სფეროში არასახელმწიფო აქტორების ჩართვა და

E.2.1 პასუხისმგებლობის განაწილება სახელმწიფო და არასახელმწიფო აქტორებს შორის

როგორც ზემოთაცაა აღწერილი, არსებობს სოციალური პარტნიორობის ინსტიტუციონალური სტრუქტურა სექტორულ და ადგილობრივ დონეზე. სოციალური პარტნიორები NVETC- ს წევრები არიან, ხოლო დარგობრივ საბჭოებსა და მრჩეველთა საბჭოში დამსაქმებლები მონაწილეობენ.

მიმდინარეობს NVETC საბჭოს უფრო ეფექტური მოდელის ძიებისა და დარგობრივი საბჭოების შესაძლებლობებისა და მანდატის გაუმჯობესების პროცესი.

E 2.2. არასამთავრობო აქტორების მონაწილეობის მხარდამჭერი პოლიტიკა

საჯარო და კერძო პარტნიორობას სულ უფრო მეტი ყურადღება ექცევა პროფესიული განათლების სფეროში. კერძო სექტორთან პარტნიორობით მთავრობას შეუძლია განათლების სისტემები უფრო ეფექტური და ეფექტიანი გახადოს.

არსებული საერთაშორისო კარგი პრაქტიკისა და გამოცდილების საფუძველზე შესაძლებელია PPP შემდეგი ვარიანტების განხორციელება”

1 . **ინფრასტრუქტურული პარტნიორობა (IP)**

კერძო სექტორთან პარტნიორობა სკოლის ობიექტებისა და მათთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობისთვის, ზოგადად ცნობილია, როგორც:

- დიზაინი, აშენება, ექსპლუატაცია და შენარჩუნება (DBOM)
- დიზაინი, აშენება, ფინანსები, ოპერატიული და შენარჩუნება (DBFOM)
- დიზაინი, მშენებლობა, ფინანსები და შენარჩუნება (DBFM)
- დიზაინი, მშენებლობა და ფინანსები (DBF)
- ოპერირება და შენარჩუნება (O&M), რომელიც როგორც წესი, ზემოაღნიშნულიდან განუყოფელი ნაწილია, მაგრამ ეს შეიძლება იყოს დამოუკიდებელი PPP.

2. **განათლება-ინდუსტრია პარტნიორობა (EIP)**

შეიძლება ჰქონდეთ ხელშეკრულებების რამდენიმე ტიპი, მაგრამ ყველაზე გავრცელებული ხელშეკრულებაა სამუშაოზე დაფუძნებული, დუალური პროფესიული განათლების ხელშეკრულებები.

3. GGF- ის მხარდაჭერით განხორციელდა მენეჯმენტის აუთსორსინგის მოდელის მიზანშეწონილობის შეფასება

E.3: პროფესიული განათლების დაფინანსება

საქართველოში პროფესიული განათლების დაფინანსება განისაზღვრება #244 დადგენილებით. განკარგულებაში მოცემულია ვაუჩერისა და პროგრამის დაფინანსების დეტალები. ვაუჩერი ფარავს სასწავლო პროცესებსა და მასწავლებელთა შრომის ანაზღაურებას საჯარო პროფესიულ კოლეჯებში. 2019 წლიდან კი გათვალისწინებული იქნება პრიორიტეტულ სფეროებში კერძო კოლეჯების დაფინანსებაც. პროგრამის დაფინანსება გამოიყოფა პერსონალის ანაზღაურებისა და სხვა ხარჯებისთვის. 2013-2016 წლებში პროფესიული განათლების დაფინანსება გაიზარდა 173% -ით, რაც იმაზე მეტყველებს, რომ პროფესიული განათლება წარმოადგენს პრიორიტეტს. დაფინანსების კიდევ ერთი წყაროა დონორების დაფინანსება, სადაც ევროკავშირსა და აშშ – ს (MCA) ყველაზე დიდი წვლილი შეაქვს.

2017 წელს პროფესიული განათლების ბიუჯეტი შეადგენდა განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტის 3.1% -ს (ცხრილი 25). 2017 წლიდან 2020 წლამდე დაგეგმილია პროფესიული განათლების ბიუჯეტის 22% -იანი ზრდა, რაც საერთო ბიუჯეტის წილის 4% -მდე გაზრდას გულისხმობს.

ცხრილი 25: პროფესიული განათლების ბიუჯეტი, 2013-2018 (მილიონი ლარი)

	2013	2014	2015	2016	2017	2018 გეგმა	2019 აქტი (დაგეგმილი)
პროფესიული განათლება	**13,25**	**23,22**	**32.95**	**33,67**	**36,45**	**43.76**	**64.80**
ვაუჩერი	Pub 3,7 Priv 0,0	11,8 0,0	11,5 0,0	12,3 0,0	14,1 0,0	17.5 1.4	18,6 1.4
პროგრამის დაფინანსება / მიზნობრივი დაფინანსება ავტორიზებული სახელმწიფო პროფესიული კოლეჯებისთვის	5,6	3.0	6,9	9,4	12,3	11,2	11.2
სამოქმედო გეგმის განხორციელება						6,1	3,2
უნარების განვითარება სკოლებში					1,3	2.0	2.0
ინფრასტრუქტურის განვითარება (ესიდა)	2,9	6,9	12,3	10,0	8,2	5.0	6.5
TPDC	0,1	0,2	0,2	0,3	0,3	0,3	0,3
NAEC	0,5	0,1	0,1	0,1	0,1	0,2	0,2
NCEQE	0,4	1,2	1,9	1,5	0,12	O,13	0,13

წყარო MoSCS, *2018 წლის ნოემბერი*

ცხრილი 26: განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ბიუჯეტი , 2017-2020 წლები (ათასი ლარი)

განათლებისა და	**1,413,165.00**	**1,456,200.00**	**1,417,900.00**	**1,375,400.0**

მეცნიერების სამინისტრო (MoES)				**0**
ეროვნული პოლიტიკის შემუშავება და მართვა განათლებისა და მეცნიერების სფეროში	24,987.00	25,000.00	25,000.00	25,000.00
ზოგადი განათლება	660,078.00	670,000.00	680,000.00	690,000.00
პროფესიული განათლება	**36,509.00**	**43,800.00**	**53,000.00**	**55,000.00**
უმაღლესი განათლება	400,812.00	403,000.00	404,000.00	405,000.00
მეცნიერებისა და სამეცნიერო კვლევების მხარდაჭერა	63,210.00	65,000.00	65,000.00	65,000.00
ინკლუზიური განათლება	5,134.00	5,200.00	5,300.00	5,400.00
ინფრასტრუქტურის განვითარება საგანმანათლებლო დაწესებულებებში	115,980.00	120,000.00	125,000.00	130,000.00
ათასწლეულის გამოწვევის ანგარიში საქართველო	93,055.00	87,800.00	34,000.00	0
თბილისის საჯარო სკოლების რეაბილიტაცია და ენერგოეფექტურობის პროექტი (CEB, ESP)	4,000.00	26,600.00	26,600.00	0
ჰიდროტექნიკური კვლევის ლაბორატორიის შემუშავება სახელმწიფო ტექნიკურ უნივერსიტეტში (უნიქრედიტის ბანკი)	1,000.00	3,600.00	0	0
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო (MoES)	**1,413,165.00**	**1,456,200.00**	**1,417,900.00**	**1,375,400.00**

პროფესიული განათლების სტრატეგია ფინანსურად მდგრადია განსაკუთრებით იმის გათვალისწინებით, რომ კერძო სექტორის მუდმივი მონაწილეობა ხდება მომსახურების მიწოდებასა და სამუშაო ადგილებზე ტრენინგის ინიციატივებში, რაც პრიორიტეტულია ახალი პროფესიული განათლების შესახებ კანონის მიხედვით. თუმცა, ჯერ კიდევ განუვითარებელია დაფინანსების მოდელი და ვაუჩერის სისტემა. 2019 წელს დაიგეგმა ვაუჩერის სისტემის კერძო პროვაიდერებზე გადანაწილება, თუმცა დაფინანსების ახალი მოდელი ჯერ არ შემუშავებულა და ეს ინიციატივა გადაიდო მომავალი წლებისთვის.

E.3.1 ხარჯების დაგეგმვა, პროფესიული განათლების ბიუჯეტის ფორმირება და შესრულება

განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ახორციელებს მონიტორინგს, განაახლებს, აფასებს და აქვეყნებს თავის ვებგვერდზე საშუალოვადიანი პროფესიული განათლების რეფორმის სტრატეგიას ყოველწლიურად გაწერილი სამოქმედო გეგმის შესაბამისად; ეს აისახება სამინისტროს წლიურ ბიუჯეტში, რომელიც უნდა გადაეცეს ფინანსთა სამინისტროს, როგორც ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების (BDD) დოკუმენტი. სტრატეგიის სანდოობისა და შესაბამისობისთვის მნიშვნელოვანია სამოქმედო გეგმები იყოს საშუალოვადიანი პერსპექტივით გაწერილი და შეესაბამებიდეს ბიუჯეტის ციკლს, მათ შორის BDD- ისა და პროგრამების ბიუჯეტის ოთხწლიან ციკლს.

მთავრობამ სტრატეგიის მიღებით დაადასტურა პროფესიული განათლების რეფორმებისადმი დამოკიდებულება. რამდენიმე მნიშვნელოვანი განაცხადი, მათ შორის პრემიერ-მინისტრის 2016 წლის მარტის მოხსენება ამყარებს მოსაზრებას, რომ პროფესიული განათლება მნიშვნელოვანი გზაა ქვეყნის როგორც ეკონომიკური, ისე სოციალური მიზნების მისაღწევად. ეს ვალდებულება ასახულია 2017-2020 წლების BDD- ში, რომელიც პროფესიული განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს პრიორიტეტებს ასახავს.

რაც შეეხება ფინანსურ ავტონომიას, განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია გამოყოს დაფინანსება სახელმწიფო პროფესიული კოლეჯებისთვის. თანხების გამოყოფა გათვალისიწნებულია შემდეგი მიმართულებებით: პროფესიული განათლების განვითარების ხელშეწყობა, პროფესიული განათლების დაწესებულებების პოტენციალის

განვითარება და საგანმანათლებლო საქმიანობის მიმართულებების გაფართოება, პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობის გაღრმავება, პროფესიული სტუდენტების პროფესიული საქმიანობისთვის მომზადება, რაც მოითხოვს პრაქტიკული ცოდნისა და უნარების გამომუშავებას.

საჯარო კოლეჯები იღებენ ვაუჩერულ და პროგრამულ დაფინანსებას. ვაუჩერული დაფინანსება მოიცავს სასწავლო პროცესის წარმართვისათვის აუცილებელ ხარჯებს (პროფესიული განათლების პედაგოგების ანაზღაურების ჩათვლით); რაც შეეხება პროგრამულ დაფინანსებას, ის გამოიყოფა პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების პერსონალის ანაზღაურებისთვის, ფარავს დაწესებულების ფუნქციონირებისთვის საჭირო სხვადასხვა მიმდინარე ხარჯებს. ამასთან, სახელმწიფო პროფესიულმა კოლეჯებმა შეიძლება მიიღონ შემოსავალი სახელმწიფო კონტრაქტებიდან, რაც აისახება მათ ბიუჯეტში.

2019 წლიდან კერძო კოლეჯებს შეუძლიათ მიიღონ ვაუჩერის დაფინანსება პრიორიტეტულ სფეროებში.

სახელმწიფო ასევე აფინანსებს მოკლევადიან სასწავლო პროგრამებს. საგანმანათლებლო დაწესებულების გარდა, მოკლევადიანი სასწავლო პროგრამა შეიძლება განახორციელოს კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა, რომელიც დააკმაყოფილებს დადგენილ სტანდარტებს. უფლებამოსილების მიღების შემდეგ ორგანიზაციას უფლება აქვს მიიღოს სახელმწიფო დაფინანსება გარკვეულ პრიორიტეტულ სფეროებში.

E.4: პროფესიული განათლებისთვის რესურსების მობილიზება

E.4.1 პროფესიული განათლების დაფინანსების წყაროები და მექანიზმები

საქართველოში პროფესიულ განათლებას აფინანსებს მთავრობა და სახელმწიფო დაფინანსებასთან შედარებით კერძო სექტორის / დამსაქმებლების, დონორების ან თავად შემსწავლელთა მიერ შეტანილი წვლილი საკმაოდ მწირია.

საქართველოში პროფესიული განათლების დაფინანსება რეგულირდება მთავრობის # 244 დადგენილებით (2013 წლის 19 სექტემბერს) „საჯარო დაწესებულებების პროფესიული განათლების დაფინანსების წესის განსაზღვრის შესახებ“. დადგენილება ქმნის ჩარჩოს დაფინანსების ორი ტიპისთვის: 1) ვაუჩერი და 2) პროგრამული დაფინანსება (მას ასევე უწოდებენ სუბსიდიების ბიუჯეტირებას).

ვაუჩერის დაფინანსება მოიცავს სასწავლო პროცესის ძირითად ხარჯებს, მათ შორისაა მასწავლებელთა ხელფასები და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე და სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტების სასწავლო პროცესის ხელშემწყობი ხარჯები. ხოლო მოდულარულ პროგრამებზე ვაუჩერის დაფინანსება ფარავს სასწავლო მასალების ხარჯებს.

პროგრამის ბიუჯეტით გათვალისწინებულია: ა) პერსონალის (ადმინისტრაციის ჩათვლით) და საგანმანათლებლო დაწესებულებების კონტრაქტორთა ხელფასები, ბ) საოპერაციო ხარჯები და გ) დაწესებულების ყველა სხვა ხარჯები.

6 შერჩეული კოლეჯის ანალიზმა აჩვენა, რომ 2016-2018 წლებში ვაუჩერული დაფინანსება წარმოადგენს ინსტიტუციების ფინანსების მთავარ წყაროს და ვაუჩერის დაფინანსების თანაფარდობასთან შედარებით სუბსიდიების გამოყოფა საკმაოდ ნაკლებია. ამასთან, ზოგიერთ პროფესიულ კოლეჯში (მაგ. მოდუსი, სარკინიგზო ტრანსპორტის კოლეჯი), სუბსიდიების დაფინანსების მოცულობა ვაუჩერთან შედარებით უფრო მაღალია.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ეკონომიკური განვითარების დეპარტამენტის მიერ მოწოდებული მონაცემების მიხედვით, 2016-2017 წლებში 30 პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების ოპერაციული ღირებულება გაიზარდა 13% -ით. 2017 წელს O&M მთლიანი ხარჯების ნაწილი (4.1 მილიონი ლარი) შეადგენდა მთლიანი პროფესიული განათლების სექტორის მთლიანი საოპერაციო ხარჯების 24% -ს (17.1 მილიონი ლარი). ვაუჩერის განაწილება (8.7 მილიონი ლარი) და სუბსიდიების დაფინანსება (8.3 მილიონი ლარი)კი მთლიანი ხარჯებიდან იყო 51% და 49%.

E.4.2 დაფინანსების დივერსიფიცირება და მობილიზება

საჯარო და კერძო პარტნიორობა სულ უფრო მეტად განიხილება პარტნიორეობის სასურველ ფორმად. დაინტერესებულ მხარეებს მიაჩნიათ, რომ კერძო სექტორთან პარტნიორობით მთავრობას შეუძლია განათლების სისტემა უფრო ეფექტური და ეფექტიანი გახადოს

E.5: რესურსების გამოყოფა და გამოყენება პროფესიული განათლების სფეროში

ტექნიკური აღჭურვილობის მინიმალური სტანდარტები განსაზღვრავს საჭირო აღჭურვილობასა და მოწყობილობებს. საჯარო სამართლის იურიდიული პირი განათლებისა და მეცნიერების ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო (ESIDA) ახორციელებს რეაბილიტაციასა და აღჭურავს პროფესიული განათლების კოლეჯებს.

ყველა საგანმანათლებლო პროგრამისათვის საგანმანათლებლო რესურსების არსებობაავტორიზაციის სტანდატებით არის მოთხოვნილი. ყველა დაწესებულებას აქვს ბიბლიოთეკა ან ელ. სასწავლო რესურსების ბიბლიოთეკა.

მრავალფეროვანი ელ. რესურსები განთავსებულია www.vet.ge– ზე , მაგალითად, სასწავლო და აუდიო რესურსები, საგანმანათლებლო რესურსები ინკლუზიური განათლებისთვის, მასწავლებლებისთვის, სტუდენტებისთვის, კარიერული კონსულტაციისა და სხვა. აუდიო რესურსები ხელმისაწვდომია 19 პროგრამისთვის / მოდულისთვის. ვებსაიტზე ასევე განთავსებულია სამინისტროში განხორციელებულ კვლევებისა და ანალიზის დოკუმენტები.

E.5.1 რესურსების განაწილება

E.5.2 პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს რესურსებს პროფესიული განათლების სფეროში და მათ სამართლიან გადანაწილებას

შეჯამება და **ანალიტიკური დასკვნები**

მიღწევებს შორის შეიძლება გამოვყოთ

- საქართველომ, პროფესიული განათლების ახალი კანონის შესაბამისად, დაიწყო მუშაობა მართვის უფრო ეფექტურ და ყოვლისმომცველ ფორმაზე, ;
- დაიწყო მუშაობა დაფინანსების ახალ მოდელებზე, რომელიც უნდა ეფუძნებოდესშედეგს.

პოლიტიკის გამოწვევებს შორის განიხილება SP- ის ნაკლებობა სისტემის დონეზე (NVETC)

პოლიტიკის გამოწვევები	**სოციალურ პარტნიორთა დაბალი ჩართულობა ეროვნულ დონეზე (NVETC)** ეროვნულ პროფესიულ საბჭოს ჯერ კიდევ აქვს ფორმალური ფუნქცია. გამოწვევა უკავშირდება შეხვედრების დაგეგმვასა და მართვას
ფაქტორები	• ეროვნული პროფესიული საბჭოს სუსტი მანდატი • ეროვნული პროფესიული საბჭოს მკაფიო პოლიტიკის დღის წესრიგის არარსებობა • სუსტი სამდივნო
პროგრესი განხორციელებაში	• ეროვნული პროფესიული საბჭოს ეფექტურობის შეფასება • სოციალური პარტნიორობის უფრო ეფექტური პლატფორმის ძიება სისტემის დონეზე
რეკომენდაციები	• NVETC (ან სხვა SP– ზე დაფუძნებულ სხვა სტრუქტურას) უნდა ჰქონდეს რეალური როლი პროფესიული განათლების სფეროში. • შეთანხმებები, რომლებიც მიღწეულია NVETC– სთვის, მკაცრად არის რეკომენდებული პროფესიული განათლების სისტემისთვის; ისინი უნდა გახდნენ პროფესიული განათლების ყველა გადაწყვეტილების საფუძველი; • NVETC– ს როლისა და მანდატის ასამაღლებლად უნდა განხორციელდეს სხვადასხვა ძალისხმევა, რასაც თან უნდა ახლდეს სოციალური პარტნიორების შესაძლებლობების გაძლიერება • უმნიშვნელოვანესია სოციალური პარტნიორების შესაძლებლობების სისტემატური გაძლიერება პროფესიული განათლებისა და მართვის გადაწყვეტილების მიღების პროცესში. • საბჭოს შეხვედრებში NVETC- ის წევრების მონაწილეობის გაზრდის მიზნით უნდა განხორციელდეს სხვადასხვა ზომები, როგორიცაა NVETC მნიშვნელობის გაზრდა, მცირე წახალისება და ა.შ.

2.1 ძირითადი მიგნებები ბლოკების მიხედვით

ბლოკები	სიძლიერე	სისუსტე
ბლოკი A	1. გაუმჯობესებული საკანონმდებლო საფუძველი 2. პოლიტიკის ფოკუსი განათლებაზე მთელი ცხოვრების განმავლობაში	1. განათლების საფეხურებს შორის ჰარმონიზაციის ნაკლებობა 2. პოლიტიკის განხორციელების M&E შესაძლებლობების ნაკლებობა
ბლოკი B	1. უმჯობესდება პროფესიული განათლების შესაბამისობა შრომის ბაზრის საჭიროებებთან, მაგრამ ჯერ კიდევ არსებობს გამოწვევები; 2. პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა დასაქმების გაუმჯობესებული მაჩვენებელი 3. გაუმჯობესდა მეწარმეობის უნარების განვითარების მიდგომა, აგრეთვე სამეწარმეო კულტურა ინსტიტუტებსა და სტუდენტთა შორის. 2017 წლის განმავლობაში თვითდასაქმება გაიზარდა 4. ALMP პროგრამები და დაწყებითი პროფესიული განათლება ხელს უწყობს სამუშაოს მაძიებლების დასაქმებას	1. უმუშევრობის მაღალი დონე 2. მაღალი მიგრაცია უცხოეთში, განსაკუთრებით კი ახალგაზრდების 3. უნარების მოთხოვნას შორის შეუსაბამობა
ბლოკი C	1. სისტემა უფრო ინკლუზიური გახდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე სტუდენტებისთვის 2. სისტემამ დაიწყო მუშაობა NEET– ებთან, მაგრამ ბევრი გამოწვევაა	1. პროფესიულ განათლებაში ჩარიცხვის დაბალი მაჩვენებელი 2. NEET– ების მაღალი მაჩვენებელი
ბლოკი D	1. ახალი NQF 2019 წელს დამტკიცდა 2. განახლებული ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩო შესაბამის მეთოდოლოგიებთან, ინსტრუმენტებთან, შესაძლებლობების განვითარების ღონისძიებებთან ერთად; 3. განახლებული, უფრო შედეგზე ორიენტირებული ავტორიზაციის სტანდარტები, რომლებიც 2019 წელს დაინერგება;	1. პროფესიული განათლების კვალიფიკაციების დაბალი ხარისხის 3. პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა უნარების ნაკლებობა 4. პროფესიული განათლების მასწავლებლების ხარისხი და უწყვეტი პროფესიული განვითარების ნაკლებობა

	4. პროფესიული განათლების პროგრამების რეფორმა, მათ შორის: მომზადება-გადამზადების პროგრამები, WBL და დუალური პროგრამები; პროგრამების დივერსიფიკაცია ახალგარდებისა და ზრდასრულებისთვის (სასწავლო და გადამზადების პროგრამები)	2. სასწავლო რესურსები ყველა სფეროში
ბლოკი E	1. სოციალური პარტნიორობა ადგილობრივ დონეზე WBL და PPP საშუალებით 2. კარგი კოორდინაცია საერთაშორისო ორგანიზაციებსა და სამინისტროს შორი	1. პროფესიული განათლების მართვის სისტემა, , ცენტრალიზებული სისტემა 2. სუსტი სოციალური პარტნიორობა სისტემისა და დარგობრივ დონეზე 3. დაფინანსების არსებული მოდელი

1.2 რეკომენდაციები

ძირითადი რეკომენდაციები ბლოკების მიხედვით	
ბლოკი A	• LLL– ის განვითარება, შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების, ფინანსური, მეთოდოლოგიური და ადამიანური რესურსების განვითარების ხელშეწყობა • NQF– ის ეფექტური განხორციელების ხელშეწყობა, შესაბამისი M&E მექანიზმების დანერგვა • პროფესიული განათლების ჰარმონიზაცია განათლების სხვა დონეებთან, არაფორმალურ და ფორმალურ სწავლებასთან
ბლოკი B	• უნარების მოთხოვნასა და მიწოდებას შორის შესაბამისობის გაუმჯობესება; ახალი ტექნოლოგიების გამოყენების სტიმულირება შესაბამისობის გასაუმჯობესებლად • შრომითი ბაზრის ინფორმაციის გამოყენება კარიერული კონსულტაციის მიზნით. LMIS შესაძლებლობების გაუმჯობესება; LMIS- ის განვითარება რეგიონალურ დონეზე • სამუშაო ძალის პროდუქტიულობისა და უნარების გაუმჯობესება; ტრენინგის და უნარების განვითარების შესაძლებლობების გაზრდა, განათლებისა და ტრენინგის სისტემების უზრუნველყოფა, რომლებიც შეესაბამება შრომის ბაზრის მოთხოვნებს • განათლებიდან დასაქმებაზე გადასვლის ხელშეწყობა, უნარების განვითარება, სამუშაო გამოცდილების შეძენა, პირველი დასაქმებისა და სტაჟირების მხარდაჭერა, მეწარმეობის გაუმჯობესება; საჯარო დასაქმების სერვისების ხარისხის გაუმჯობესება • მეტი ყურადღება უნდა გამახვილდეს პროფესიული განათლების განვითარებაზე რეგიონულ ჭრილში; ეკონომიკის მოთხოვნილებისა და საჭიროებების დაკმაყოფილებაზე • მეტი ანალიზი იმისათვის, რომ შეფასდეს პროფესიულ განათლებასა და დასაქმებას შორის კავშირი, კურსდამთავრებელთა კვლევა და შეფასება, თუ რამდენად აკმაყოფილებენ ისინი შრომის ბაზრის საჭიროებებს.
ბლოკი C	• პროფესიული ორიენტაციის განვითარება

	• ბარიერების აღმოფხვრა პროფესიული განათლების სფეროში • მოქნილობისა და ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება პროფესიული განათლების სფეროში (საწყისი და განგრძობითი) დაუცველი ჯგუფების საჭიროებების გათვალისწინებით, მაგალითად, NEETS, დაბალი კვალიფიკაციის მქონე პირები და ა.შ. • პრევენციული ღონისძიებების გატარება განათლების ადრეულ ეტაპზე მიტოვების შესამცირებლად • პროფესიულ განათლებაზე შესვლის მოთხოვნების დივერსიფიკაცია • დაუცველი ჯგუფების მიმართ ფართო მიდგომა; ისინი არა მხოლოდ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები არიან, არამედ დევნილები, ღარიბები და ა.შ. დამატებითი მექანიზმის შეთავაზება, როგორიცაა მეორე შანსის პროგრამები • პროფესიული განათლების პოპულარიზაციის ხელშეწყობა, იმიჯის გაუმჯობესება • სამინისტროს უფრო აქტიური მუშაობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან ახალგაზრდების მობილიზაციაზე • მეტი აქცენტის გაკეთება NEETs სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად.
ბლოკი D	• პროფესიული განათლების სფეროში განახლებული ხარისხის უზრუნველყოფის ჩარჩოს განხორციელება • პროფესიული განათლების დაწესებულებებში ხარისხის კულტურის გაუმჯობესება • პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება, სწავლის - შეფასებისა და პროფესიული კვალიფიკაციის მინიჭების ხარისხის გაუმჯობესება • კვალიფიკაციის ამაღლების, განახლებისა და მინიჭებისთვის პასუხისმგებელი კადრების შესაძლებლობების გაძლიერება (როგორც პროფესიული განათლებისა და ასევე პროფესიული განათლების მიმწოდებლის დონეზე იყო შესაბამისი). • პროფესიული განათლების სფეროში სწავლებისა და კვალიფიკაციების მინიჭების ხარისხზე პასუხისმგებელი პირების შესაძლებლობების გაძლიერება • საგანმანათლებლო პროგრამების გადახედვა, კერძო სექტორის მოთხოვნების ასახვა; პროფესიული განათლების კურსდამთავრებულებს ჯერ კიდევ სჭირდებათ შიდა ტრენინგი ზოგიერთ ასპექტში, რასაც დამატებითი რესურსი სჭირდება • კურსდამთავრებულთა სამუშაო ეთიკის გაუმჯობესება პროფესიულ და ზოგად უნარებთან ერთად
ბლოკი E	• მართვის გაუმჯობესება, მართვისა და პროფესიული განათლების სფეროში ფუნქციების ოპტიმიზაცია • სისტემის დეცენტრალიზაციის ხელშეწყობა; ქვემოდან ზემოთ მართვის მიდგომის მხარდაჭერა • პროფესიული კოლეჯების ავტონომიის მხარდაჭერა • პროფესიული განათლების სფეროში პასუხისმგებლობის განაწილება სახელმწიფოსა და არასახელმწიფო აქტორებს შორის • ანგარიშვალდებულების, M&E მექანიზმების გაუმჯობესება • შესაძლებლობების გაუმჯობესება ყველა დონეზე პროფესიული განათლების მართვის გაუმჯობესების მიზნით

ANNEXES

Annex 3: Benchmarking annex [for Candidate Countries]

How the benchmarking and monitoring of the MTDs will be done in the Torino Process?

Benchmarking is not something new, it was already included within the Torino Process 2014 and 2016 to encourage the Candidate countries to use more of evidence in policy-making in the field of education and training.

These topics are also included in the overall objectives of raising the quality of VET, following the Riga Conclusions, and this is where the link with the monitoring of the progress on VET and the MTDs will come into the picture. The analytical framework includes specific information (quantitative and qualitative) which can be used to monitor progress of countries in each of the five areas.

The benchmarking and the monitoring of the MTDs remain indicative and based on voluntary participation. It will be primarily up to the countries to take action and to follow up the conclusions of the monitoring and benchmarking exercise.

Which benchmarks will be used in the Torino Process 2018-2020?

A few indicators related to Education and Training 2020 Framework have been selected for benchmarking of the Candidate and potential candidate Countries within the Torino Process 2018-20 round:

INDICATORS USED FOR BENCHMARKING[1]	
Early leavers from education and training *(ET 2020 headline target)*	Early leavers from education in 2018 is 9.6% in a total, male 9.7% and female 9.5%
Tertiary education attainment *(ET 2020 headline target)*	Total number 44.1 in 2018. male 39.9 and female 48.5%
Underachievement in reading, maths and science *(ET 2020 target)*	In science literacy, the main topic of PISA 2015, 15-year-olds in Georgia score 411 points compared to an average of 493 points in OECD countries. Girls perform better than boys with a statistically significant difference of 16 points (OECD average: 3.5 points higher for boys). On average, 15-year-olds score 404 points in mathematics compared to an average of 490 points in OECD countries. Girls perform better than boys with a statistically significant difference of 13 points (OECD average: 8 points higher for boys). In Georgia, the average performance in reading of 15-year-olds is 401 points, compared to an average of 493 points in OECD countries. Girls perform better than boys with a statistically significant difference of 58 points (OECD average: 27 points higher for girls). Underachievement 2015 ***Reading*** 51.7 ***Mathematics*** 57.1 ***Science*** 50.8
Adult participation in lifelong learning *(ET 2020 target)*	1% in 2018
Employment rate *(EU 2020 headline target)*	Total in 2018 75.2%, male 84.5% and female 66.6%
Employment rate of recent graduates *(ET 2020 target)*	Not available

Early leaving from education illustrate the difficulties young people face in today's world, as well as the economic and social consequences of their finding themselves outside both the labour market and the education system. They also underline the importance of keeping young people in education and training.

Tertiary educational attainment. A highly skilled workforce is fundamental to global competitiveness and a driver of economic growth and prosperity. It is expected that in the future most new jobs will require high levels of skills. Older cohorts of workers with low educational attainment should be steadily leaving the workforce to be replaced by better educated younger generations.

Underachievement in reading mathematics and science. In the context of high youth unemployment and a deteriorating labour market situation, building the foundation skills is seen as a key outcome of initial education. Gaining these competences is crucial in building the foundations for long-term economic growth and ensuring individuals' social inclusion. It should also be pointed out that socio-economic status is still by far the most important determinant for gaining key basic competences.

Adult participation in lifelong learning. Evidence shows that those most in need of upgrading their skills are barely represented in continued learning. Same patterns could be observed in adult participation in lifelong learning which holds true both for EU Member States and also for the ETF partner countries: is negligible among the low skilled or unemployed. The lack of lifelong learning opportunities creates a low-skills trap, especially for adults without an upper secondary education (a large proportion of the population in the partner countries, see above), who are most in need of up-skilling.

Employment rate. This indicator is used at the EU level for monitoring at a glance the developments and challenges in the field of employment for the EU and each Member State. The EU has set itself the target of reaching an employment rate of 75% by 2020. This target should be seen in relation to the EU's agenda for increasing overall employability. It is complemented by a specific benchmark on **employability of recent graduates** from upper secondary to tertiary education aged 20–34. This benchmark is mainly used to illustrate a labour-market rigidity that is disproportionately affecting new entrants to the workforce. It also highlights the need to raise the employability of graduates through strengthening the quality and relevance of their education and training, which is also a goal shared by the partner countries.

[i] პოლიტიკის დოკუმენტი

[ii] პროფესიული განათლების მასწავლებლების ტრენინგის საჭიროებათა კვლევა

[iii] პროფესიული განათლების მასწავლებლის საქმიანობის დაწყების და პროფესიული განვითარების რეგულირების შესახებ

[iv] პროფესიული განათლების შესახებ კანონი 2018

[v] პროფესიული განათლების შესახებ კანონი 2007